ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნანა მაღლაკელიძე

# "ფეისბუქსტატუსი - თანამედროვეობის აქტუალურ თემათა რეპრეზენტაციის საშუალება“

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მედიის კვლევებში მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019 წელი

**ანოტაცია**

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის– "ფეისბუქსტატუსი - თანამედროვეობის აქტუალურ თემათა რეპრეზენტაციის საშუალება“ - მიზანია, გამოკვეთოს თანამედროვე სოციალური მედიის ტენდენციები. კერძოდ, იმსჯელოს რამდენად ეფექტური საშუალებაა „ფეისბუქსტატუსი“ მოსაზრებების გასავრცელებლად და რა როლს ასრულებს ის საზოგადოების ინფორმირებაში.

კვლევის ძირითადი ნაწილი დაეთმობა „სტატუსებში“ აქტუალიზებული თემების განხილვას. ვიმსჯელებთ იმ კრიტერიუმებზე, რომლებიც აერთიანებს „ფეისბუქის“ გავლენიან მომხმარებლებს ონალაინსივრცეში. ყურადღება გამახვილდება სოციალურ ქსელებში აქცენტირებული თემებისა და რეალური პრობლემატიკის ურთიერთმიმართების საკითხზე.

ვინაიდან მოცემული ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევის ჭრილში, ძირითადი მახვილები გაკეთდება ფეისბუქში „მოსაზრების ლიდერთა“ მიერ ფორმირებულ„დღის წესრიგსა“ და ტრადიციული მედიის „დღის წესრიგთან“ მის ბმაზე. ვიმსჯელებთ იმ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე, რომლის საფუძველზეც „ფეისბუქსტატუსები“ საზოგადოებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

კვლევა ეყრდნობა რიტორიკულ ანალიზსა და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდებს. საკვლევ პერიოდად განისაზღვრა უახლესი სამი თვე - 2019 წლის აპრილი-ივნისი. საკვლევი სუბიექტები შეირჩნენოთხი მთავარი კრიტერიუმის მიხედვით: დარგობრივი კომპეტენცია, “ფეისბუქზე“ მრავალრიცხოვანი მიმდევარი („გამომწერი“), სტატუსების გამოქვეყნების ინტენსივობა და საჭირბოროტო თემების აქტუალიზების ხარისხი.

კვლევის შედეგად დადასტურდა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მოსაზრების ლიდერების მიერ, „ფეისბუქსტატუსი“ იდეების პოპულარიზაციისა და სასურველი თვითპრეზენტაციისტვის გამოიყენება. ასევე ნაწილობრივ დადასტურდა შემდეგი

ჰიპოთეზა - სოციალური ქსელის მულტიფუნქციური თვისება და სპეციფიკა- ხელი შეუშალოს პოლიტიკური ელიტის მიერ კომუნიკაციის საშუალებებზე მონოპოლიას განაპირობებს „ფეისბუქის“ აქტუალობის ზრდას. ხოლო არ დადასტურა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ტრადიციული მედია ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებაში არსებული პრობლემატიკის გაშუქებას, რის გამოც „ფეისბუქის“ სტატუსები იძენს მნიშვნელობას და ხდება ეფექტური ინსტრუმენტი, რათა მოსაზრების ლიდერებმა გამოხატონ მათი ინტერესები და პოზიციები.

ვფიქრობთ, მოცემული ნაშრომი მნიშვნელოვანი რესურსიიქნება სოციალური ქსელებით დაინტერესებული მომავალი მკვლევრებისათვის, ვინაიდან სოციალური მედია „ფეისბუქსტატუსების“ კვლევის კუთხით თითქმის შეუსწავლელია.

ნაშრომის ბოლოს, დანართის სახით, წარმოდგენილია საილუსტრაციო მასალა.

Annotation

Given MA dissertation “The Facebook Post - The Tool for Representing Topical Issues of Modernity” – aims to illustrate contemporary social media trends. Precisely, to discuss How effective is the Facebook Post for spreading one’s views and what role does it play in informing the public.

The major part of the research focuses on the study of the actualized topics through online posts. The dissertation discusses criteria that unites the Facebook users in the online space. The special focus will be put on the relationship between the topics that are heavily emphasized in Social Networks and those having problematic relevance offline, in everyday life.

As the dissertation found its base in the framework of Mass Communication and Media Research, the study puts particular accent to the linkages between the “Agenda Setting” formed by the “Opinion Leaders” on Facebook and “Agenda Setting” by Traditional Media.

Accordingly, the cause-effect linkage on the base of which the “Facebook Statues” gathering prominent attention in the society will be studied.

Furthermore, the study has been conducted through the Rhetorical/Semiotic analysis and partially structured interview research methods. The research period includes recent 3 months – April-June 2019. The selection of the research subjects was conditioned by four major criteria: field competency, the great number of followers on Facebook, the intensively of posting on Facebook,the actualization degree of the topical issues.

The survey showed following: hypothesis that the “opinion leaders” used to popularize "Facebook" ideas and preferred self-regeneration is confirmed. The following hypothesis is also partially confirmed - multifunctional feature and specifics of social networking to prevent the monopolization of the means of communication by the political elite by the rise of "Facebook" actuality. Did not confirmedthe last hypothesis that the traditional media could not provide coverage of the problems in the community, which is why Facebook status is important and becomes an effective instrument for commentators to express their interests and positions.

To our consideration the given study will important resource material for the future researchers focusing on the Social Media, as the study of Social Media through analyzing Facebook Posts is still novelty.

At the end of the work, as an attachment, the additional material is presented.

Nana Maglakelidze (N.M.) - The Facebook Post - The Tool for Representing Topical Issues of Modernity” (2019)

# სარჩევი


შესავალი ..... 6

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა ..... 8

1.1. „მოსაზრების ლიდერები“ სოციალურ ქსელებში ..... 8

1.2. „ფეისბუქი“ და ქართველი „ინტერნეტვარსკვლავები“ ..... 14

თავი 2 . კვლევის მეთოდოლოგია ..... 19

2.1 სიღრმისეული ინტერვიუ ..... 19

2.2 რიტორიკული ანალიზი ..... 22

თავი 3. კვლევის დიზაინი (მიზანი, კითხვები, ჰიპოთეზები) ..... 26

თავი 4. კვლევის ძირითადი ნაწილი ..... 29

4.1. „ფეისბუქსტატუსების“ რიტორიკული ანალიზი ..... 29

4.2. სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი ..... 89

თავი 5. კვლევის შედეგების შეჯამება ..... 96

თავი 6. დასკვნა ..... 100

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ..... 102

დანართი 1. ..... 106

დანართი2. ..... 106

დანართი 3. ..... 107

დანართი4. ..... 107

დანართი.5 ..... 108

# შესავალი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის – "ფეისბუქსტატუსი - თანამედროვეობის აქტუალურ თემათა რეპრეზენტაციის საშუალება“ მიზანია, დავადგინოთ  რამდენად ეფექტური საშუალებაა სოციალური ქსელი, კერძოდ, „ფეისბუქი“ საზოგადოების  ინფორმირებაში.

გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური ქსელები არაერთ პლატფორმას მოიცავს, ჩვენ საკვლევი არეალი დავავიწროვეთ და დასაკვირვებლად ავირჩიეთFacebook-ი.“ [1] საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ [2] სოციალური ქსელი სწორედ „ფეისბუქია“ და მას 1 მლნ 60 ათასი მომხმარებელი ჰყავს, რაცქვეყნის მთლიანიმოსახლეობის დაახლოებით 22,89%-ია.

იმის გათვალისწინებით, რომ „ფეისბუქს“მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავს საქართველოში, საინტერესო იქნება, დავადგინოთ, თუ როგორ ხდებასაზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მიზნით, სტატუსების, როგორც ინტრუმენტის გამოყენება.

საკვლევ პერიოდად განისაზღვრა უახლოესი სამი თვე 1 აპრილიდან -1 ივლისამდე. მიმდინარე პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურებული იყო პოლიტიკური მოვლენები და ქვეყანაში სხვადასხვა თემატიკის ამსახველი არაერთი აქცია გაიმართა. „ფეისბუქსტატუსებზე“ დაკვირვება საშუალებას მოგვცემს,გამოვკვეთოთ, თუ რა საკითხები პრევალირებდა ამ პერიოდშიდა ასახავდა თუ არა „ფეისბუქსტატუსებში“ წამოჭრილი თემები რეალურ პრობლემატიკას.

რიტორიკული ანალიზის მეთოდი საშუალებას მომცემს ვიკვლიო შეტყობინების გადაცემის ის სპეციფიკა, რომლის მეშვეობითაც გავლენიანი „ფეისბუქმომხმარებლები“ საკუთარ მრავალრიცხოვან აუდიტორიას აწვდიან ინფორმაციას. არტურ ასა ბერგერის(2014) „მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები: თვისებრივი და

[1]შემდგომ მხსენიებული იქნება ქართული ანბანით, როგორც “ფეისბუქი“

[2]ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტი  (IDFI) „Social Bakers-ზე“ დაყრდნობით წერს (https://idfi.ge/ge/statistics-of-internet-users-in-georgia)

რაოდენობრივი მიდგომის შესავალი“ მიხედვით შერჩეულ იქნა რიტორიკული საშუალებები: ალეგორია, ალიტერაცია, ანტითეზი, შედარება, დეფინიცია, ოდა (ქება) , მაგალითების მოყვანა,  ირონია, მეტაფორა, მეტონიმია, რითმა, რიტმიკა. სწორედ რიტორიკის გამოყენების ამ ხერხებით დავაკვირდებით „ფეისბუქსტატუსების“, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ინსტრუმენტის გამოყენების თავისებურებებს და შევისწავლით, როგორია შეტყობინებების გაგზავნის შინაარსობრივი დატვირთვა.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან კი საშუალებას მოგვცემს, გავაანალიზოთ მოსაზრებები. რა მახასიათებლები აქვთ იმ მომხმარებლებს, რომლებსაც „ფეისბუქზე“ მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავთ შემოკრებილი და როგორ მყარდება კომუნიკაცია სოციალურ ქსელებში „შეხედულების ლიდერებსა“ და საზოგადოებას შორის.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომი მნიშვნელოვანი რესურსია სოციალური ქსელებით დაინტერესებული მომავალი მკვლევრებისათვის, მით უფრო, რომ აღნიშნული საკითხის ირგვლივ კვლევა ჯერ არ ჩატარებულა.

# თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

## 1.1. „მოსაზრების ლიდერები“ სოციალურ ქსელებში

საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სოციალურმა ქსელებმა, რომელთა მეშვეობით გავლენინი მომხმარებლები ცდილობენ, შექმნან დღის წესრიგი არა მარტო სოციალურ სივრცეში, არამედ მედიაში. არსებობენ მომხმარებლები სოციალური ქსელებში, რომელთა სტატუსების შინაარსით მრავალრიცხოვანი აუდიტორია ინტერესდება, ჰყავთ ათასობით გამომწერი და გავლენა აქვთ საზოგადოებრივი აზრზე.

საინტერესოა, როგორი ურთიერთკავშირი არსებობს სოციალურ ქსელებში გავლენიან მომხმარებლების სტატუსებსა და ტრადიციული მედიის „დღის წესრიგს“ შორის. „ინტერნეტ ვარსკვლავები“ და ექსპერტები კარნახობენ მედიას რომელ საკითხს დაუთმონ განსაკუთრებული ყურადღება, რა თემები იქნეს აქტუალიზებული თუ პირიქით, მედიალანდშაფტი ახდენს გავლენას მათს პოსტებსა თუ სტატუსებზე?არსებობს თუ არა ინფორმაციის წარმოების და საკითხების წინა პლანზე გამოტანის ორმხრივი პროცესი?

ორგანიზაცია Pew Research Center მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში - „10 facts about Americans and Facebook“ (2019) აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის მონაცემებით ათიდან ყოველი მეშვიდე ადამიანი იყენებს ფეისბუკს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკის მოსახლეობის 69% ფეისბუკმომხმარებელია, მათგან დაახლოებით 43% ინფორმაციას ახალი ამბების შესახებ „ფეისბუკიდან“ იგებს. გარდა ამისა, ფეისბუქის მომხარებით ის ადამიანები უფრო გამოირჩევიან, რომლებსაც უმაღლესი განათლება და მაღალი აკადემიური სტატუსი აქვთ, ვიდრე ისინი, ვისაც მხოლოდ საშუალო სკოლა აქვთ დამთავრებული.

„ამერიკელ მომხმარებელთა 74%-მა არ იციან რომ ფეისბუკი საკუთარი ალგორითმის მიხედვით, კონკრეტული პირებისთვის კლასიფიცირებით ქმნის მათს ინტერესებზე მორგებულ სივრცეს.“ (John Gramlich(2019). Pew Research Center)

გამოცემა „The economist-ის” სტატიაში “ უქმნის თუ არა საფრთხეს სოციალური მედია დემოკრატიას“ , ვკითხულობთ:

„ სოციალურ ქსელში შექმნილია სპეციალური ალგორითმი იმის დასადგენად, თუ რა მიიქცევს თქვენს ყურადღებას. ნებისმიერ მომხმარებელს საშუალება აქვს საკუთარი ფორმულირებით შექმნას მოსაზრებები თემების გარშემო, ისინი ათასობით სარეკლამო განცხადებასაც ქმნიან. ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებლები  მდიდარო ქვეყნებიდან დღეში 2,600-ჯერ ამოწმებენ საკუთარ მობილურ ტელეფონებს“ (“Do social media threaten democracy,” 2017)

ვიკიპედიისლექსიკონში გავლენიან ინტერნეტმომხმარებელთა შესახებ ვკითხულობთ:

„მოსაზრების ხელმძღვანელობა (Opinion leadership) არის ონლაინ სივრცეში აზრის ჩამოყალიბების ფორმა, როდესაც აქტიური მედიამომხმარებელი აყალიბებს მედიის შეტყობინებების, ან შინაარსის მნიშვნელობას. როგორც წესი აზრის ლიდერები სამიზნე აუდიტორიის მიერ მაღალ შეფასებას იმსახურებენ.“(Wikipedia)

მოსაზრების ხელმძღვანელობა ეყრდნობა ამერიკელი სოციოლოგი, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორისა და კომუნიკაციების მეცნიერის ელიუ კაცსისა და ავსტიელ-ამერიკელ სოციოლოგ პოლ ლაზერფილდის „კომუნიკაციის ორსაფეხურიანთეორიას“, რომლის თანახმად:

„თუ ერთსაფეხურიანი სისტემის დროს მედია პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების აზრის ფორმულირებაზე, ორსაფეხურიანი სისტემის მოქმედების დროს, იდეები მედიიდან გავლენიან ადამიანებისკენ მიდის, ხოლო გავლენიანი ადამიანები ამ იდეეებს ავრცელებენ ფართო საზოგადოებაში, ასეთ დროს მოსაზრებების ლიდერები, რომელთაც აქვთ საკუთარი რეპუტაცია და მაღალი ნდობა, მედიის მიერ მიწოდებულ შინაარსთან ერთად საზოგადოებას სთავაზობენ საკუთარ ინტერპრეტაციას“ (Paul Lazarsfeld & Elihu Katz. (1957)

ელიუ კაცსი საკუთარ სტატიაში „კომუნიკაციის ორსაფეხურიანი თეორია“ პასუხობს კითხვას ვინ არიან მოსაზრების ლიდერები და რა კრიტერიუმებით შეირჩევიან ეს

ადამიანები? მისი მოსაზრებით, ამ ქვემოთჩამოთვილი სამი ფაქტორიდან ერთის, ან მეტის არსებობის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ შეიქმნას გავლენის მქონე პირი:

- ღირებულებითი სისტემა (აირჩიონ ის, ვინც მათს შინაგან რწმენსთან და შეხედულებებთან უფრო ახლოსაა.)
- პროფესიული კომპეტენცია (დარგის სპეციალისტები)
- სოციალური ქსელის ხასიათი.

კაცსის მიხედვით, აზრის ლიდერები არიან ინდივიდები, რომლებიც უფრო ხშირად ჩნდებიან მედიაში სხვადსხვა პლატფორმებზე, ვიდრე სხვა ადამიანები, არიან გამორჩეულად გაცნობიერებულები კონკრეტულად იმ საკითხში, რომელზეც საუბრობენ და ამავდროულად არიან განსაკუთრებულად მოტივირებულნი, რომ გაზარდონ საკუთარი სოციალური სტატუსი. აღსანიშნავია, რომ გავლენის ლიდერები ის პირები არიან, რომლებიც „სასაზღვრო დაფარვისკენ“ არიან მიდრეკილნი.( Elihu Katz (1957). The Two-Step Flow of Communication. p. 61–78. Oxford University Press)

ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორ ტაჩმანის ნაშრომში სპეციალური სასაზღვრო როლი ინოვაციის პროცესში " ტერმინი „სასაზღვრო დაფარვა“ განმარტებულია შემდეგნაირად:

„სასაზღვრო დაფარვა არის ტერმინი იმისთვის, რომ აღწეროს ინოვაციურ სისტემაში მყოფი პირები, რომლებსაც აქვთ ან მიიღებენ ორგანიზაციის შიდა ქსელებთან დაკავშირების როლს ინფორმაციის გარე წყაროებთან.“ (Tushman, Michael L (1977)"Special Boundary Roles in the Innovation Process")

ამერიკელი პოლიტოლოგი ვ.ო. ქიმ 1961 წლის ნაშრომში „საზოგადოებრივი აზრი და ამერიკული დემოკრატია“ გაანალიზა კავშირი საზოგადოებრივი აზრის ფორმულირებასა და სამთავრობო სისტემების ცვლილებებს შორის. მან განმარტა, რომ საზოგადოებრივი აზრი არის „კერძო პირების მიერ შეთავაზებული მოსაზრებები, რომლებსაცმთავრობები ყურადღებით აკვირდებიან“. (V. O. Key, Jr.(1961))

მილანის უნივერსიტეტის პროფესორი ანდრეა კერონი სტატიაში - „საჯარო პოლიტიკის "სოციალური მხარე": საზოგადოებრივი აზრის მონიტორინგი და მისი მობილიზაცია

პოლიტიკის ციკლის დროს“ საუბრობს სოციალური მედიის პოტენციურროლზე, რომელსაც შეუძლია, შეავსოს  პოლიტიკის შემქმნელებსა და საზოგადოებას შორის არსებული უფსკრული.

„"დიდი მონაცემთა" სამყაროში, სოციალური მედიის მომხმარებლების მიერ ონლაინსივრცეში გამოქვეყნებული კომენტარები შეიძლება, გამოყენებულ იქნეს სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებაში, რომელიც პოლიტიკის სექტორში მის შემქმნელებს გამოადგებათ პოლიტიკურ ციკლში საკუთარი ქმედებების დასაგეგმად.“(Andrea Careon. (2016).“Social Side of Public Policy".Milan)

კერონის მოსაზრებას ეთანხმება ამერიკის სირაკუსის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმეთა ადმინისტრირების პროფესორი Mergel (2013), რომელიც თავის კვლევაში „მთავრობაში სოციალური მედიის გამოყენების სამი ეტაპი“აღნიშნავს, რომ სოციალური მედია უფრო და უფრო ვითარდება ხელისუფლების ყველა დონეზე.

„ბოლო 30 წლის განმავლობაში, ბევრი ახალი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) შეიქმნა... ამ სფეროში წვლილის შეტანა  პოლიტიკოსებს ეფექტური სოციალური მედიის სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება. სოციალურ მედიაშიგამოქვეყნებული კომენტარების ინფორმაციული ღირებულების ექსპლუატაციის გზით ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერესების გატარებას.“ (Mergel (2013)."Three Stages of Using Social Media in the Government")

გარდა პოლიტიკური გავლენებისა, სოციალური ქსელების ზემოქმედების ხარისხი მაღალია სხვა სფეროებზეც. კაპლანისა და ჰენლენის (2010) სტატიაში„სოციალური მედიის გამოწვევები და შესაძლებლობები“ საუბარია სოციალურ მედიასა და მის გავლენაზე, ბიზნეს სექტორზე. სტატიაში აღნიშნულია, რომ  სოციალური მედიით დაინტერესებულნი არიან ბიზნეს ორგანიზაციები. სოციალურ მედიას აქვს განსაკუთრებული უნარები,  რომლებიც მათ წარმატებისა და ფინანსური სარგებლის მიღებაში დაეხმარება.

აღსანიშნავია, რომ სოციალური მედიის გავლენის ზრდა ბიზნესის სექტორზე საქართველოს მაგალითიც ადასტურებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ორწლიან კვლევაში ვკითხულობთ:

„სოციალური მედიით დაინტერესება იზრდება ბიზნესში, რადგან იგი საკმაოდ ხელსაყრელ გარემოს ქმნის მარკეტინგული თვალსაზრისით. რაც შეეხება პოლიტიკის სფეროსა და პოლიტიკურ ცვლილებებს, მისი გავლენა კვლავ სუსტია. თუმცა ექსპერტების თქმით, ეს გავლენა მომავალში აუცილებლად გაიზრდება.“ (ლია წულაძე(2011-2013). „სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში“)

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სოციალური მედიის გავლენაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„სოციალური მედიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად მიიჩნევა ის, რომ იგი ინდივიდებს საშუალებას აძლევს, ბევრად უფრო ადვილად და წარმატებით მოახდინონ თვითრეალიზება, მათთვის გახსნილია სამოქმედო სივრცე, სადაც შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი იდეების პოპულარიზაცია და სასურველი თვითპრეზენტაცია მოახდინონ. ასევე უმნიშვნელოვანეს პოზიტიურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ ახალი მედიის ფუნქცია, წინ აღუდგეს პოლიტიკური ელიტის მიერ კომუნიკაციის საშუალებების მონოპოლიურ ფლობას და ხელი შეუწყოს დემოკრატიული პროცესების განვითარებაში მოქალაქეების მაქსიმალურ ჩართვას.“ (ლია წულაძე. (2011-2013). „სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში“)

სოციალური მედიის როლის მნიშვნელობაზე საუბარია სახელმძღვანელოში - „მედიასამართალი“[3], რომელშიც ვკითხულობთ:

„სოციალურ ქსელის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ მას დღეს აქტიურად იყენებენ თანამდებობის პირები. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს პრემიერ მინისტრი, რომელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ხშირად

[3]http://lawlibrary.info/ge/books/giz2014-ge-MediaLaw.pdf

საინფორმაციო საშუალებებში სწორედ სოციალურ ქსელზე დაყრდნობით ვრცელდება. სხვაგვარად რომ ითქვას, სოციალური ქსელი ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს, სადაც პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის ხილვის გარდა, შესაძლებელია, პირმა სახელმწიფოებრივ დონეზე მიმდინარე საკითხების შესახებ მიიღოს ინფორმაცია.“ (სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაშვილი (2014)„მედიასამართალი“. გვ- 35-38.)

მედიის განვითარების ფონდის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოში „სოციალური მედია და ყალბი ინფორმაციის გავრცელების გამოწვევები“[4]წერია:

„სოციალური მედია ჩვენ იმ ინფორმაციას გვაწვდის, რომელიც ჩვენს მსოფლმხედველობას, ინტერესებსა და მოსაზრებებს პასუხობს. ჩვენ გვახასიათებს იმ ადამიანებთან აფილაცია, რომლებიც ჩვენს პოზიციებს იზიარებენ. სწორედ ამიტომ სოციალურ მედიაში ციფრული ქსელები რეალურ ცხოვრებაში ჩვენი მეგობრებისა და კავშირების არჩევანს ასახავენ. ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ სოციალური მედიით ვიღებთ, ჩვენი ინტერესებისა და პოზიციების მიხედვით იფილტრება. ამგვარად, ჩვენ ვენდობით ამ ქსელებს და მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ისე, რომ ხშირად განსხვავებულ მოსაზრებებს ვერ ვხედავთ. ამას საინფორმაციო ბუშტი ეწოდება.“(მედიის განვითარების ფონდი (2017).„სოციალური მედია და ყალბი ინფორმაციის გავრცელების გამოწვევები“. რედ. თამარ კინწურაშვილი)

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოში - „სოციალური მედიის გამოყენება“ ხაზგასმულია, რომ სოციალური ქსელიდან მოპოვებული ინფორმაცია უნდა გადიოდეს გადამოწმების ყველა იმ ფილტრს, რასაც ჩვეულებრივ, სხვა გზებით მოპოვებული ინფორმაცია გადის. გარდა ამისა, ეთიკის ქარტია ჟურნალისტებს მოუწოდებს სოციალურ ქსელებში ნეიტრალურობისა და ბალანსის შენარჩუნებისაკენ.

[4]იხ. ვებმის: https://www.mythdetector.ge/sites/default/files/1-Guideline.pdf

„პოტენციური ინფორმაციის წყაროების მეგობრებად დამატება Facebook-ში, ან Twitter-ზე "ადევნება" პროფესიული სტანდარტების დარღვევა არ არის. თუმცა, მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პოლიტიკოსის, ან საარჩევნო კანდიდატის "დამეგობრებისას", შესაძლოა მომხმარებელს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტი ამ კონკრეტული პოლიტიკოსის მიმართ დადებითად განწყობილი, ამიტომაც უნდა ეცადოს, რომ სოციალურ ქსელში დაიმეგობროს მეტნაკლებად ყველა კანდიდატი თუ პოლიტიკურ პროცესში მონაწილე პირი.“ (ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2016 ).„სოციალური მედიის გამოყენება.“ თბილისი) [5]

## 1.2. „ფეისბუქი“ და ქართველი „ინტერნეტვარსკვლავები“

„კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისა (CRRC) და „კავკასიის ბარომეტრი 2012 – საქართველოს“ მიერ მომზადებულ კვლევაში „ინტერნეტის მნიშვნელობა საქართველოში“ ხაზგასმული ფაქტი, რომ ტრადიციული მედიის მიმართ დაბალი ნდობის პირობებში, აქტუალური ხდება ინტერნეტის გამოყენება.

„გამოკითხვების მიხედვით, მოსახლეობის უმეტესობა (53,4%) უნდობლობას უცხადებს მედია საშუალებებს. გარდა ამისა, დაბალია ტელეჟურნალისტებისადმი ნდობაც – მოქალაქეების 29,1% ფიქრობს, რომ ისინი მაყურებელს კარგად ან საშუალოდ კარგად აწვდიან ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.“ **(იხ, დანართი #1,2)** („კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC), „კავკასიის ბარომეტრი 2012 – საქართველო“. (2012). „ინტერნეტის მნიშვნელობა საქართველოში“. თბილისი)

[5] იხ. ვებმის: https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/29249-socialuri-mediis-gamoyeneba)

თავისუფალ სადისკუსიო სივრცე დასახელებულია, როგორც სოციალური მედიის განვითარების წინაპირობად კვლევაში „სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში“.

„სოციალური მედიის მზარდ გავლენას განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ საქართველოში ტრადიცული მედია ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილი და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდებას მოსახლეობისთვის და ვერ ქმნის სათანადო პლატფორმას საზოგადოებრივი დისკუსიებისთვის.“ (ლია წულაძე (2011-2013) „სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში“. თსუ)

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ინფორმაციით, 2016 წელს მოსახლეობის 49% ინტერნეტს თვეში ერთხელ მაინც იყენებს. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 78% ინტერნეტს სოციალურ ქსელში შესასვლელად იყენებს. აღსანიშნავია, რომ TI-ის ცნობით, მოსახლეობის 49%-დან 86% Facebook-ის მომხმარებელია. ინფორმაციას ვკითხულობთ ონალიანგამოცემა „ნეტგაზეთის“ ვებ-გვერდზე. http://netgazeti.ge/news/112101/**(იხ, დანართი #3.)**

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი რომ Facebook-ია, ამას ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტის (IDFI) სტატია-„ინტერნეტ მომხმარებელთა სტატისტიკა საქართველოში“მოწმობს(იხ. ვებმის: https://idfi.ge/ge/statistics-of-internet-users-in-georgia), რომელშიც აღნიშნულია შემდეგი:

„საქართველოში ერთ-ერთი გავრცელებული სოციალური ქსელი Facebook-ია, Social Bakers-ის მიხედვით, დღეისათვის მას 1 მლნ 60 ათასი მომხმარებელი ჰყავს – ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 22,89%. მართალია გასათვალისწინებელია ყალბი ანგარიშების ფაქტორი, მაგრამ სხვა წყაროებზე დაყრდნობითაც შეინიშნება Facebook-ის მომხმარებელთა ზრდის ტენდენცია ბოლო ერთი წლის მანძილზე. კერძოდ, სოციალური მედიის ანალიზის ვებ-გვერდის www.quintly.com-ის თანახმად, წინა წელთან შედარებით, 34,75%-ით გაზრდილია ფეისბუქის აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობა“. (IDFI (2013). „ინტერნეტ მომხმარებელთა სტატისტიკა საქართველოში“. თბილისი)

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით, დაადგინა, რომ Facebook-ი რომ საჯარო სივრცეა.[6]

„გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, „საჯაროდ გავრცელება“ არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში,როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს.” ,- ვკითხულობთ 2014 წელს გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში.“ (საქართველოს უზენაესმა სასამართლო. (2014))

Social Bakers - არის ცნობილი მარკეტინგული ონლაინპლატფორმა, რომელიც ეხმარება ბრენდებს ორიენტირება შეძლონ სოციალურ სივრცეში და წარმოადგენს „ფეისბუქის“ სტატისტიკას საკუთარ საიტზე - www.socialbakers.com. აღნიშნული ველი იკვლევს, თუ რომელი კომპანიები და კერძო პირები იკრებენ ყველაზე დიდ აუდიტორიას საკუთარი „ექაუნთების“ გარშემო. Social Bakers-ზე[7] დაყრდნობით,ყველაზე მეტი მოწონება „ პერსონალური ფეისბუქ გვერდების“ მიხედვით აქვთ:

1. ტრიო მანდილი - 899 595 მოწონება
2. ბერა - 771 004
3. ქეთი მელუა - 581 195
4. სოფო ნიჟარაძე - 346 145
5. თამთა გოდუაძე - 283 107

რაც შეეხება კომპანიებსა და „ფეისბუქ გვერდებს, მათი რეიტინგი ასეთია:

1. TBC - თიბისი GEORGIA - 684 491
2. საქართველოს ბანკი - 623 027

[6]იხ. დადენილება: https://bit.ly/2XNBBAF

[7]იხ. ვებმის: https://www.socialbakers.com/statistics/facebook/

3. Hotsale.ge - 488 594
4. Altaokay • ალტაოქეი - 466 820
5. მაგთიკომი - 384 133

რაც შეეხება მედია საშუალებებს, მათი რეიტინგი სოციალურ ქსელში ასეთია:

1. Newposts - 702 286
2. Goga.tv - 607 578
3. TV Imedi - 570 071
4. STAR FM 93.9 - 549 073
5. Rustavi 2 - 510 720

როდესაც სოციალურ ქსელებში გავლენიანი მომხმარებლების შესახებ ვმსჯელობთ, უნდა აღვნიშნოთ ე.წ. „ინფლუენსერების“ როლი საზოგადოების აზრის ჩამოყალიბების პროცესში. ტრადიციული გაგებით „ინფლუენსერი“ არის ადამიანი, რომელიც სოციალური ქსელის მეშვეობით გამოიმუშავებს თანხას და ეს ხდება მისი შემოსავლის წყარო.

ონლაინგამოცემა მარკეტერი საკუთარ სტატიაში[8] „ვინ, სად და როგორ ქმნის Influencer მარკეტინგს?“ აღნიშნავს: „დღეს მომხმარებლისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს კონკრეტულ სფეროში მეტ-ნაკლებად გარკვეული ადამიანი. ამიტომ, კომპანიები რეალურად უნდა „გამაგრდნენ“ „ონლაინ“ სივრცეში. ამისთვის კი აუცილებელია გარშემო „ინფლუენსერები“, გნებავთ, „დამცველები“ შემოიკრიბონ და საკუთარი ბრენდისთვის, რაც შეიძლება დიდი ლეგიტიმაცია მოიპოვონ.“ („მარკეტერი“ (2019). „ვინ, სად და როგორ ქმნის Influencer მარკეტინგს?)

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში ბევრი ინტერნეტმომხმარებელია, რომელსაც მრავალრიცხოვანი გამომწერი ჰყავს სოციალურ ქსელებში, თუმცა ამის მიუხედავად საკუთარი „ექაუნთიდან“კომერციულ შემოსავალს არ იღებს.

[8] https://www.marketer.ge/influencer-marketing-brands-customers/

ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ გლობალური სამყაროსთვის სულ უფრო აქტუალური ხცდება სოციალური ქსელები. მსოფლიო მოსახლეობის სამოქმედო არეალი და მთავარი საყრდენი სწორედ სოციალური ქსელები, კერძოდ, „ფეისბუქია“. ეს უკანასკნელი მულტიფუნქციურია, მისი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში იკვეთება იქნება ეს ბიზნესი, პოლიტიკა, კულტურა თუ სხვა. გლობალური სამყაროს გამოწვევებს ქართული საზოგადოებაც უერთდება და დღესდღეობით საქართველოში სწორედ „ფეისბუქი“ გადაიქცა მნიშვნელოვან ინსტრუმენტად საზოგადოების ინფორმირების პროცესში. საინტერესოა, რა კრიტერიუმით ირჩევს ქართველი აუდიტორია მოსაზრების ლიდერებს, ვის ჰყავს ყველაზე მრავალრიცხოვანი გამომწერებიდა როგორ ყალიბდება „ფეისბუქზე“ საზოგადოებრივი აზრი.

# თავი 2 . კვლევის მეთოდოლოგია

## 2.1 სიღრმისეული ინტერვიუ

"ფეისბუქსტატუსი - როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ინსტრუმენტის“ შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტები, თუ რა საკითხებია აქტუალური, ვინ იმსახურებს ყურადღებას სოციალურ ველზე და რა კავშირია მედიასა და სოციალურ ქსელებს შორის. აღნიშნული კვლევის ჩასატარებლად კვლევის მეთოდად თვისებრივი კონტენტ-ანალიზი შეირჩა, კერძოდ, სემიოტიკური ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ.

ვინაიდან კვლევის მიზანსწარმოადგენს განვსაზღვროთ, თუ ვინ არიან ის მთავარი აქტორები, ფეისბუქმომხმარებლები, რომლებსაც ყველაზე დიდი გავლენა აქვთ სოციალურ ქსელებში და რა საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას, რაოდენობრივ ანალიზთან შედარებით უპირატესობა თვისებრივ მეთოდს მიენიჭა. გარდა ამისა, ნაშრომის მიზანი მოიცავს არა მარტო კონტენტის კვლევას, არამედ კონტექსტის შესწავლასაც, თუ რომელი კრიტერიუმებისა და წინაპირობის საფუძველზე ხდება თემების წამოჭრა და აქტუალიზება სოციალურ სივრცეში.

სოციოლოგი თინათინ ზურაბიშვილი ნაშრომში „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ წერს:

„სიღრმისეული ინტერვიუს მიზანია, გავიგოთ რესპონდენტების მაქსიმალურად დეტალური მოსაზრებები შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით; ამიტომ „როგორ?“ და „რატომ?“ კითხვები ყველაზე ხშირი და სასარგებლოა ამ ტიპის ინტერვიუში. არა ნაკლებ ხშირად აქვს ადგილი თხოვნას რესპონდენტისადმი, დაწვრილებით აგვიღწეროს ესა თუ ის შემთხვევა თავისი ცხოვრებიდან და მისი შთაბეჭდილებები, მისი რეაქცია ამ შემთხვევასთან დაკავშირებით; მისი დამოკიდებულება გარკვეული ხალხის ან მოვლენებისადმი, მის მიერ ჩვენთვის საინტერესო მოვლენების შეფასება.“ (თინათინ ზურაბიშვილი; „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“, 2006; თბილისი)

კვლევითი ინტერვიუ შეიძლება იყოს:

- სტრუქტურული
- ნახევრად სტრუქტურირებული
- არასტრუქტურული

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, სიღრმისეული ინტერვიუს სამი ტიპიდან შეირჩა ნახევრად სტრუქტურირებული. ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან დაგვეხმარება, კვლევა გახდეს ფოკუსირებული, ხოლო საკვლევი ჰიპოთეზების დადგენა უფრო გამარტივდეს.

სოციოლოგი რობერტ ვაისი აღნიშნავს შემდეგს: „ ყველაზე ეფექტური ინტერვიუ არის მაშინ, როდესაც ეს პროცესი დაფუძნებულია ორმხრივ ნდობასა და თანამშრომლობაზე რესპონდენტსა და ინტერვიუერს შორის. ინტერვიუ წარმატებულია, თუ მასში ჩართული პირების მიზანია პატიოსნად გამოიკვლიონ კონკრეტული მოვლენის შიდა და გარე ინდიკატორები“ (რობერტ ვაისი. 1994. სწავლისგან უცნობები: „ხარისხიანი ინტერვიუ კვლევების ხელოვნება და მეთოდი“.ნიუ-იორკის თავისუფალი პრესის ასოციაცია )

ჰ.რ.ბერნარდი აღნიშნავს, „თქვენ აგებთ პასუხს იმაზე, რომ საუბარი ფოკუსირებული იყოს [კვლევის თემაზე], მაგრამ საშუალებას აძლევთ რესპონდენტს, განსაზღვროს საუბრის შინაარსი. მიეცით მას უფლება, მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომელიც, მისი აზრით, მნიშვნელოვანია“ H. Russel Bernard. 2002. Reseach Methods in Anthropology. Qualitative and Quantitative Approaches. Third edition. Walnut Creek, CA: AltaMira Press. P. 209.)

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, როგორც საკვლევი მეთოდი აქტიურად გამოიყენება ჟურნალისტიკასა და მასობრივ კომუნიკაციაში. წიგნში - Research Methods for Media and Communication“ (თარგმანი: ნინო მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია) ვკითხულობთ:

„ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მაშინ გამოიყენება, როდესაც მკვლევარის ინტერესი შემოსაზღვრულია კონკრეტული საკითხით და მასაც მიახლოებითი

წარმოდგენა აქვს, თუ რას ეძებს. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს პროტოკოლი მოიცავს მკვლევრის მიერ მომზადებულ ღია კითხვებს, რომელთაც ყველა რესპონდენტს უსვამს“ (Research Methods for Media and Communication, Oxford University Press, 2009).

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ძლიერ მხარეს წარმოადგენს ისიც, რომ შედარების საშუალებას იძლევა.

„ინტერვიუს შეუძლია ისეთი მონაცემების შეგროვება, რომელიც მკვლევარს საშუალებას მისცემს, გააკეთოს შედარებები რესპონდენტებს შორის, ვინაიდან ასეთი ინტერვიუც ყველა რესპონდენტთან ერთსა და იმავე თემას მოიცავს. აქვე შეუძლია მკლევარს სხვადასხვა დემოგრაფიულ მონაცემსა და კვლევის შედეგს შორის კავშირის დადგენაც.“ (Niranjala Weerakkody, Oxford University Press, 2009 )

ჰოლშტეინი, გუბრიუმი (1995) აღნიშნავენ, რომ „ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მიზნად ისახავს რესპონდენტებისაგან დეტალური, ღრმა და თანამიმდევრული ინფორმაციის მიღებას მათი ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება გარკვეული საზოგადოებრივი კანონზომიერებების დადგენა, ზოგ შემთხვევაში კი - საერთო ხასიათის დასკვნების გაკეთება“.(James A. Holstein and Jaber F. Gubrium. 1995. The Active Interview.)

ამრიგად, სიღრმისეულ ინტერვიუები აქტიურად ტარდება მედიისა და კომუნიკაციის კვლევების დროს, რადგან მისი მიზანია,მიიღოს კონკრეტულ საკითხზე დეტალიზებულიინფორმაცია რესპონდენტის მოსაზრების შესახებ. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მკვლევარს ეხმარება შეისწავლოს შინაარსი, შეადაროს რესპონდენტთა მოსაზრებები, მიიღოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც გარკვეული მიზეზით კითხვებში არ მოხვდა და ამასთანავე გახადოს კვლევა მეტად ვალიდური.

## 2.2 რიტორიკული ანალიზი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში რიტორიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან ის გვძლევს მედიაშეტყობინების მიღების, შინაარსის შესწავლისა და მასზე რეაგირების საშუალებას. რიტორიკული კრიტიკა გვეხმარება ამოვიცნოთ - თუ რა ფორმით ყალიბდება ტექსტის მნიშვნელობა და როგორ ხდება სამიზნე აუდიტორიების ემოციების მართვა.

ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში რიტორიკის შესახებ წერია: „რიტორიკა არის ენა, რომელიც ქმნის დამაჯერებელსა და შთამბეჭდავ ეფექტს, მაგრამ ამავდროულად არის ნაკლებად გულწრფელი და შინაარსისგან დაცლილი“ (Oxford Dictionaries).

ვიკიპედიის საძიებო სისტემაში აღნიშნულია, რომ „რიტორიკა“ ძველბერძნული სიტყვაა და „მეტყველების, სიტყვის ხელოვნებას“ - მჭევრი მეტყველების ხელოვნებას ნიშნავს.

სწორედ ძველი საბერძნეთის ერთ-ერთ გამორჩეულ ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს არისტოტელეს ეკუთვნის ყველაზე გავლენიანი ტექსტი „რიტორიკის“ შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ:

„რიტორიკა შეიძლება განისაზღვროს, როგორც დარწმუნების ერთერთი საშუალებანებისმიერ მოცემულ შემთხვევაში. ეს არ არის სხვა რომელიმე მეცნიერების ამოცანა, რადგან ნებისმიერ მეცნიერებას შეუძლია ასწავლოს და ამტკიცოს მხოლოდ ის საკითხი, რაც მის სფეროს განეკუთვნება. მაგალითად, მედიცინას – ჯანმრთელობასა და დაავადების წარმოშობაზე, გეომეტრიას – მაგნიტუდის თვისებებზე, არითმეტიკას - ციფრებთან დაკავშირებულ საკითხებზე. რიტორიკას კი შეუძლია მოძებნოს დარწმუნების ხერხები ყველა ამ საგანში. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ რიტორიკა შინაგანი თვისებებით არ არის დაკავშირებული რომელიმე კონკრეტული საგნების კლასთან“,- არისტოტელე.

არისტოტელეს მიხედვით რიტორიკაში არსებობს დარწმუნების სამი საშუალება, რომელსაც უწოდებენ: ეთოსს, პათოსს და ლოგოსს.

| | |
|---|---|
| დარწმუნების საშუალება | დარწმუნების საფუძველი |
| ეთოსი | ორატორის პერსონალური თვისება (დამაჯერებლობა) |
| პათოსი | ორატორი აღვივებს მსმენელის ემოციებს |
| ლოგოსი | ლოგიკური არგუმენტები გამოსვლაში |

რიტორიკის ხელოვნება საზოგადოების ცხოვრებასა და კულტურას დაუკავშირა მნიშვნელოვანი ბარი ბრამეტმა (Barry Brummet), რომელიც წიგნში: „რიტორიკა და საზოგადოების კულტურა“ („Rhetoric and Popular Culture”). წერს:

„საუკუნეების მანძილზე, როცა რიტორიკა ტრადიციულ ტექსტებთან იყო გაიგივებული, ადამიანებს მაინც ჰქონდათ ნიშნების, არტეფაქტებისა და ტექსტების ზეგავლენა, რომლებიც რიტორიკის ტრადიციულ ფორმას არ განეკუთვნეობდა. არაოფიციალური საუბრები, არქიტექტურა, ტანსაცმლის სტილი (მოდა), ჩვეულებრივი გართობა, საკვები - მოკლედ, მთელი რიგი კულტურული არტეფაქტებისა, ახდენდა მათზე გავლენას, ხოლო რიტორიკულ თეორები კი კვლავ ტრადიციულ რიტორიკულ ტექსტებად რჩებოდა.

საზოგადოების მიერ რიტორიკის აღქმის ეს ცვლილება ბადებს კითხვას - რა შეიცვალა რიტორიკის თვალსაზრისით XVIII საუკუნიდან დღემდე? დღეს ნიშნები ადამიანებზე სხვანაირად ახდენს გავლენას და ამიტომაც ჩვენ ყოველდღიურად მიღებულ ტექსტებს რიტორიკულს ვუწოდებთ, ხოლო 200 წლის წინ ამის საჭიროება არ იყო? გვაჩვენა თუ არა რიტორიკულმა თეორიებმა, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ ჩვენამას დღემდე ვერ ვაანალიზებდით? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რიტორიკაზე შეხედულება თეორიის ცვლილებებს უკავშირდება თუ სამყაროს ცვლილებას?“ (Barry Brummet. Rhetoric and Popular Culture)

ამგვარად, გაჩნდა საჭიროება, რომ რიტორიკას განსაკუთრებული ყურადღება დათმობოდა მასმედიის ანალიზის პროსესში. მარტინ მედჰარსტის (Martin J.Medhurst) და ტომას ბენსონის (Thomas W.Benson) წიგნის - „რიტორიკული განზომილებები მედიაში“ (კრიტიკული პრეცედენტების კრებული)“ (1984)) აღნიშნულია შემდეგი:

„რიტორიკა არის ერთი ადამიანის ან ჯგუფის მცდელობა - გავლენა მოახდინოს მეორეზე სტრატეგიულად შერჩეული და სტილისტურად დახვეწილი სიტყვით. საზოგადოებას შეუძლია უკვდავყოს საკუთარი თავი, იკამათოს თავისივე შიდა პრობლემებზე და გადაწყვიტოს, რა ნორმებს და ღირებულებებს დაეყრდნოს ისე, რომ ძალადობას არ მიმართოს.“ (Martin J.Medhurst, Thomas W.Benson.1984)

ქენეთ ბარკს (Khenneth Burke) და ვეინ ბუსს (Wayne Booth) ამბობენ, რომ ყველა სიმბოლიკური კომუნიკაცია თავისთავად რიტორიკულია, რადგან ის გამიზნულია კომუნიკაციისთვის, რიტორიკული კრიტიკა ინტერესდება იმით, თუ რა სახის კავშირი მყარდება ხდება გამოყენებული სიმბოლოებით.

აღსანიშნავია, რომ რიტორიკის ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დარწმუნებას. მედიაში ეს მეთოდი შესაძლოა გამოვლინდეს  როგორც გავლენა ან ეფექტი. რობერტ რუთი (Robert L.root Jr) 1987) თავის წიგნში „საზოგადოებრივი კულტურის რიტორიკა: რეკლამა, აპელირება (advocacy) და გართობა“ წერს:

„როცა ვაანალიზებთ ბეჭდურ და ტელე–რადიო რეკლამებს, ალბათ უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე სპეციფიკური რიტორიკული მექანიზმი (ხერხი), რასაც ავტორები იყენებენ.“((Robert L.root Jr) 1987)

არტურ ასა ბერგერის (2014) ნაშრომში „მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები: თვისებრივი და რაოდენობრივი მიდგომის შესავალი“ აღნიშნულია, რომ რიტორიკული ხერხებიდან ხშირად გამოიყენება ალეგორია, ალიტერაცია, ანტითეზი, შედარება, დეფინიცია, ოდა (ქება) , მაგალითების მოყვანა,  ირონია, მეტაფორა, მეტონიმია, რითმა, რიტმიკა.

აღსანიშნავია, რომ რიტორიკის ხელოვნების შემქნელები პრაქტიკაში იყენებენ ვიზუალური გამოსახულების რიტორიას. ფრანგი სემიოლოგი როლანდ ბარტესი (Roland Barthes), თავისი წიგნის - „იმიჯი, მუსიკა, ტექსტი“ წერს :

„არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ გამოსახულება გაცილებით სუსტია, ვიდრე მისი მნიშვნელობა; არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, რომ გამოსახულება ელემენტარულია ენასთან შედარებით და ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ ნიშნები ვერ გადმოსცემენ გამოსახულების ენით უთქმელ სიმდიდრეს“ (Roland Barthes.2011)

როდესაც განვიხილავთ სოციალურ მედიატექტების რიტორიკული ანალიზი ტარდება, საჭიროა განვიცილოთ არა მარტო ტექსტის შინაარსი და ენობრივი მხარე, არამედ ის ვიზუალური მასალა, რომელიც მას ახლავს თან. რადგან კვლევის მიზანია შეისწავლოს ფეისბუქსტატუსები, როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ინსტრუმენტი, რიტორიკული ანალიზი საშუალებას მოგვცემს, გავაფართოოთ ჩვენი მეთოდები ვიზუალური გამოსახულებებისა და ტექსტუალური დანამატების ანალიზისას.

ამგვარად, ლიტერატურის მიმოხილვისა და არსებული მასალის გაცნობის შემდეგ ჩნდება კითხვები: რა სახის კავშირები მყარდება და როგორ ხდება საზოგადოების მობილიზება კონკრეტული საკითხების ირგვლივ, როგორ ხდება ტექსტის ენობრივი მხარის შექმნა და რა გზით გენერირდება სოციალური შეტყობინებები. ამ კითხვებზე პასუხის გაცემის გზა ფეისბუქსტატუსებსა და აქტივობებზე დაკვირვებაა, ეს კი საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების საშუალებას მოგვცემს. აღნიშნული მასალის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა კვლევის დიზაინი.

## თავი 3. კვლევის დიზაინი (მიზანი, კითხვები, ჰიპოთეზები)

კვლევის მთავარ მიზანს „ფეისბუქსტატუსების“, როგორც თანამედროვეობის აქტუალურ თემათა რეპრეზენტაციის საშუალების შესწავლა წარმოადგენს. ჩემი მიზანია გამოვარკვიო, რა როლს თამაშობს სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულისტატუსებისაზოგადოების ინფორმირებაში.

საქართველოში „ფეისბუქი“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია, ამ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსები მნიშვნელოვანი ბერკეტია იმ გავლენიანი ადამიანების ხელში, რომელთაც საკუთარ გვერდებზე მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავთ შემოკრებილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ როგორ ხდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების აქცენტირება და ფორმირება ფეისბუქსტატუსების სახით“.

ვინაიდან კვლევის მიზანი საზოგადოების ინფორმირების გზების შესწავლას გულისხმობს, დაკვირვების სუბიეტები შეირჩაოთხი მთავარი კრიტერიუმის მიხედვით: დარგობრივი კომპეტენცია, “ფეისბუქზე“ მრავალრიცხოვანი მიმდევარი („გამომწერი“), სტატუსების გამოქვეყნების ინტენსივობა და საჭირბოროტო თემების აქტუალიზების ხარისხი.

საკვლევ პერიოდად განისაზღვრა მიმდინარე უახლოესი სამი თვე - 2019 წლის აპრილი-ივნისი. ეს დროპოლიტიკურად აქტიურ პერიოდს ემთხვევა, ქვეყანაში მიმდინარე პერმანენტული აქციების გამო და საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთსპეციფიკა, რომლის მიხედვითაც სტატუსები საზოგადოებაში ვრცელდებოდა.გარდა ამისა, საკვლევი თარიღი საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ იმასაც, თუ რამდენად ემთხვეოდა ფეისბუქში წამოჭრილი საკითხები მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს.

კვლევის დაწყებამდე ჩამოყალიბდა შემდეგი კითხვები:

1. რამდენადაა აქტუალიზებული რეალური პრობლემატიკის ამსახველი მნიშვნელოვანი საკითხები სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ სტატუსებში?
2. ვინ არიან ადამიანები, რომლებიც „დღის წესრიგს“ქმნიან სოციალურ ქსელებში?

3. რა კრიტერიუმებით ხდება ე.წ.გავლენის ლიდერების შერჩევა „ფეისბუქზე“?
4. რომელიფაქტორი ასრულებს მთავარ როლს მოსაზრების ლიდერის იმიჯის ჩამოყალიბებაში: თვითპრეზენტაცია, დარგობრივი კომპეტენცია, თუ ორგანიზაციათა შიდა სტრუქტურებთან კავშირი და ინფორმაციასთან წვდომა?
5. რა საერთო მახასიათებლები აქვთ იმ პირებს, რომლებსაც ფეისბუქში ყველაზე მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავთ შემოკრებილი?
6. რა თემატიკა პრევალირებს ფეისბუქში გავლენის ლიდერებად სახელდებულ პირთამიერ წამოჭრილ საკითხებში?
7. ემთხვევა თუ არა ფეისბუქში მათ მიერ ფორმირებული„დღის წესრიგი“ ტრადიციული მედიის „დღის წესრიგს“?
8. როგორი ურთიერთმიმართება არსებობს სოციალურ ქსელებსა და მედიას შორის - ტრადიციულ მედიაში გაშუქებულ კონკრეტულ მოვლენას ეხმაურება შეხედულების ლიდერი თუ პირიქით, იგი თავად წამოჭრის „ფეისბუქში“ პრობლემას, რომელიც შემდგომ მედიადისკურსში გადადის?
9. რამდენად დიდია „ფეისბუქმოსაზრების ლიდერთა“ გავლენა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასა და რეალური პრობლემების აქტუალიზებაში?
10. ელიუ კაცსისა და პოლ ლაზერფილდის „კომუნიკაციის ორსაფეხურიანი თეორიის“ მიხედვით, ერთსაფეხურიანი სისტემის დროს მედია პირდაპირ ახდენს გავლენას საზოგადოების აზრის ფორმირებაზე. ორსაფეხურიანი სისტემის მოქმედების დროს კი, იდეები მედიიდან გავლენიანი ადამიანებისკენ მიემართება, ხოლო გავლენიანი ადამიანები ამ იდეეებს ფართო საზოგადოებაში ავრცელებენ. რამდენად მუშაობს აღნიშნული თეორია ქართულ რეალობაში?
11. როგორი ურთიერთმიმართება არსებობს „ფეისბუქსა“ და ტრადიციული მედიას (ტელევიზია, რადიო, ბეჭდური პრესაა) შორის?
12. რა არის „ფეისბუქი“ ტრადიციული მედიის დამხმარე საშუალება თუ ალტერნატიული საკომუნიკაციო საშუალება?

კითხვებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები:

1. სოციალური ქსელის მულტიფუნქციური თვისება და სპეციფიკა-ხელი შეუშალოს პოლიტიკური ელიტის მიერ კომუნიკაციის საშუალებებზემონოპოლიას და ამავდროულად ხელი შეუწყოს დემოკრატიული პროცესების განვითარებაში მოქალაქეების ჩართვას-- განაპირობებს „ფეისბუქის“ აქტუალობის ზრდას.
2. იმის გამო, რომ ტრადიციული მედია ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებაში არსებული პრობლემატიკისგაშუქებას, „ფეისბუქის“ სტატუსები იძენს დამატებით მნიშვნელობას და ხდება ეფექტური ინსტრუმენტი, რათა მოსაზრების ლიდერებმა გამოხატონ მათი ინტერესები და პოზიციები.
3. ფეისბუქსტატუსი, როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ინსტრუმენტი, გამოიყენება მოსაზრების ლიდერების მიერ, რათა შეძლონ საკუთარი იდეების პოპულარიზაცია და სასურველი თვითპრეზენტაცია.

# თავი 4. კვლევის ძირითადი ნაწილი

## 4.1. „ფეისბუქსტატუსების“ რიტორიკული ანალიზი

ნათია ფანჯიკიძე

15 ივნისი - იმის მაგივრად ვინმემ თავიდან აგვაწყოს, შეგვაკოწიწოს, ჩაგვახუტოს, საზოგადოების დახლეჩას და ბრბოს ხროვის ინსტინქტს გამხნევება უნდა კიდევ ამ ქვეყანაში? და თქვენ ფიქრობთ, ბრბო ვინმეს დაგინდობთ, ძალა თუ მოიკრიბა? თუ გგონიათ, მიზეზს ვერ მოგინახავთ, რომ ნაჭრერ-ნაჭერ დაგგლიჯოთ? რა არის ასეთი აჟიოტაჟი, გეგონება ქვეყნის უმთავრესი პრობლემა ეს იყოს, გეგონება ჰომოსექსუალთა ლაშქარი იკრიბებოდეს, ისეთ ამბავს ტეხენ წმინდა წყლის ფარისევლები. იქნებ მოვუსმინოთ იმ ათიოდე აქტივისტს, რის თქმა უნდათ, ვიღაცის შვილები და ახლობლები ხომ არიან? რამე დააშავეს? კრიმინალი ჩაიდინეს? კრიმინალებსაც კი ჰყავთ ადვოკატები. ჰომოსექსუალებს კი მსოფლიოსთვის და საქართველოსთვისაც რა ინტელექტუალური კონტრიბუციაც აქვთ მოტანილი, ამის მემილიონედად მაინც დავუზარალებივართ მათ ორიენტაციას? სად იგრძენით საფრთხე? ხართ ჩემს მეგობრებში ისეთი, ვისაც რამე გაკადრათ ან შემოგთავაზათ ამ ხალხმა? გადაიტანეთ თქვენს თავზე, წარმოიდგინეთ ასეთ "უჩვეულო სიმახინჯედ" რომ გთვლიდნენ, როგორ იგრძნობდით თავს. რა ადამიანობაა ასეთი სიძულვილი? რატომ ვიყავით უფრო პროგრესულები გუშინ? ჭაბუკიანი მთაწმინდაზე დავკრძალეთ, გვეამაყებოდა, ვინ იკადრებდა მაშინ ჰომოსექსუალს ქვებით გაკიდებოდა. დღეს რა დაგვემართა? ოღონდ არ მითხრათ, მიტინგს ნუ აწყობენო. ადრე მიტინგი სულ არ ვიცოდით, ახლა კი ყველა აწყობს, ყველა თემაზე, ვისაც რა უნდა და მაინცდმაინც ეს ხალხი რატომ არ შეიძლება ქუჩაში ჩნდებოდეს? აღარ მინდა ქართველების საშიშ ფიზიკურ დაპირისპირებას და ვინმეზე თავდასხმას ვუყურებდე, არცერთ თემაზე. (1800 მოწონება)

2 ივნისი - იუდაიზმი ერთერთი ჰუმანისტური რელიგიაა, რაც ნიშნავს ღვთის შემწყნარებლობისა და სიკეთის რწმენას და ამავდროულად ადამიანის მაღალი ღირებულების გრძნობას. განსაკუთრებით საყვარლად ჩანს ეს სხარტ ხასიდურ

ისტორიებში. ხასიდები თანაბარი უფლებებით ურთიერთობენ ღმერთთან. ერთერთი ისტორიაა, - ხასიდი მკერავი, რომელიც კლიენტებს ნაჭერს პარავდა, ღვთის წინაშე სამსჯავროზე წარსდგა, ჩახედა ღმერთს თვალებში და დაიწყო გარიგება, - ღმერთო, მე ხომ გაპატიე ადამიანების ავადმყოფობა, ომები, გაჭირვება, ტანჯვა და ტკივილი, ახლა შენ მაპატიე ნაჭერს რომ ვიპარავდიო, - თავხედი, ჩვეულებრივი.

მსგავსი სითამამე, რაც ხასიდურ ენამოსწრებულ ცელქობებშია, ქართველების აღქმაში სასჯელის შიშს იწვევს. შიში კი უნდობლობაა. ჯანსაღ შემთხვევაში შვილი მშობელს უნდა ენდობოდეს და უწყინარი საქციელისთვის საფრთხეს არ ელოდეს მისგან. ამ შიშით სარგებლობენ მაღალნი ამა ქვეყნისანი და მეტი მოკრძალება რომ გამოიწვიონ, ხატებს და სანთლებს იფარებენ, ასე იგერიებენ რეალური პრობლემების გამო მათ მიმართ უკმაყოფილებას და ასე ცდილობენ გახდნენ ხელშეუხებელნი. ქუთაისური ანეკდოტის არ იყოს, ჭიჭიკია რომ ტრაბახობს, ვინ გამლახავს მე? მე გაგლახავო, ერთმა. რა გქვია შენო? ნოდარიო.. გადახვია ჭიჭიკიამ ხელი და ვინ გაგვლახავს მე და ნოდარისო, უღრიალა ბირჟას მრისხანედ. ადამიანებს და განსაკუთრებით ქართველებს სიცილზე უკეთესი მენტალური თავშესაფარი არ გვაქვს. სიცილი გიცავს გარესამყაროსგან, სიცილი გიცავს საკუთარი თავისგან, ტკივილისგან, უხერხულობისგან, გასაჭირისგან. სიცილის უნარის დაკარგვა ნიშნავს აღარ არსებობდე ადამიანად. სიცილი დაცინვას და ბოროტებას არ უნდა გაურიო და იცინე შეკაცო (შექალო). უყვარს ღმერთს მხიარული ადამიანები. შესცინე მზეს, სიცოცხლეს, გაიცინე ადამიანურ სისუსტეებზე. ნუ გეშინია. არ დაისჯები ამისთვის. იუმორის გრძნობა, როგორც ტკივილგამაყუჩებელი, ღმერთმა მოგცა შენ. (765 მოწონება)

8 მაისი - პატრიარქის ინიციატივა, "ოჯახის სიწმინდის" დემონსტრაცია დაუპირისპიროს უმცირესობის თვითგამოხატვის დღეს, დიპლომატიურ ნაბიჯად ჩავთვალე. ამით მან რაღაც მოიმოქმედა, უფრო მშვიდობიანი, რომ ათასი საყოფაცხოვრებო ნივთით შეიარაღებული მღვდლების და მრევლის ბობოქარი ვნებები მოეთოკა და ალტერნატივა შეეთავაზებინა, ამით დაეცვა ლგბტქ თემიც ფიზიკური ძალადობისგან და დაეცვა მრევლიც, სიძულვილით დაბრმავებისგან. ქუჩაში

აყალმაყალის გარეშე, ერთდროულად ყოფნა დაასწავლა. წინ გადადგმული ნაბიჯია. იმედია, შემდეგი ნაბიჯიც მალე დადგება, როცა ადამიანების წმინდა და უწმინდურ ჯგუფებად გაყოფასაც აღარ ექნება ადგილი.

ჩემი მხრივ კი მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ როცა იმდენად გავიზარდე, რომ გავიაზრე, - არარაობა ვარ, იმასაც მივხვდი, - სიყვარულის გარდა უფლება არ გამაჩნია. მერე იმასაც რომ მივხვდი, იმდენად მაინც ვერ გავიზარდე, ყველა ადამიანი თანაბრად მყვარებოდა, კიდევ უფრო დავრწმუნდი ჩემს პაწაწინობაში და არარაობაში. წმინდა მხოლოდ იმდენად ხარ, რამდენ სიყვარულსაც შეძლებ. სიწმინდის პირველ კლასში სიძულვილის გაქრობა უნდა შეძლო, - თუ ვერ შეიყვარებ, გულგრილობა აკმარო შენი აზრით "ცუდიანებს". შემდეგ კლასებში გადასასვლელად კი იბრძოლო შენს არარაობა თავთან, რომ სიყვარულში იმეცადინო, რამდენადაც გამოგივა.

ჩვენ ერთადერთი სვლა-გეზი გვაქვს, -

გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.

ჩვენმა ღმერთმა ამ ღვთაებრივ მცნებაში მტერიც იგულისხმა, მითუმეტეს, მოყვასის ნიშან-თვისებების ჩამოთვლა და დახარისხება არ დაუწყია.

გარდა იმისა, რომ კომიკურია, საკუთარ თავს იაფად მიანიჭო "უფრო წმინდას" ტიტული, არ შეიძლება გძულდეს ის, ვინც შენგან სიყვარულს ითხოვს. აი, შემოგვხედეთ, ჩვენ რა წმინდა ოჯახები გვაქვსო, არასწორი პასუხია იმ ადამიანების გულისტკივილზე, რომლებსაც უამრავ დაუმსახურებელ იარლიყს აკერებენ, მათი ფიზიკური თავისებურების გამო ბრაზით და აგდებულად მოიხსენიებენ. "სახლში დაეტიონო" - პასუხი აქვს ბევრს, დავიზეპირეთ უკვე, მაგრამ მხოლოდ მაშინ "დაეტევიან სახლში", როცა "დაიმალე და დაეტიეს" აღარავინ ეტყვის. ჩვენ ყველას თანაბრად გვაქვს მზის სინათლეზე ყოფნის და საკუთარი, ერთმანეთზე უფრო არარაობა თავების გამომზეურების უფლება.

21 აპრილი - რაც შეეხება ქართულ საშინელებათა ჟანრის ჟურნალისტიკას, - სუიციდის და არამარტო სუიციდის, მკვლელობების და სხვა ტრაგედიების გაშუქებაზე უნდა დაწესდეს მკაცრად დარეგულირებული სტანდარტი, რადგან ამგვარი ინფორმაციების

სტანდარტის დაცვის გარეშე მიწოდება არა მხოლოდ მოსახლეობას აავადებს შფოთვითი აშლილობით და დამფრთხალს და ქმედითუუნაროს ხდის ადამიანებს, არამედ, სუიციდისა და მკვლელობების საკითხში არსებობს ტალღისებური გადადება, ქცევის კოპირება და იმ ადამიანთა ფსიქიკისთვის, ვისაც მსგავსი ფიქრი უტრიალებს და მსგავს ფიქრს ებრძვის, ბიძგის მიმცემი აღმოჩნდება ხოლმე. ერთმანეთის გადარჩენაში თავის წილი პასუხისმგებლობა ყველამ უნდა იგრძნოს, თორემ საშველი აღარაა.

13 აპრილი - სანამ რუხი მგლის, გოჭის და წითელქუდას ბებიის როლებით ვარ დაკავებული, თურმე ახალი ტენდენცია დამკვიდრებულა ეროვნულ პოლიტიკაში, - მურუსიძის გარდა ყველა ნაციონალად გამოუცხადებიათ. უფრო მეტიც, მურუსიძისთვის გმირის წოდება შალვა შავგულიძეს წაურთმევიაო. ხოდა, რადგან ყველა, ვინც არასდროს ყოფილა ნაციონალი, ნაციონალად შეირაცხა, ამიტომ, აწი ამ ახლად იარლიყმიკერებულ, "ნაციონალ" შალვა შავგულიძეს, უჭკვიანეს იურისტს, ღირსეულ ადამიანს, ყალბი სენტიმენტებისგან სრულიად თავისუფალ, სადა და არაპოპულისტ, არასპეკულანტ, სოლიდურ, პატიოსან და ვაჟკაც კაცს ვაძლევ ხმას, რადგან პარლამენტში პროფესიონალების ადგილია. თუ ქვეყანა გვინდა რამეს ჰგავდეს, კანონები უნდა წერონ საქმის მცოდნე ადამიანებმა.

შალვა ის კაცია, რომელიც უხმოდ წავიდა აფხაზეთში რუსებთან საომრად, ის კაცია, ერთადერთი რომ ედგა ირინა ენუქიძეს გვერდზე, ის კაცია, რომელიც ხმამაღალი განცხადებების გარეშე დაუდგა ირაკლის გვერდზე, როცა უსამართლობა დაინახა, ისიც მახსოვს, როგორ ცდილობდნენ მის გადაბირებას და ასეთივე სიმშვიდით შეხვდა ყოველ მცდელობას, ის კაცია, ვინც, ირაკლის მეგობრადწოდებული ხალხიც რომ მთავრობას მიუცუცქდა, ასევე გულზე მჯიღის ბრაგუნის და თავისი ღირსებებისთვის ხაზგასმის გარეშე პარტიაში დარჩა და პარტიას არსებობა შეუნარჩუნა. რამეს ნიშნავს თქვენთვის ეს თვისებები და ღირებულებები ადამიანში? მაშინ მთაწმინდის ოლქში ღირსეული არჩევანი არსებობს. არ ნიშნავს? გააგრძელეთ საკუთარი და ქვეყნის ბედის ჭედვა თქვენებურად, ოღონდ წუწუნს უკელით, როცა შედეგი ნაკლებად მშვენიერი მოგეჩვენებათ ხოლმე.

**მაგალითების მოყვანა**- არის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რომელსაც ის საკუთარი პოზიციის გასამყარებლად იყენებს. იუდაიზმის, როგორც რელიგიური ჰუმანიზმის მაგალითად ხასიდური ისტორიების მოხმობა და მის გვერდით ქუთაისური ანეგდოტის გახსენება ერთგვარ ეკლექტურ ნარატივს ქმნის, თუმცა ავტორის სიძლიერეც იმაში მდგომარეობს, რომ რელიგიური პასაჟისა და ენამოსწრებული ანეგდოტის ერთ სტატუსში გაერთიანებით, ის მეტად ცოცხალსა და დინამიკურს ხდის სათქმელს.ავტორი მიზანს აღწევს შერჩევითი აღქმის მაღალი ხარისხის წყალობით.

**ალეგორია** - სტატუსებში ხშირად გვხვდება იგავები, განსაკუთრებით რელიგიურ თემატიკაზე - ხასიდი მკერავის ამბავი და ბრბოს ინსტინქტის მოშველიება. ეს არის ერთგვარი ალეგორია იმისა, რომ თანამედროვე ქართული საზოგადოება ვერ ახერხებს იყოს თვითორგანიზებული ძალა, რომლიც ლოგიკურ არჩევანსა და არგუმენტებს ეყრდნობა და ნაცვლად ამისა შინაგანი ინსტინქტების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

**მეტაფორა** -15 ივნისის სტატუსში, რომელშიც საუბარია „ლგბტ თემის“ მიერ მოწყობილ აქციასა და ასევე, მათს საწინააღმდეგოდ მიმდინარე კონტრ აქციაზე. ნათია ფანჯიკიძე იყენებს თხრობის ილია ჭავჭავაძისეულ სტილს - „იმის მაგივრად ვინმემ თავიდან აგვაწყოს, შეგვაკოწიწოს, ჩაგვახუტოს, საზოგადოების დახლეჩას და ბრბოს ხროვის ინსტინქტს გამხნევება უნდა კიდევ ამ ქვეყანაში?“

**კონოტაცია/დენოტაცია** - ფანჯიკიძის სტატუსები გამოირჩევა იმითაც, რომ ზოგჯერ რიტორიკული დეკოდირება არ არის საჭირო იმის გასაგებად, თუ რისი თქმა სურდა. ჟურნალისტური ეთიკისა და სტანდარტების დაცვაზე საუბრისას ის პირდაპირ ამბობს სათქმელს და სტატუსის დენოტაციური მნიშვნელობა უთანაბრდება კონოტაციური შეტყობინების შინაარსს.

**დარწმუნება** - ხოლო 13 აპრილის სტატუსში, რომელშიც ნათია ფანჯიკიძე ცდილობს, საზოგადოებას აუხსნას, რომ მთაწმინდიოს ოლქში შალვა შავგულიძე მაჟორიტარობის ღირსეული კანდიდატია, იყენებს დარწმუნების ხერხებს. ის ცდილობს შავგულიძის

მიერ გატარებული ყველა ღირსეული ნაბიჯი გაახსენოს მოსახლეობას და ამით დაარწმუნოს, რომ მათი არჩევანი შავგულიძის სასარგებლოდ უნდა შეჩერდეს.

**ზოგადი ანალიზი**- ნათია ფანჯიკიძის მიერ გამოქვეყნებული სტატუსები შინაარსობრივად მიჰყვება მიმდინარე მოვლენებს და ამავდროულად ასახავს პირადი ისტორიებსაც: შვილიშვილთან ურთიერთობა, შვილებთან დამოკიდებულება, პერსონალური ისტორიები საკუთარი გამოცდილებიდან... ფანჯიკიძის ფეისბუქსტატუსებს ხშირად თან ახლავს თხრობის ექსპრესიული სტილი. ის, როგორც ფსიქოლოგი სწორედ ფსიქო-სოციალური ჭრილიდან უყურებს მოვლენებს და საზოგადოების წევრებს საკუთარი თავის სხვის ადგილას წარმოდგენისკენ მოუწოდებს. საკუთარ სტატუსებში ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ემოციებზე- ბრაზი, შიში,სიძულვილი, სიყვარული, სიკეთე... აღსანიშნავია, რომ პათოსის, მეშვეობით ნათია ფანჯიკიძე აღვივებს საზოგადოებაში არსებულ გრძობებს.

ლაშა ბუღაძე

3 მაისი - რატომ კარგი აგიგია..." - ეროვნული წიგნის ცენტრი გააუქმეს! მაგიური სიტყვებით, "რეორგანიზაცია" და "გაერთიანება" დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი "აღგავეს პირისაგან მიწისა". ასევე, გაუგებარია, რა ბედი ეწევა განახლებულ და აქამდე ეფექტურად ფუნქციონალურ "მწერალთა სახლს"?! რატომ ერჩიან მაინც და მაინც წარმატებულ და, რაც მთავარია, თავისუფალ (!) პროექტებს? ეჭვი არ არის, ეს გამიზნული მავნებლობა და სადამსჯელო ოპერაციაა... სხვანაირად გაუგებარია, ასე საჩქაროდ, მალულად, კარჩარაზულ კაბინეტებში, დისკუსიის და განხილვის გარეშე, რატომ გადაწყვიტეს "ეკონომიკურად სასიცოცხლო რეფორმის" ჩატარება? ლიტერატურულად აქტიური 2018 წლის შემდეგ სამწუხარო უკუშედეგი მივიღეთ: აღარც "წიგნის ცენტრი", აღარც "მწერალთა სახლი", აღარც "საბა"... მგონი, "თხა და გიგოს" ეტაპს ვუბრუნდებით.[9]

[9]გამოხმაურება სამინისტროს გადაწყვეტილებაზე იხ. https://www.bm.ge/ka/article/kulturis-sferoshi-arsebuli-ssip-ebi--gaertiandeba-/33358

21 მაისი - ეს ადამიანი აქ ძალადობრივი სისტემის შესახებ გამოთქვამს თავის აზრს მთაწმინდის არჩევნების კონტექსტში, რაც შესაძლოა ვიღაცისთვის საკამათო იყოს, ვიღაცისთვის არა, მაგრამ ამ შემთხევაში არა თემა, არამედ სიმბოლოა მნიშვნელოვანი - ზურგს უკან მას მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ძალადობრივი სისტემის "ხატება" - ბოლშევიკების წითელი დროშა უკიდია თავისი ნამგალით და უროთი, რომლის ფრიალის ფონზეც მილიონობით ადამიანი გააქრეს და მოკლეს სსრკ-ს გულაგებში. მათ შორის, აქტუალურ მთაწმინდაზე, ინგოროყვას 22-ში (ყოფილ ძერჟინსკის ქუჩაზე), სადაც წესით მუზეუმი უნდა იყოს გახსნილი, რომელიც ისტორიის ფეხებზე დამკიდებლებს კიდევ ერთხელ შეახსენებდა, რა სისხლიანი კოშმარი ტრიალებდა ხსენებული წითელი ალმის ქვეშ. პუტინის საამებლად დღესაც ამავე დროშას აფრიალებენ ნეოსტალინურ-ოლიგარქიული რუსეთის ეპიცენტრში - წითელ მოედანზე და პროპაგანდისტულ-პუტინისტურ "9 მაისებზე". მსგავსი წარმატებით შეგვიძლია გამოვიკიდოთ მესამე რაიხის ნაცისტური "სვასტიკა", თუკი ვფიქრობთ, რომ სიმბოლოებს იმაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია, ან სულ მცირე, ძალადობაზე მაინც არ ვისაუბროთ, თუკი სტალინის დროშით კეკლუცობის ჟინს ვერ ვძლევთ ჩვენში.[10]

27 მაისი - ცხადია, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ აზერბაიჯანი ჩვენი მეგობარია და არავითარ შემთხვევაში - მტერი, არაერთ აზერბაიჯანელს გაუწირავს თავი და უბრძოლია ჩვენი ქვეყნისთვის - სიტყვით თუ საქმით, მეგობართან კი ყოველთვის შესაძლებელია მოლაპარაკება - თუნდაც ისეთ რთულ საკითხზეც კი, რომელიც მოუგვარებელ მემკვიდრეობად გვერგო სტალინ-ორჯონიკიძის დანაშაულებრივი ეპოქიდან. ყველას სიფრთხილე და სიბრძნე გვმართებს ამ პროცესში, რათა საბოლოოდ კრემლი არ გამოვიდეს გამარჯვებული და პროვოკატორების მეშვეობით, ბოლოს თავად არ მოგვევლინოს ჩვენს შორის "მშვიდობისმყოფელად". უამრავი მეთოდი არსებობს (მათ შორის, ევროპის გამოცდილებით), თუ როგორ შეიძლება ცივილიზებულად

[10](გამოხმაურება ზურაბ ჯაფარიძის წინასაარჩევნო მოწოდებაზე იხ. http://liberali.ge/news/view/45241/ar-gendobit-rom-tqvens-khelshi-sistema-naklebad-dzaladobrivi-iqneba--jafaridze-evropul-saqartvelos?fbclid=IwAR1INU1D_Hiqa0kZ9Sp72k_kYQOxLHlgrE3tsXieBxLaMVXXlWMVagAq4hU

გადაწყდეს თუნდაც ამგვარი დელიკატური და ისტორიულად უმნიშვნელოვანესი საკითხი, მთავარია, პროვოკატორებს და არამზადებს არ მივცეთ ხელის მოთბობის საშუალება, ჩვენ კი გამოუსწორებელი შეცდომა არ დავუშვათ. ჩვენი პროტესტის მთავარი სამიზნე საქართველოს ხელისუფლება უნდა იყოს, რომელსაც აქ მაინც (!) უნდა მოვთხოვოთ პროფესიონალიზმი და ადეკვატურობა! პროტესტს იმსახურებს სერიოზულად ვერაღქმული, მაგრამ უკვე სერიოზული პრობლემების შემქმნელი პრეზიდენტი, რომლის ჩვეული, ინფანტილურად თუ ცნობიერად (ან განზრახ) გაკეთებული განცხადებები მერამდენედ გვექცა დამაფიქრებელ და სახიფათო თავისტკივილად. კრემლი ყოველთვის მოწადინებულია, რომ როგორმე ახლებურ მარაზმში შეგვიყოლიოს, ამიტომ ათმაგი და ასმაგი ყურადღება გვმართებს. გვახსოვდეს, რომ ის ვინც ქსენოფობიას და შუღლს აღვივებს - ვინც არ უნდა იყოს იგი! - კრემლის საქმეს აკეთებს. ჩვენი სიმართლე ჩვენსავე სიბრძნეში, თანმიმდევრულობასა და ცივილიზებულობაშია. ზოგადად კი - ჩვენი რეალობის და არა მხოლოდ ამ პროცესის დახასიათების კუთხით - ერი მაშინ ცდილობს ისტორიული "პრობლემების" მოგვარებას, როცა ვეღარაფერს აგვარებს აწმყოში, მომავალი კი უპერსპექტივოდ გამოიყურება...

16 ივნისი - მაგრამ კიდევ უფრო მძვინვარე ცეცხლოვანი გეენა ელის ქრისტიანობის სახელით მოქადაგე და პოლიტ თუ ფინანსური კაპიტალის მომხვეჭ პაწუა ანტიქრისტეებს, ამ უბადრუკ ნეო-სერგო ორჯონიკიძეებს, კრემლის ჭ-კლასის ბიზნესმენებისგან გადმოსროლილი "30 ვერცხლით" გამდიდრებულ "ცაკალელ" თვითდამტკბარ-ნარცის პროვოკატორებს (ზოგ-ზოგიერთების მოსკოვურ ბიოგრაფიებში მართლაც რომ ფიგურირებს გვარი "ორჯონიკიძე")! [11]

---

[11]იხ. გამოხმაურება პუბლიკაციაზე https://www.radiotavisupleba.ge/a/%e1%83%af%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%9b%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%90%e1%83%95%e1%83%90%e1%83%93%e1%83%9b%e1%83%a7%e1%83%9d%e1

21 ივნისი - დღეს ისევ გაგრძელდება საპროტესტო აქცია ვინმე ივანიშვილის დამაბრმავებელი, დანაშაულებრივი და თავმოყვარეობის დამაჩლუნგებელი რეჟიმის წინააღმდეგ! თუმცა შესაძლოა ერთ დღეში მიზანს ვერც მივაღწიოთ, რადგან ჩვენი ისტორიიდან სხვადასხვანაირი მაგალითები, შესაბამისად, გამოცდილება გვაქვს, ამიტომ უნდა მოვემზადოთ შესაძლო ხანგრძლივი, პრინციპული, დაუღლელი და ერთმნიშვნელოვნად მშვიდობიანი (!) პროტესტისათვის! გვახსოვდეს, რომ მთავარი ძალა ჩვენი საზოგადოება და ახალგაზრდებია, რომელთაც არ უნდათ ფაშისტოიდურ-პუტინისტურ პროვინციაში ცხოვრება, ამიტომ ზოგიერთ პოლიტიკოსს ვთხოვ, თავი შეიკავოს გაუაზარებელი და მარცხზე ორიენტირებული თვითნებობისგან - ყველა გადაწყვეტილება უნდა შეუთანხმდეს ხალხს, დემონსტრანტს, რომელიც ამ პროცესის მთავარი წარმართველია! ნუ ხართ დროში ჩარჩენილები - მოვიდა ახალი თაობა, რომელიც თქვენგან განსხვავებული ეთიკით და პასუსიხმგებლობით გამოხატავს თავის სამოქალაქო პროტესტს! გაიგონოს ყველამ, რასაც არ უნდა ფიქრობდეს და სადაც არ უნდა იყოს: ნუ თ ვ ი თ ნ ე ბ ო ბ თ! ჩვენი მოქალაქეები კი არ უნდა დაკომპლექსდნენ ქართველი პოლიტიოსების აქტიურობით, რადგან ეს უბრალოდ ინფანტილიზმი და აბსურდია, გვახსოვდეს, რომ გუშინ კომუნისტ-პრავოსლავნი გავრილოვი გვეჯდა საქართველოს პარლამენტში და ასე თუ გაგრძელდა, შესაძლოა საოცნებოდ გაგვიხდეს ქართველი პოლიტიკოსი...

**ალეგორია** - წიგნის ეროვნული ცენტრთან დაკავშირებულ რეაორგანიზაციას ლაშა ბუღაძე ეხმაურება ფრაზით - "აღგავეს პირისაგან მიწისა" - ძველი აღთქმიდან „დაბადება. თავი 7“ არგუმენტად გამოყენებული ფრაზა ალეგორიულად მიანიშნებს მკითხველს წიგნის ცენტრის ფუნქციონირების დასასრულზე. რომ ძველი დრო წარსულს ჩაბარდა. სამიზნე აუდიტორია ხვდება, რომ ორი სიტყვა „რეორგანიზება“ და „განახლება“, რომელიც სამინისტრომ დააანონსა მხოლოდ შირმაა. ლაშა ბუღაძე

%83%a4%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/30002307.html?fbclid=IwAR3vSRxvjCSxFbHt8sNlr2Pik93wY8KQ00AVgI8NzOZEQqVJSjYyBHaLEVg)

რელიგიური პასაჟის მოხმობით კი აძლიერებს თავისი სათქმელის შინაარსობრივ-ესთეტიკურ მნიშვნელობას.

**მეტაფორა/მეტონიმია** - მეტაფორის ის სახე, რომელსაც ავტორი იყენებს არის პარალელი. წიგნის ეროვნულ ცენტრთან დაკავშირებული ცვლილებების ნეგატიური მნიშვნელობის გენერირება ხდება ანალოგით, რომელიც გამოხატულის ფრაზაში - „რატომ კარგი აგიგია“. ამ ფრაზას მეტონიმისს ფუნქციაც აქვს, რადგან საზოგადოებაში უკვე არსებობს ცოდნა რას ნიშნავს კარგის აგებისთვის პასუხისგება. აუდიტორიის გონებაში მყისიერად ამოტივტივდება კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“. შესაბამისად აღარ არის საჭიროება მკითხველს დამატებით აუხსნა რატომ არის ცუდი წიგნის ცენტრის რეორგანიზება.უნდა აღინიშნოს წერის დამახასიათებელი სტილი, რომელიც შენარჩუნებულია „ფეისბუქსტატუსებში“-შეაერთოს სიტყვები, გაათანაბროს რეჟიმები პერსონებთან. „ფაშისტოიდურ-პუტინისტური“, „კომუნისტ-პრავოსლავნი გავრილოვი“ და ა.შ.

**დეფინიცია** - პოლიტიკური პარტია „გირჩის“ ხელმძღვანელის საარჩევნო მოწოდებას ეხმაურება ლაშა ბუღაძე და საკუთარ სტატუსში სემიოტიკურ დონეზე განიხილავს ჯაფარიძის ვიდოეჩანაწერს. კონოტაციური და დენოტაციური ნიშნების დეკოდირებით ბუღაძე ხაზს უსვამს მათს შეუთავსებლობას. მწერალი ხაზს უსვამს ერთი მხრივ ჯაფარიძის ღია პოზიციას ძალადობის წინააღმდეგ და მეორე მხრივ განიხილავს თუ რატომ იყენებს საბჭოთა კავშირის სიმბოლიკას პოლიტიკოსი, რომელიც ძალადობრივ რეჟიმს გმობს. „ზურგს უკან მას (ჯაფარიძეს) მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ძალადობრივი სისტემის "ხატება" - ბოლშევიკების წითელი დროშა უკიდია თავისი ნამგალით და ურითი, რომლის ფრიალის ფონზეც მილიონობით ადამიანი გააქრეს და მოკლეს სსრკ-ს გულაგებში“, - წერს ლაშა ბუღაძე. საბჭოთა სიმბოლოების დეტალური დეფინიციით ავტორი მიდის მთავარ სათქმელამდე, რაც მისი სტატუსის ბოლოს პირდაპირ წერია - ზოგიერთმა პოლიტიკოსმა სტალინის დროშით კეკლუცობის ჟინს ვერ სძლია.

**ირონია** - ლაშა ბუღაძეფარულ ირონიას მიმართავს ხელისუფლებასა და მოქმედ პრეზიდენტზე საუბრის დროს და დავით გარეჯის პრობლემის გაანალიზებისკენ

ირონიული გზით მოუწოდებს. „საქართველოს ხელისუფლება უნდა იყოს, რომელსაც აქ მაინც (!) უნდა მოვთხოვოთ პროფესიონალიზმი და ადეკვატურობა! პროტესტს იმსახურებს სერიოზულად ვერაღქმული, მაგრამ უკვე სერიოზული პრობლემების შემქმნელი პრეზიდენტი, რომლის ჩვეული, ინფანტილურად თუ ცნობიერად (ან განზრახ) გაკეთებული განცხადებები მერამდენედ გვექცა დამაფიქრებელ და სახიფათო თავისტკივილად.“ ფრაზა „აქ მაინც“ ირიბად მიგვანიშნებს, რომ სხვა ტიპის საკითხებში ხელისუფლებას პროფესიონალიზმს ვერ სთხოვს საზოგადოება. ეს ერთგვარი მეტაფორაა იმისა, რომ სახელისუფლებლო შტო მზად არ არის სერიოზული გამოწვევების წინაშე იყოს პასუხისმგებლიანი და ადეკვატური.

**დარწმუნება** - დავით გარეჯზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობაზე საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად ლაშა ბუღაძე დარწმუნების მეთოდ იყენებს - „გვახსოვდეს, რომ ის ვინც ქსენოფობიას და შუღლს აღვივებს - ვინც არ უნდა იყოს იგი! - კრემლის საქმეს აკეთებს. ჩვენი სიმართლე ჩვენსავე სიბრძნეში, თანმიმდევრულობასა და ცივილიზებულობაშია.“

**ანალიზი** - ლაშა ბუღაძის სტატუსებში ხშირად შევხვდებით ტროპული მეტყველების სახეებს, ისევე, როგორც რიტორიკულ ხერხებს. შინაარსობრივად მისი სტატუსები უკავშირდება მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს : მთაწმინდის ოლქის არჩევნები, დავით-გარეჯის საკითხი, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის „წმინდა ნინოს გზა და ბოლოს ანტისაოკუპაციო აქცია. აქვე აღსანიშნავია, რომ ის, როგორც მწერალი აქტიურად მსჯელობს წიგნის ეროვნული ცენტრის არსებობის საკითხებზე და ცენტრთან დაკავშირებულ ცვილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ მედიაში აღნიშნული თემა არ გაშუქებულა, როგორც მთავარი ახალი ამბავი და მედიის დღის წესრიგში მთავარ საკითხად არ დასმულა. მწერალი თავისი ფეისბუქსტატუსების, პოსტებისა დაპეტიციების მეშვეობით, ცდილობდა საზოგადოებისთვის დაენახებინა ცენტრის უცვლელად არსებობის მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მრავალფეროვანი მეტყველების სახეებისა და ამბის გადმოცემის ექსპერსიული სტილისა, ლაშა ბუღაძის სტატუსები უფრო მეტად გამოირჩევა ლოგოსის დონეზე, რაც არისტოტელეს რიტორიკაში ახსნილია, როგორც აქცენტი ლოგიკურ არგუმენტებზე. მის

მიერ გამოყენებული რიტორიკის ხერხებიც ძირითადად ლოგიკურ მსჯელობას ემყარება.

ნიკა გვარამია

25 ივნისი - დავაკვირდი მიტინგის მხარდამჭერი პოლიტიკური სპექტრის რეაქციებს ნულოვანი პროპორციული სისტემის თაობაზე:

უნდა ვთქვა, რომ ძალიან ამაყი ვარ, ამჯერად უკვე პარტიებით. ცხადია, ეს სისტემა ძალიან სერიოზულ საფრთხეებს და მძიმე რისკებს შეიცავს, პირველ რიგში, მსხვილი პარტიებისთვის. თუმცა, უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება, როგორი სახელმწიფოებრივი და პასუხისმგებლობიანი იყო მთავარი პოლიტიკური აქტორების რეაქცია - გვერდზე გადადეს ყველა კითხვის ნიშანი, ურთიერთდაპირისპირება, დარტყმის ქვეშ არ დააყენეს არც ახალგაზრდების მონაპოვარი და არც ერთიანობის ძალა, უმოკლეს დროში უსწორესად შეაფასეს ვითარება და ერთადერთი სწორი პასუხი გასცეს რუსი ოლიგარქის მიერ შემოგდებულ უმთავრეს საფრთხეს - დაენგრია ერთობა და მომიტინგეების მიმართ ერთიანი თანაგრძნობა და გულშემატკივრობა. უპასუხეს უფრო მეტი ერთობით და უფრო მეტი რაციონალიზმით. და ზუსტად ვიცი, ეს იქნებოდა ძალიან, ძალიან რთული. მაგრამ მაინც შეძლეს!

ყოჩაღ! ყველანი წინ წავედით ამასობაში და, რაც მთავარია, მთელ მსოფლიოს ვაჩვენეთ, რომ რუსეთი ყველას საერთო მტერია და სამშობლოს ინტერესები ჩვენთვის ყველაფერზე მაღლა დგას! ყველას დიდი მადლობა ამისთვის! ესაა ჩემი სამშობლო, ეს მიყვარს და ეს ღირს თავგანწირვად! უზურპატორი უნდა წავიდეს!

23 ივნისი - დღეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ხარისხიც გაიზარდა აქციაზე, მოთხოვნების მკაფიოობა და მიზანმიმართულობაც გამოჩნდა. პოლიტიკოსების ალაგ ალაგ, ასე ვთქვათ, "ჩაფენაც" სწორი იყო, სუსის პროვოკატორებთან ქვემოთ თუ სცენაზე ღიად და მოურიდებლად გამკლავებაც, "ქართული ოცნების" ოფისისკენ მსვლელობაც და ხელისუფლებისთვის მოთხოვნებზე პასუხის გასაცემად განსაზღვრული დროის მიცემაც. ხვალ კიდევ უკეთესი იქნება, მჯერა.

21 ივნისი - ამასობაში, ხალხი როგორ გაზრდილა და პოლიტიკური კლასი საერთოდ ვერ ეწევა, ბევრად უკანაა. აუცილებლად უნდა იზრუნონ თვითონაც, და ჩვენ ყველამაც, რომ პოლიტიკური კლასი განვითარდეს, დაეწიოს და გაუთანაბრდეს ხალხს.

ვინც ახლა იტყვის რო ნაცურ, ევსაქურ თუ კიდე რაღაცური აქციაა, ჯერ დაგახურავთ თავზე და მერე ამოგშლით ფრენდებიდან.

21 ივნისი - მე არ ვიცი, ეს რა ხალხი გვყოლია, თუ გამომსვლელი, თუ მსმენელი. მიტინგი კი არა, საჯარო ლექციაა ფაქტიურად. ეს არის ნამდვილი და საუკეთესო საქართველო. ამ საქართველოს ესროლა, ცემა და თვალები დათხარა ქართულმა ოდესღაც საამაყო პოლიციამ. ამ საქართველოს წაართვა რუსმა ოლიგარქმა ხელისუფლება და თავისუფლება. უზურპატორი უნდა წავიდეს!

18 ივნისი - აქამდე არ მეგონა, თუ ასე გაუგებრად ვსაუბრობდი ან ვწერდი. მოკლედ, ბევრი შეკითხვის პასუხად, დავაჯამებ ყველაფერს, რაც პრაიდზე ამ დღეების განმავლობაში ვთქვი. იმედია, გასაგებად ვიტყვი ამჯერად. ყველა შემთხვევაში, ბოლოჯერ ვაკომენტარებ ამ თემაზე:

1. პრაიდი გამოხატვის ლეგიტიმური ფორმაა, თუმცა მე არ მიმაჩნია რაციონალურ გადაწყვეტილებად. საზოგადოების დასავლურად ორიენტირებული უმრავლესობის დიდ უმრავლესობასაც კი (მათ შორის, ჩემს ირგვლივაც, განათლებულ, მოდასავლეთე, ჩემთვის საყვარელ ადამიანებს) არ აქვს გამოხატვის ამ ფორმის მიმართ არათუ კეთილგანწყობა, არამედ მიმღეობაც კი. ამ მოცემულობის არგათვალისწინება არ მგონია სწორი და არც "გადავტეხოთ რეალობა" მესიჯი მიმაჩნია ადეკვატურად და რელევანტურად, თემის სენსიტიურობის და ქართულ საზოგადოებაში მისი კონტრავერსიულიბის გათვალისწინებით. შესაბამისად, არ მიმაჩნია გონივრულად ამგვარი გამოწვევა. ეს შეიცავს რისკებს საკუთრივ თანასწორობის იდეისთვის; შეიცავს რისკებს ლგბტ თემის ცალკეული წევრების უსაფრთხოებისთვის; და მოვლენები იმგვარად ვითარდება, რომ უკვე სარისკო ხდება სახელმწიფოს ფუნდამენტური ინტერესებისთვის.

2. ცალკეულ პირთა ან თუნდაც საზოგადოების უმრავლესობის დამოკიდებულების მიუხედავად, პრაიდის ჩატარებაზე მიღებული გადაწყვეტილება სრულიად კანონშესაბამისია. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პირთა მშვიდობიანი თვითგამოხატვა და კატეგორიულად არ დაუშვას ძალადობა, მით უფრო, ორგანიზებული და მასობრივი ფორმით.

3. რაც შეეხება პრაიდის ნეგატიურ შეფასებას, ცხადია, ესეც კანონით დაცული გამოხატვის ფორმაა. თუმცა, უკანონო ხდება, თუ ის შეიცავს ძალადობის მოწოდებას, ან, მით უფრო, თუ იღებს ფიზიკური ძალადობის ფორმას. ასევე, არალეგიტიმურია ნებისმიერი აქცია, რომელიც მიზნად სხვა აქციის შეფერხებას ისახავს. ნებისმიერი გამოხატვის ფორმის მიმართ ძალადობა არის კატეგორიულად მიუღებელიც და დასჯადიც, რაც სახელმწიფოს ვალდებულების ნაწილია და სრულად მისი პასუხისმგებლობა.

ასეთია დემოკრატიულ საზოგადოებაში თანაცხოვრების წესები და ეს უნდა მივიღოთ და დავემორჩილოთ. პრაიდის ჩამტარებელ მხარესაც უნდა ქონდეს მიმღეობა მათი იდეის კრიტიკის მიმართ, ხოლო საზოგადოების იმ წევრებს, ვისაც პრაიდი არ მოწონს, უნდა ესმოდეთ, რომ კანონით დაცულია ყოველგვარი გამოხატვა, რაც პირველ რიგში ზუსტად სხვისთვის არმოსაწონს მოიცავს. ხოლო იმ ხროვას (ვერც მხარეს და ვერც საზოგადოებას მათ ვერ ვუწოდებ), ვისაც ძალადობის გამოყენება სურს, მათი პოზიციის კომენტირება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსითაა შესაძლებელი და სახელმწიფოს მოუწევს ამის გაკეთება.

5 ივნისი - კვირას, განსხვავებულ აქცენტებში, ბევრს ვილაპარაკებ, რატომ აღარ ელაპარაკება ზაზა სარალიძე რუსთავი 2ს. არხს, რომელმაც არათუ გახსნა ეს საქმე, არამედ, საერთოდ, შექმნა სარალიძის საქმის ფენომენი. და რატომ ელაპარაკება იგივე ზაზა სარალიძე ტვ იმედს, რომელიც მონსტრს აკეთებდა მთელი წელიწადნახევარი მისგან. რატომ ბომბავს დღეს მხოლოდ პროკურატურას და საერთოდ რატომ გააქრო ნარატივიდან შსს, რომელმაც სინამდვილეში პირველმა გააფუჭა საქმე და მერე გააპრავებია პროკურატურას. ვისი ინსტრუმენტია სარალიძე დღეს და ვის პირდაპირ ინსტრუქციებს ასრულებს, ნებსით თუ უნებლიედ (ამაშიც გავერკვევით).

ვილაპარაკებ მორიდების გარეშე, როგორც მე მჩვევია. უსამართლობისას დანდობა არ ვიცი, მოგეხსენებათ, და არანაირ სტატუსს ანგარიშს არ გავუწევ, ესეც მოგეხსენებათ.

1 ივნისი - საქართველოს პრეზიდენტი. 21-ე საუკუნის ოციანი წლები.

ps მგონი, ამ ქალის კრიტიკა უკვე არაკორექტულია. ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაცინვა ტეხავს მაინც. [12]

28 მაისი - მოკლედ, ჯერ იყო და "მხოლოდ ქართულის" კასტინგს დავესწარი, მერე უკრაინულ საბავშვო ვოისში ქართველი ბიჭის გამოსვლას ვუყურე, მერე იყო და "სამზარეულოს ომების" ჩაწერა მქონდა.სიამაყით უნდა განვაცხადო, რომ ორი უდიდესი ცივილიზაციური ინდიკატორით - მუსიკით და სამზარეულოთი - თუ ვიმსჯელებთ, საქართველო არის უმაგრესი და უმდიდრესი ცივილიზაციის ქვეყანა. საუკეთესოდ მომღერალი და საუკეთესო კულინარიული შეგრძნების ერი. ამას მსოფლიო პოეზიის მთავარ შედევრს (სრულიად დარწმუნებული ვარ) ვეფხისტყაოსანსაც თუ დავუმატებთ, უნდა მივხვდეთ, რომ უფლება არ გვაქვს, დღე და ღამე არ ვიშრომოთ ამ დიდებული ქვეყნის მომავლისთვის და ჩვენი უნიჭიერესი და უთანამედროვესი ახალი თაობისთვის.

ამიტომ არც წავედი და არც წავალ აქედან არასდროს, ამიტომ ვიბრძოლებ სულ ჩემი საუკეთესო და საყვარელი ქვეყნისთვის და იმისთვის, რაც ჩემი ხედვით მისი უკეთესი მომავალია. სიყვარულით, თქვენი ნიკა გვარამია.

25 მაისი - აი მითხარით ახლა, ეს პარადოქსია, თუ ეროვნეული უბედურება:

სამი დღის წინ, არჩევნებში, ჭიათურის 65%მა ხმა მისცა ქოცებს. და დღეს, იმავე ჭიათურაში, ყველაფერი გაჩერებულია, მოსახლეობა (აი ის 65%) მთავრობის პოლიტიკას აპროტესტებს და ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდი გაფიცვაა.

[12]იხ. თანდართული ფოტომასალა https://www.facebook.com/photo.php?fbid=1251388145029509&set=a.359524337549232&type=3&theater)

და, ჩვენ რატო უნდა შეგვტკიოდეს ამ ხალხზე გული, საკუთარი თავი რომ ფეხებზე კიდიათ და საკუთარ ხმას უნიტაზში გადაუძახეს? შარშან ხო არ მომხდარა? აგერ, სამი დღის წინ, მაშინაც გაფიცული რომ იყვნენ. მეტიც, გაფიცვიდან ავტობუსებით წაიყვანეს და 41 შემოახაზინეს.

ხოდა, იმან იზრუნოს და ის წუხდეს, ვისაც საკუთარი ერთადერთ ნდობის მანდატი გადასცეს, ჩვენ რა შუაში ვართ?

22 მაისი - ჩემი შვილი რომ თინეიჯერულ ასაკში გათხოვდეს, შვილს რა თქმა უნდა არ გაგუდავს, მაგრამ მე კი გავიგუდავ თავს!

ელაპარაკეთ თქვენს შვილებს! განსაკუთრებით, მამები და განსაკუთრებით გოგოებს! ბიჭებსაც, რა თქმა უნდა.

ორივე მყავს პრეთინეიჯერულ ასაკში და უკვე ბევრს ვმსჯელობთ ოჯახის და სექსუალობის თემებზე. განვიცდი უხერხულობას - დიახ. ვიშმუშნები და ზოგიერთ შეკითხვას ვერ ვპასუხობ - დიახ. რატომ? იმიტომ რომ სექსუალური განათლება არ მიმიმღია და დაწყობილად არავისთან მილაპარაკია ამ თემებზე.

სექსუალური განათლება სკოლაში! სასწრაფოდ! ეს ჭირდებათ ბავშვებს და ეს გვჭირდება მშობლებს!

ps სირცხვილი მე, ყოფილ განათლების მინისტრს, ამისთვის რომ ვერ მოვიცალე და ამ საკითხს არ მივხედე! არც გამხსენებია, იმდენ საქმეში! სირცხვილი მე!

20 მაისი - რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს:

ის არის ამ ქვეყნის ყველაზე დიდი და ყველა დროის ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსი (ზვიად გამსახურდია მაინც უფრო ეროვნული მოღვაწე იყო, როგორც ილია, და ქვეყნისთვისთვის თავისუფლების მომტანი).

ამავდროულად, დღესაც, ის არის ყველაზე თანამედროვე პოლიტიკოსი და პოლიტიკური იდეების მთავარი (თუ ერთადერთი არა) გენერატორი.

შეუძლებელია, ის არ დაბრუნდეს საქართველოში და სრულფასოვნად არ ჩაერთოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ის არ არის ბელადი, რაც არ უნდა ეცადნონ მისგან ამის ძერწვას გინდა ივანიშვილი, გინდა ჩემი მეგობარი ქვეყნის პატრიოტებიც კი, რომელბსაც ის სწორედ ამ ბელადობის გამო არ მოწონთ.

ის არ არის ბელადი, მაგრამ მისგან ბელადს აკეთებს ორი ძალა: მისი მტერი ბიძინა ივანიშვილი და მისი მოყვარე მიშისტ-სექტანტები, რომლებიც მას, როგორც ჰიპერთანამედროვე დასავლელ ლიდერს კი არ მიყვებიან, არამედ, როგორც სექტის ხელმძღვანელს ან, მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, დასაქმების და თანამდებობის დაკავების მოსურნეები.

ხოდა, მეგობრებო, მე, ნიკა გვარამიას, ნამდვილად არ მსურს იმ სექტანტების და კარიერისტების ხელისუფლებაში მოსვლა, ვისაც რ2 მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სურთ, ხოლო საკუთარი თავისთვის რეალტივიზე ოცნებობენ. ვისაც კრიტიკა ივანიშვილის დასამარცხებლად აღაფრთოვანებს, ხოლო საკუთარი თავისთვის რ2 ტელე ნაძეჟდად წარმოუდგენიათ, რომელიც მხოლოდ დითირამბებს უმღერებს და ზუგდიდის მოსახლეობის გამოკითხვაშიც კი, მათზე ნეგატიური მოსაზრების მოსმენაზე, ისტერიკა ემართებათ.

მე, ნიკა გვარამია, არ ვგულშემატკივრობ ამგვარ ხალხს, მე არ ვარ მათი თანამოაზრე და არც მათი სიტუაციური მოკავშირეობა მსურს. მე არ მჯერა, რომ მათ დემოკრატიის, დამოუკიდებელი სასამართლოს, სამართლიანი არჩევნების და თავისუფლი მედიის მოტანა უნდათ ან შეუძლიათ. მე კი სწორედ ამგვარი ქვეყნისთვის ვიბრძვი. ღრმად მწამს, მიხეილ სააკაშვილიც.

მე, ნიკა გვარამია, არასდროს შევუწყობ ხელს მათ ხელისუფლებაში მოსვლას. რეალტივიელი სექტანტების და მლიქვნელი ყველაფერზე თავისმქნეველი კარიერისტების ადგილი თანამედროვე საქართველოს ხელისუფლებაში არ არის. ეს რეგრესული ხალხი ვერ მოიტანს პროგრესს. მათთან არასდროს არ მივა არც ერთი ახალი და საინტერესო პროფესიონალი. ეს კარიერისტები და ბრმადმორწმუნეები

ვერასდროს ვერ გაამარჯვებინებენ იგივე მიხეილ სააკაშვილს და მუდმივად ამყოფებენ მას საკუთარი ბრმა მსახურების მძევლობაში.

ეს ჩემი მყარი პოზიციაა. მე მჯერა ქვეყნის უკეთესი მომავალის, მე ვიბრძოლებ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, მე ყველაფერს ვიზამ, რომ თანამედროვე საქართველოს შემქმნელმა სააკაშვილმა დამსახურებული ადგილი დაიკავოს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს ტერიტორიაზე.

მე ვიბრძოლებ ფენომენალური პოლიტიკოსი სააკაშვილისთვის და არა ბელადი მიშასთვის. იმიტომ რომ, მათ შორის, მისთვის ბრძოლაზე გადის თანამედროვე, დასავლური, დემოკრატიული და წარმატებული საქართველოსთვის ბრძოლის ხაზი

**ქება/ოდა** - თუ ნიკა გვარამიას პოსტები სხვა შემთხევვაში გამოირჩევა სკაბრეზული ლექსიკითა და შეურაცხმყოფელი ლექსიკით ხელისუფლების მიმართ, 20 ივნისის ღამის შემდეგ  მის მიერ გამოქვეყნებულ სტატუსებში უხვად ვხვდებით  კომპლიმენტსა და ხოტბასაც კი. შესამჩნევად დავიწროებული ხელისუფელბის კრიტიკა და გზარდილია ქება, რომელიც მიემართება ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკურ სუბიექტებსა და ქართველ ხალხს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ცალკეული ფრაზები მისი ივნისის სტატუსებიდან - „ყოჩაღ! ყველანი წინ წავედით ამასობაში...“, „როგორ გაზრდილა და პოლიტიკური კლასი საერთოდ ვერ ეწევა...“, „მე არ ვიცი, ეს რა ხალხი გვყოლია, თუ გამომსვლელი, თუ მსმენელი. მიტინგი კი არა, საჯარო ლექციაა ფაქტიურად. ეს არის ნამდვილი და საუკეთესო საქართველო...“.

**მეტონიმია** - 5 ივნისის სტატუსში, რომელშიც საკუთარი გადაცემის მთავარ თემებს აანონსებს, გვარამია წერს - „ვისი ინსტრუმენტია სარალიძე დღეს და ვის პირდაპირ ინსტრუქციებს ასრულებს, ნებსით თუ უნებლიედ (ამაშიც გავერკვევით). ვილაპარაკებ მორიდების გარეშე, როგორც მე მჩვევია. უსამართლობისას დანდობა არ ვიცი, მოგეხსენებათ, და არანაირ სტატუსს ანგარიშს არ გავუწევ, ესეც მოგეხსენებათ.“ აღნიშნულ სტატუსში ნიშანდობლივია მეტაფორულად ნათქვამი ფრაზა „ვისი ინსტრუმენტია სარალიძე დღეს“. სიტყვა ინსტრუმენტი, რომელიც მეტონიმიურად

მიგვანისნებს მორჩილებაზე ვიღაცის ხელში, აუდიტორიას აძლევს სიგნალს, რომ სტატუსში ნახსენები სუბიექტი მოქმედებს არა საკუთარი ნების თანახმად, არამედ სხვისი გავლენის ქვეშ. ინსტრუმენტად ქცევა ასოცირდება  უუნარობასთან, საკუთარი აზრის არ ქონასთან, სხვისი მანიპულირების ქვეშ მოქცეულ ადამიანთან.

**ირონია/ სარკაზმი**- რიტორიკის აღნიშნულ ფორმას მიმართავს გვარამია საქართველოს პრეზიდენტზე საუბრისას, როდესაც წერს: „მგონი, ამ ქალის კრიტიკა უკვე არაკორექტულია. ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაცინვა ტეხავს მაინც.“ (საკითხი ეხება სალომე წურაბიშვილის მიერ წმინდა ნინოს გზის გავლას). მსუბუქი ირონიის ნაცვლად ნიკა გვარამია გროტესკულ ფორმაში საუბრობს პრეზიდენტზე, მის საქციელს უკავშირებს ჯანმრთელობის მდგომარეობის პრობლემას და ამ გზით ხდება ზურაბისშვილის დისკრედიტაცია.

**დარწმუნება/ ანტითეზი** - 20 მაისის სტატუსში გვარამია საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის შესახებ წერს: „რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს: ის არის ამ ქვეყნის ყველაზე დიდი და ყველა დროის ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსი (ზვიად გამსახურდია მაინც უფრო ეროვნული მოღვაწე იყო, როგორც ილია, და ქვეყნისთვისთვის თავისუფლების მომტანი).ამავდროულად, დღესაც, ის არის ყველაზე თანამედროვე პოლიტიკოსი და პოლიტიკური იდეების მთავარი (თუ ერთადერთი არა) გენერატორი...“. ანტითეზი არის მეინსტრიმული მოსაზრებების საწინააღმდეგო, კონტრასტული იდეების გამოყენება. ნიკა გვარამია მსგავსი სტატუსების მეშვეობით ხშირად ახდენს არა მარტო თვითლუსტრაციას, არამედ იმის ლუსტრაციასაც, თუ ვინ ეთანხმება მის იდეებს და ვინ არა. ანტითეზი ეფექტური ინდიკატორია იმის აღმოსაჩენად, თუ ვის როგორი დამოკიდებულება აქვს პოპულიზმთან, ვინ წავა „დინების წინააღმდე“, რა სახის რისკზე წავა ადამიანი კონკრეტული იდეის დასაცავად და ა.შ. სტატუსი სრულდება ფრაზით „ეს ჩემი მყარი პოზიციაა.“, რაც ასევე, დარწმუნების რიტორიკის ნაწილია.

**ანალიზი** - ნიკა გვარამიას სტატუსებში თემატური მრავალფეროვნება არ გვხვდება. მისი ძირითადი მიმართულება პოლიტიკურ აქცენტებსა და ნარატივებს უკავშირდება. ლექსიკა არის სკაბრეზული, პიროვნების მადისკრედიტირებელი, იმიჯის შემლახველი.

სათქმელი უმეტესად გამოხატულია არაეთიკური ფორმებით. სტატუსები მხატვრული მნიშვნელობისგან მთლიანად დაცლილია, სათქმელის გაძლიერება ხდება დარწმუნების რიტორიკის ინტენსიური გამოყენებით. მისი სტატუსების მთავარი ბაზა ეყრდნობა ეთოსს - დამაჯერებელ ტონსა და შინაარს.

ზურაბ ჯაფარიძე

25 ივნისი - მადლობით დავიწყებ

რაც არ უნდა ილაპარაკონ და რა კონსპირაციის თეორიებიც არ უნდა თხზან ანგაჟირებულმა ხალხმა, გუშინ ისტორიული მნიშვნელობის რამე მოხდა

მოხდა ის, რაც დიდი ხნის წინ იყო გასაკეთებელი, მაგრამ ამის გაკეთების - ძალაუფლების დათმობის - არც სურვილი და არც ერთი ადგილი ამ ქვეყანაში არ აღმოაჩნდა არც ერთ ხელისუფლებას

და ამის შემოქმედი ხართ თქვენ, რუსთაველზე მდგომი ადამიანები - თქვენ აიძულეთ ბიძინა წამოსულიყო დათმობაზე

მადლობა ამისთვის!

რა არ მომწონს:

1. 'ცნობილი' პოლიტიკოსები მიკროფონს კი არა, ტელევიზიებსაც უნდა მოაცილოთ (გუშინ საღამოს პირველად ვუყურე საინფორმაციოებში აქციის გაშუქებას)

ნუ ალაპარაკებთ თქვენი სახელით. ყველგან ეგერი არიან ტრაფარეტული სახეებით და მესიჯებით

მათგან მხოლოდ არაგულწრფელობა და სიყალბე მოდის

თქვენგან განსხვავებით, ისინი არ არიან მართლა გაბრაზებული იმით რაც მოხდა რუსთაველზე რამდენიმე ღამის წინ და, რაც მთავარია, იწვებიან რომ გამარჯვების რწმენა არ აქვთ, ისევ მესიას ელოდებიან - ამას ასხივებენ! (გუშინ ცოტა შეიცვალა ეს)

მეტწილად იგივეს თქმა შეიძლება ე.წ. ცნობად სახეებზეც - ჩანან ხელოვნურად გაბრაზებული და ყალბი

თუ რამე მართლა აგდებს აქციის მუხტს და უკლავს სურვილს ტელევიზორებთან მსხდომთ შემოუერთდნენ აქციას - სიყალბე და არაგულწრფელობაა

2. ნუ ყვირიხართ ტრიბუნიდან

დაიკიდეთ ეს 90-იანების ესთეტიკა, ყალბია და დამწვარი

სხვა ხალხი დგას დღეს რუსთაველზე და ვინც ყვირილს გირჩევთ 'მუხტის ასაწევად', მას ეს არ ესმის

წუხდება ხალხი, მართლა

უმეტესობას საერთოდ არ აინტერესებს არათუ რას ყვირის გამომსვლელი, არამედ საერთოდ რას ლაპარაკობს

მოსულია და დგას, ესმის რომ ეგაა დღეს საქმე, მარტივად

ეს არ ნიშნავს რომ საერთოდ არ იყვიროთ. იყვირეთ როცა მართლა გეყვირებათ. ძალით ნუ ყვირიხართ

რა მინდა:

არ დათმოთ ნულოვანი ბარიერი

გუშინ ერთმა მითხრა - ეგ ჩვენი საქმე არაა, პოლიტიკოსებმა მიხედეთო

გატყუებენ, როგორც ყოველთვის!

როგორც შრომის ბაზარზე დაშვებაზე ნებისმიერი რეგულაცია, პოლიტიკურ ბაზარზე შესვლაზე ნებისმიერი ბარიერიც პირველ რიგში ახალგაზრდებს გირტყამთ

თქვენი, სიახლის, ახალი მოთამაშეების ეშინიათ მათ პირველ რიგში

არ დაუთმოთ დინოზავრებს

წარმოიდგინეთ - ნებისმიერი თქვენგანი შეიძლება მოხვდეს პარლამენტში მხოლოდ ფეისბუქის გამოყენებით, თუ საკმარის მხარდამჭერს მოიძიებს

ეგაა სწორი. ეგაა მომავალი. დანარჩენი ყველაფერი მასტურბაციაა

2. მოითხოვეთ პოლიტიკაში ჩართვაზე ასაკობრივი ცენზის მნიშვნელოვნად დაწევა

მოითხოვეთ რომ 16 წლისას შეეძლოს ხმის მიცემა (ესტონეთმა გააკეთა ადრე) და 18 წლისას პარლამენტში შესვლა

ასაკობრივი ცენზიც თქვენგან, ახალგაზრდებისგან თავის დასაცავად აქვთ შექმნილი - თქვენთან კონკურენციის ეშინიათ

სწორად ეშინიათ

მოითხოვეთ დაწევა

ჩაერთეთ პოლიტიკაში

თქვენს გარეშე არსებული პოლიტიკური კლასი ამ საქმეს ვერ გასწევს

და თუ გასწევს, მხოლოდ თქვენი დახმარებით

მაგრამ ეს იქნება ნახევრად გამარჯვება

4/5-ით საბჭოთა საქართველოსგან მივიღებთ 3/5-ით საბჭოთა საქართველოს

მაგრამ მე მინდა 1 მთელი თავისუფალი საქართველო

თქვენ გინდათ 1 მთელი თავისუფალი საქართველო!

3. ახალი ადამიანები ადით ტრიბუნაზე

ახალმა ადამიანებმა მიეცით ინტერვიუები ტვ-ებს

გულწრფელებმა და გაბრაზებულებმა

მართლა გაბრაზებულებმა

არ ხართ გაბრაზებული? გაიხსენეთ რა მოხდა, გაიხსენეთ რომ ახალგაზრდებს თვალები დათხარეს, ნახეთ ფოტოები და ისე ილაპარაკეთ

მუხტს ქმნის გულწრფელობა და არა ყვირილი!

ეს ქვეყანა 20% რუსეთის მიერაა ოკუპირებული

მაგრამ დანარჩენი 80% ოკუპირებულია საბჭოთა ქართველების მიერ

საბჭოთა ქართველები ზიან ხელისუფლებაში

და საბჭოთა ქართველები არიან დღევანდელი პოლიტიკური ელიტა

საბჭოთა საქართველომ გესროლათ თქვენ ტყვიები

საბჭოთა საქართველო გესვრით ტყვიებს გაჩენის დღიდან, ბაღიდან დაწყებული, სკოლით გაგრძელებული და მურუსიძის სასამართლოთი დამთავრებული

ახალმა ადამიანებმა უნდა გაუშვათ ეს ხალხი სახლში

ხელისუფლებიდანაც და პოლიტიკიდანაც

ჩემი ჩათვლით! მეც იმ დედააფეთქებულ დროში გავიზარდე

4. ნუ გეშინიათ

თქვენ შეიძლება არ გაქვთ გამოცდილება, მაგრამ გაქვთ მთავარი - თქვენ დაიბადეთ თუნდაც ფორმალურად თავისუფალ ქვეყანაში

თქვენში მეტი სიმართლეა

თქვენში მეტი გულწრფელობაა

თქვენში მეტი თავისუფლებაა

ეგ თავისუფლება, ავად თუ კარგად, ჩვენ, წინა თაობებმა მოგიტანეთ

მაგრამ მაგ თავისუფლების ფასი ნულია თუ არ გაინძრევით

გამოიყენეთ ეს თავისუფლება!

აჯანყდით, იჩხუბეთ, ილაპარაკეთ, იკამათეთ!

თქვენი პასუხისმგებლობაა ეს და არ ვიღაც სხვის

ნუ გეშინიათ!

5. შეცდომებს დაუშვებთ

წააგებთ

მაგრამ ისწავლით

და თუ არ გაჩერდებით, ბოლოს აუცილებლად მოიგებთ

ბრძოლის გარეშე არავინ, არაფერს დაგითმობთ!

ყველაფერი ბრძოლაში მოიპოვება

გუშინდელი ივანიშვილის ბრიფინგის მთავარი მესიჯი ეს იყო in a nutshell - აქამდე უფრო მზეები მეგონეთ და ამიტომ 2024 წლისთვის ვფიქრობდი სრულად პროპორციულსო. მაგრამ ბოლო დღეებმა მაჩვენა რომ ეგეთი მზეებიც არ აღმოჩნდით და ამიტომ იყოს 2020-იო.

იბრძოლეთ! აჩვენეთ საბჭოთა ქართველებს ვინაა მზე სინამდვილეში!

მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ეს!

არავინ და არაფერია თქვენი გამჩერებელი!

22 ივნისი - პუტინის მიერ საქართველოს მიმართულებით ფრენების აკრძალვა ყველაზე ზუსტი მაჩვენებელია იმისა თუ რა ხდება რუსთაველზე - რა ბრძოლაა ეს

კრემლი ფიქრობს რომ საქართველოში ამ პოლიტიკური პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მიიღებს რუსეთისადმი უფრო პრინციპულად განწყობილ საქართველოს

ესაა. რუსების უსაფრთხოება აქ არაფერ შუაშია, მათ არავინ ეხება.

სავარაუდოდ ამაზე არ გაჩერდებიან. მოსალოდნელია:

- ქართული პროდუქციის იმპორტის აკრძალვა რუსეთში

- სატრანსპორტო კომუნიკაციების სრული შეწყვეტა

- რუსული ვიზების გაცემის სრული შეწყვეტა

- გახშირებული და გამწვავებული პროვოკაციები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ

- და სხვა

- რაც მთავარია - ამ ყველაფრით დაზარალებული და გაბრაზებული ჩვენი მოსახლეობის ქუჩაში გამოყვანის მცდელობა (ვასაძით ან ვინმე სხვით სათავეში) პრორუსული ლოზუნგებით და სამოქალაქო დაპირისპირების მცდელობა (სადაც ხელისუფლება ისევ გამშველებელ/შემრიგებლის როლს იკისრებს)

ჩემი აზრით ეს უნდა გვესმოდეს და ისე უნდა გავაგრძელოთ პროტესტი

უნდა გვესმოდეს რა მასშტაბის და მნიშვნელობის ამბავში ვართ, რომელი მხარეა ნათელი, რომელი ბნელი, და რა ფასის გადახდისთვის ვართ მზად

პ.ს. ძალიან კარგი იყო გუშინ. თუმცა შეკრებილების ნაწილს რატომღაც ჰქონდა განცდა რომ ერთი შეკრებით მიიღებდნენ ყველაფერს. არ ხდება ასე. რეგულარული შეკრება და პრინციპულობის ჩვენებაა საჭირო. ასე ხდება მაგ ადგილას რაც თავი მახსოვს. და ყველა ჯერზე როცა პრინციპულები ვიყავით და რეგულარულად ვიდექით - მოვიგეთ.

პ.პ.ს. 'აუ ის არ მომეწონა, აუ ეს არ მომეწონა' - სისულელეა. ეგეთ აქციებზე უამრავი რამე არ მოგვეწონება. მთავარია არ დავკარგოთ ფოკუსი - აქციის მიზნები, სიმშვიდე, და ვიყოთ ბევრნი

პ.პ.პ. ს. მასშტაბით პატარაა, მაგრამ გუშინ აქციაზე ვფიქრობდი და ჩემი აზრით მოთხოვნებს უნდა დაემატოს იმ რეზინის ტყვიების აკრძალვა.

21 ივნისი - 1. კობახიძე უნდა წავიდეს

2. გახარია უნდა წავიდეს

3. ბახტაძე უნდა წავიდეს

4. ნებისმიერი თანამდებობაზე მყოფი ნაბიჭვარი, რომელიც გუშინდელ ღამეს გააპრავებს დღეს და/ან ამ დღეებში, უნდა წავიდეს

5. ყველა ის პოლიციელი უნდა დაისაჯოს, ვინც ადამიანებს თვალები დათხარა და/ან მიზანმიმართულად ასახიჩრებდა (ახლავე და არა 'გამოძიება დაწყებულია' რეჟიმში)

6. 2020-ში არჩევნები უნდა ჩატარდეს სრულად პროპორციული სისტემით

ეს მოთხოვნები მაქვს მე, ზურა გირჩი ჯაფარიძეს

ამ მოთხოვნების შესრულებამდე ვიდგები ქუჩაში

ვიდგები ჩუმად როგორც გუშინ, არაფერი მაქვს ამის გარდა ტრიბუნიდან საყვირალი

მკიდია რომელი პოლიტიკოსი რას გააკეთებს, რაზე წავა მიკროფონის ხელში ჩასაგდებად, რა სისულელეებს ილაპარაკებს და რას მოელაპარაკება ხელისუფლებას კარს უკან - არავინ არ წარმომადგენს მე

ამ მოთხოვნებით ვმოძრაობ 2020-ის ოქტომბრამდე

2020-ში ბიძინა უნდა წავიდეს.

15 ივნისი - ერთ მხარეს არის სიბნელე. ერთმნიშვნელოვნად.

ტანსაცმლის ფერით ამოიცნობა რომელი მხარეა ეს.

ვასაძე პაიკია. მთავარი მოძალადე არის საპატრიარქო, რომლის უკანაც მაღალი ალბათობით რუსეთია.

კართაგენი უნდა დაინგრეს!

11 ივნისი - რამდენი ასეული მილიონი უნდა დავხარჯოთ ჩვენთვის პოლიციის ძალით წართმეული ფულიდან რათა მივხვდეთ რომ ფეხბურთიდან, საზოგადოებრივი

მაუწყებლიდან, საპატრიარქოდან, სოფლის მეურნეობიდან, პოლიტიკური პარტიებიდან და ა.შ და ა.შ. არაფერი გამოდის?

პირიქით, სახე გვეხევა

28 მაისი - ზურაბიშვილი არის ივანიშვილის მიერ პრეზიდენტად დასმული საპატრიარქოს ხმა

საარჩევნო კამპანიიდან მოყოლებული ის არის საპატრიარქოს ინიციატივების გამჟღერებელი

ყველა ინიციატივა რომელიც მან გააჟღერა პარლამენტში, არის საპატრიარქოდან წამოსული იდეები

ნებისმიერ სხვა თემაზე, რომელიც ნაკლებად აინტერესებს საპატრიარქოს, მისი პასუხია - ეს არ არის პრეზიდენტის საქმე

ადმინისტრაციის უფროსად პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელის გადაყვანა - იგივეზე მეტყველებს

ამიტომ:

ის რაც ზურაბიშვილმა აზერბაიჯანში ილაპარაკა / გააფუჭა გარეჯასთან მიმართებაში - ასევე არის საპატრიარქოს ინიციატივა

ვის ინტერესებში შედის აზერბაიჯანთან ჩვენი ურთიერთობის გაფუჭება - რუსეთის!

ვინ არის პასუხისმგებელი? - საპატრიარქო

დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი

საპატრიარქოს გუშინდელი განცხადება და რაღაც ამოუცნობ მესამე ბოროტ ძალაზე საუბარი - არის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების იაფფასიანი მცდელობა

change my mind.

14 მაისი- ორი დღეა ამის დაწერა მინდა და კარდაკარის გამო ვერ მოვიცალე

ბასიანის ამბების წლისთავზე მთავარი ტრაგედია ის კი არ არის რომ გახარიამ ‘გვაჭამა’, არამედ ის რომ რამდენიმე ახალგაზრდა 7, 8, 9 .. წლით გაუშვეს ციხეში

და არავის, არავის ჰყოფნის ტრაკი თქვას რომ ისინი არიან სრულიად უდანაშაულო

სრულიად უდანაშაულო!

სრულიად დაივიწყა ყველამ

მარტო იმაზე წუხან ‘როგორ დაგვარბიეშ ტო?!’

არავინ რისკავს წავიდეს საბჭოთა ადამიანების დიდი მასის წინააღმდეგ, რადგან ‘ბარიგების’ დაცვა ‘არ მოსულა ძმაო’

ძალიან სამარცხვინოა ეს დუმილი

ძალიან

პ.ს. ეს ხალხი არც არიან ‘ბარიგები’ კლასიკური გაგებით, ჩვეულებრივად ‘ჩაუდო’ სახელმწიფომ,

**დეფინიცია** -ზურაბ ჯაფარიძე საკუთარ სტატუსებში ხშირად იყენებს დეფინიციას იმის საილუსტრაციოდ, თუ რა იყო მოვლენების დასაწყისში განსაზღვრული, როგორია განსახორციელებელი ქმედებების და როგორ უნდა მივიდეთ საბოლოო შედეგებამდე. 25 ივნისის სტატუსში, რომელშიც „ანტისაოკუპაციო“ აქციის შესახებ წერს, ვკითხულობთ პუნქტებს : რა არ მომწონს, რა მინდა, რა არის მოსალოდნელი... სიტუაციური ანალიზის დახმარებით ჯაფარიძე მის ირგვლივ სოციალურ ქსელებში შემოკრებილ აუდიტორიას ერთი მხრივ სთავაზობს მოვლენების გააზრების მისეულ ვერსიას და ამავდროულად მკითხველს ეხმარება საკუთარი მოსაზრებების განმტკიცებაში, ან დააფიქრებს იმ საკითხებზე, რომელიც მის დღის წესრიგში აქამდე არ შემოსულა. – „ძალიან კარგი იყო გუშინ. თუმცა შეკრებილების ნაწილს რატომღაც ჰქონდა განცდა რომ ერთი შეკრებით მიიღებდნენ ყველაფერს. არ ხდება ასე. რეგულარული შეკრება და პრინციპულობის ჩვენებაა საჭირო. ასე ხდება მაგ ადგილას რაც თავი მახსოვს. და ყველა ჯერზე როცა პრინციპულები ვიყავით და რეგულარულად ვიდექით - მოვიგეთ.“,-წერს ჯაფარიძე საკუთარ სტატუსში.

**რითმა** - „გუშინდელი ივანიშვილის ბრიფინგის მთავარი მესიჯი ეს იყო in a nutshell - აქამდე უფრო მზეები მეგონეთ და ამიტომ 2024 წლისთვის ვფიქრობდი სრულად პროპორციულსო. მაგრამ ბოლო დღეებმა მაჩვენა რომ ეგეთი მზეებიც არ აღმოჩნდით და ამიტომ იყოს 2020-იო. იბრძოლეთ! აჩვენეთ საბჭოთა ქართველებს ვინაა მზე სინამდვილეში!“. სიტყვა - „მზეები“ ჯაფარიძეს გამოყენებული აქვს, სკაბრეზული ლექსიკის გადასაფარად. თუმცა ასეთი ტაქტიკური სვლა ემსახურება არა აკადემიური ლექსიკით საუბრის აუცილობლობას, არამედ სათქმელის უფრო ექსპრესიული ხერხებით გადმოცემას. ერთი და იმავე ჟღერადობის ბგერების შემცველი სიტყვების ხმარება - ჩვეული პრაქტიკაა ხალხის ყურადღების მისაპყრობად. სხვა მხრივ არაერთი სტატუსი გაჯერებულია ამბის გადმოცემის არაეთიკური ფორმებით.

**მეტაფორა** - „კართაგენი უნდა დაინგრეს“ - არის ძვ. წ. მე-2 საუკუნეში რომაელი სენატორის კატონის ფრაზა, რომელიც შემდგომ ეპოქაში გავრცელდა და მეტაფორული ხასიათი შეიძინა მისმა მნიშვნელობამ. კართაგენის ნგრევა დღესდღეობით ზეპირმეტყველებასა თუ სხვა სახის საკომუნიკაციო ველში გაიგივებულია სისტემის ნგრევასთან. ეს ფრაზა არ არის განსაკუთრებული მხატვრული მნიშვნელობის, ან კონოტაციური დატვირთვის მქონე. შესაბამისად, საზოგადოებისთვის მარტივი აღსაქმელია რას გულისხმობს ჯაფარიძე, როდესაც შეტყობინებად იყენებს აღნიშნულ ფრაზას.

**ანტითეზი** - 28 მაისის სტატუსში ჯაფარიძე წერს: „ზურაბიშვილი არის ივანიშვილის მიერ პრეზიდენტად დასმული საპატრიარქოს ხმა... ვის ინტერესებში შედის აზერბაიჯანთან ჩვენი ურთიერთობის გაფუჭება - რუსეთის!ვინ არის პასუხისმგებელი? - საპატრიარქო. დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი“. ანტითეზი არის ამოსავალი დებულებების საპირისპირო, კონტრასტული იდეების გამოყენება. სწორედ ამ მეთოდს მიმართავს პოლიტიკური პარტია „გირჩის“ ლიდერი საპატრიარქოზე მსჯელობის დროს. რუსეთის ძალა, როგორც მტრის ხატის და საქართველოს საპატრიარქოს ერთმანეთთან დაკავშირება არის საზოგადოებისთვის ურთიერთგამომრიცხავი საკითხების შეერთების ტოლფასი. მოქალაქეებს, რომელთა უმრავლესობა ქრისტიანია, ჯაფარიზე უგზავნის შეტყობინებას, რომ საპატრიარქო არის რუსეთის მიერ მართული, ხოლო რუსეთი თავისთავად მტერია საქართველოსი, ამ ლოგიკით ის ხალხს ეუბნება,

რომ საპატრიარქოც მტრის დაკვეთით მოქმედებს. ანტითეზების გამოყენებით ჯაფარიძე ახდენს თავისი მსოფლმხედველობრივი იდეების სრულ რეალიზებას.

**ირონია** - ზურაბ ჯაფარიძე ამ მეთოდს ხშირად მიმართავს თავისი ლიბერტარიანული იდეების გასავრცელებლად. 11 ივნისს წერს „რამდენი ასეული მილიონი უნდა დავხარჯოთ ჩვენთვის პოლიციის ძალით წართმეული ფულიდან რათა მივხვდეთ რომ ფეხბურთიდან, საზოგადოებრივი მაუწყებლიდან, საპატრიარქოდან, სოფლის მეურნეობიდან, პოლიტიკური პარტიებიდან და ა.შ და ა.შ. არაფერი გამოდის? ხოლო 14 მაისს მის სტატუსში ბასიანის მოვლენების შესახებ ვკითხულობთ: „ბასიანის ამბების წლისთავზე მთავარი ტრაგედია ის კი არ არის რომ გახარიამ 'გვაჭამა', არამედ ის რომ რამდენიმე ახალგაზრდა 7, 8, 9 .. წლით გაუშვეს ციხეში". ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ ხალხს „აჭამა" არის მწარე ირონია იმის სჩვენებლად, თუ როგორ ექცევა ხალხის მიერ არცეული პოლიტიკური ელიტა საზოგადოებას.

**ანალიზი** - მისი მოსაზრებების შესახებ ლოგიკური მსჯელობებით ეწყობა ზურაბ ჯაფარიძიოს სტატუსები. რა მომწონს (რატომ?)/რა არ მომწონს (რატომ). სიტუაციური ანალიზის დახმარებით ჯაფარიძე მის ირგვლივ სოციალურ ქსელებში შემოკრებილ აუდიტორიას ერთი მხრივ სთავაზობს მოვლენების გააზრების მისეულ ვერსიას და მეორე მხრივ დღის წესრიგში შემოჰყავს მოვლენების გააზრების ის მხარეები, რომლებიც მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.ანტითეზების გამოყენებით ჯაფარიძე ახდენს თავისი მსოფლმხედველობრივი იდეების სრულ რეალიზებას. საბოლოოდ ჯაფარიძის სტატუსებში ყველაზე ხშირად ვხვდებით ლიბერტარიანულ მოსაზრებებს, საკითხებს, რომელიც მედიის ან საზოგადოების მიერ მივიწყებუალია "ბასიანის საქმე" ჯაფარიზე საკუტარ ექუნთზე კიდევ ერთხელ წამოჭრის, რადგან ასეთი თემები მისი შეხედულებებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს. „გირჩის" ლიდერი ორ ძირითად საფუძველს ეყრდნობა სტატუსებში - ეთოსი (დამაჯერებლობა) და ლოგოსი (არგუმენტაცია, ლოგიკური მსჯელობა). სხვა ტიპის მხატვრული ჩანართები ან ლექსიკური ფორმები მის სტატუსებში ნაკლებად გვხვდება.

28 ივნისი - ეგებ ახლა მაინც მიხვდნენ ყავლგასული დინოზავრი პოლიტიკოსები, რომ “საჯიშე ბიჭების გენოფონდზე” მოთქმა, პატრიარქის სახელით სპეკულირება, ასავალ დასავლად ქცევა, “ჯღანი უცხოელებით” შეშინება, ევროპული ინსტიტუციების შავრაზმული გინება, უმცირესობების დემონიზება და სხვა უმსგავსობები ხელისუფლებაში ვერ დააბრუნებთ.

ეგებ ახლა მაინც მიხვდნენ, რომ “ერთი მუჭა ლიბერალები” ანგარიშგასაწევი ძალაა და სულაც არაა ერთი მუჭა.

ეგებ ახლა მიხვდნენ, რომ იდეალიზმი პრაგმატიზმია და მაგარი გოიმები არიან!

ეგებ ახლა შეწყვიტონ ტალახის სროლა!

26 ივნისი - მელიას დღევანდელი საქციელი აღნიშვნის ღირსია - ეგაა ზუსტად მისი პრობლემა, ძალიან კარგად იცის, კარგად და სწორად როგორ უნდა მოიქცეს, უბრალოდ, ხშირად სხვა არჩევანს აკეთებს.

ძალიან მძიმე დღე იყო ქართული პარლამენტის ისტორიაში. 91-მა მონამ დააჭერინა კოლეგა იმ ქმედებისთვის, რასაც 30 წელია სჩადის ქართული ოპოზიცია და არავინ დაუჭერიათ.

91-ივემ იცის, რომ მელიას სამართლიანი სასამართლო არ ექნება.

ჰკიდიათ!

როგორ შეიძლება ეს ბუმერანგივით არ მოხვდეთ თავში.

არ დადნება ციხეში მელია - თუ ჭკუა აქვს, სათავისოდაც გამოიყენებს, დაფიქრდება ბევრ რამეზე.

აი თქვენ რა გეშველებათ?

22 ივნისი - ქართველები იმიტომ მიყვარს, რომ რუსებმა დავერბოვკებული კლოუნი გამოგვიგზავნეს, ელჭიპიტი აყვირეს, ერთმორწმუნე ადიდებინეს, დასავლეთი აგინებინეს - გვაშინეს.

ამასობაში ჩამოვიდა რუსი დეპუტატი, სკამზე დაჯდა და 30 ათასი კაცი დგას ქუჩაში, მთავრობას კრიზისი აქვს, პარლამენტის თავმჯდომარე გადადგა და შეიძლება მთავრობაც მიყვეს.

მთელი მსოფლიოს პრესა ჩვენზე წერს.

რუსები გამოშტერდნენ!

I love U!

17 ივნისი - მეგობრებო, როდესაც ერთი ჯგუფი მეორეზე ძალადობს და ამ ჯგუფის ფუნდამენტური უფლების - გამოხატვის თავისუფლების ჩამორთმევას ითხოვს, ერთადერთი მეორე მხარე, ერთადერთი და უალტერნატივო - არის სახელმწიფო.

ძალადობით უფლების ხელყოფა არის სისხლის სამართლის დანაშაული - სისხლის სამართალში მეორე მხარე არის სახელმწიფო.

ეს არის სახელმწიფოსთან გაფორმებული სოციალური კონტრაქტის ნაწილი - როდესაც ჩემზე ძალადობენ, მოძალადის საპისპირო მხარე ხდება სახელმწიფო!

არარაობა ბახტაძე და უპრინციპო და უსაქციელო პარლამენტის თავმჯდომარე რას ამბობენ ერთია - რეალობა მეორე! ნონსენსია რასაც ისინი ამბობენ - აღმაშფოთებელი თავხედობა და სიბრიყვე.

როდესაც ადამიანს ძალადობრივი მეთოდებით უშლიან მისი ფუნდამენტური, კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციას, ეს ადამიანი არის მსხვერპლი და არა მხარე.

მხარეები არიან მოძალადე და სახელმწიფო.

სახელმწიფოს მხრიდან "შუაში დგომა" იქ, სადაც მას მხარედ ყოფნა ევალება, არის ისეთი ჩავარდნა, რაც შეუმდგარ სახელმწიფოს ახასიათებს.

ელემენტარულია!

17 ივნისი -80 წლის რომ გავხდები ჩემს GOT-ს დავწერ.

მაგ დროს უკვე გაფილტრული მექნება მეხსიერებაში მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო.

ძალაუფლებისთვის ბრძოლამ როგორ შეიძლება გაანადგუროს ადამიანი, დაუნგრიოს პრინციპები და ღირებულებები და აქციოს უკბილო მონსტრად - ამაზე მოვყვები.

ლიოსას აქვს ნათქვამი - სამი წელი მეყო, რომ მაგას მივმხვდარიყავიო.

მე ნაკლებად ჭკვიანი ვარ, უფრო მეტი დრო დამჭირდება.

14 ივნისი - ხელისუფლება ვერანაირად ვერ აღკვეთს ადამიანების გამოხატვის თავისუფლებას სექსუალური იდენტობის ნიშნით.

ამის მექანიზმი ხელისუფლებას არ აქვს.

შესაბამისად, საპატრიარქოს დღევანდელი განცხადება სხვა არაფერია, თუ არა ძალადობისკენ მოწოდება და ძალადობის წინასწარი გამართლება.

ცხადია, ამაში მოულოდნელი არაფერია.

ისედაც ვიცით, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სუსტის და დაუცველის მტერია და მდიდარს და ძლიერს ემეგობრება მხოლოდ.

ამიტომაც იკლებს ეკლესიის პოპულარობა - ხალხი ბრძენია

7 მაისი - Sukhishvili Nino - დიდ პატივს ვცემ შენს რწმენას ნინო, ასევე დიდ პატივს ვცემ შენს საქმეს.

მაგრამ სიძულვილის ზეიმს, რომელიც საპატრიარქოს მაღალიერარქების მიერ ამ სამარცხვინო პოგრომის მოწყობის შემდეგ დაფუძნდა, არაფერი საერთო ქრისტიანობასთან არ აქვს.

უფრო მეტიც, ჩემი შეფასებით და ვფიქრობ საღი აზრითაც, სწორედ რომ ქრისტიანული ღირებულებების ღალატია სიძულვილის ზეიმში მონაწილეობა.

როგორც პავლე მოციქული იტყოდა, ფასით ხართ ნაყიდნი - ნუ გახდებით მონები.

---

წმინდა ილია მართალს დავამატებდი (ილია ჭავჭავაძეს) - ჩემს სათქმელს ამბობს:

სარწმუნოება

და სათნოება

ფარისევლობად არ შეგვიქმნია,

თქვენი სლოკინი,

ხელთა ფოტინი

ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნია.

**მეტაფორა** - 28 ივნისის სტატუსი, რომელიც ზოგადად საზოგადოების პრობლემებს ეხმაურება, თამარ ჩერგოლეიშვილი წერს: „ეგებ ახლა მაინც მიხვდნენ ყავლგასული დინოზავრი პოლიტიკოსები, რომ "საჯიშე ბიჭების გენოფონდზე" მოთქმა, პატრიარქის სახელით სპეკულირება, ასავალ დასავლად ქცევა, "ჯღანი უცხოელებით" შეშინება, ევროპული ინსტიტუციების შავრაზმული გინება, უმცირესობების დემონიზება და სხვა უმსგავსობები ხელისუფლებაში ვერ დაგაბრუნებთ..." „ყავგასული დინოზავრი პოლიტიკოსები", „საჯიშე ბიჭების გენოფონდი" და მსგავსი ტიპის მეტაფორები ერთი მხრივ აჩვენებს ჩერგოლეიშვილის დამოკიდებულებას საზოგადოების იმ ნაწილზე, რომლებიც „ლიბერალებს" აკრიტიკებს, ხოლო მეორე მხრივ ლიბერტარიანული შეხედედულებების ჭრილიდან დაანახვებს მის გამომწერებსა და მკითხველს რომ მომავალი„ყავგასული იდეალისტების" ხელში ვერ გადავა. სტატუსში აღნიშნულია შემდეგი: „ეგებ ახლა მიხვდნენ, რომ იდეალიზმი პრაგმატიზმია და მაგარი გოიმები არიან!"

**ირონია** - ჩერგოლეიშვილის სტატუსებში შესამჩნევია ირონიული ტონი, რომელიც როგორც წესი, ხელისუფლების უმრავლესობისკენაა მიმართული. მაგალითად, პარლამენტში ჩატარებული კენჭისყრის შესახებ წერს: „ 91-ივემ (პარლამენტის დეპუტატი) იცის, რომ მელიას სამართლიანი სასამართლო არ ექნება. ჰკიდიათ! როგორ შეიძლება ეს ბუმერანგივით არ მოხვდეთ თავში. არ დადნება ციხეში მელია - თუ ჭკუა აქვს, სათავისოდაც გამოიყენებს, დაფიქრდება ბევრ რამეზე. აი თქვენ რა გეშველებათ?“

**დეფინიცია** - ეს არის მეთოდი, როდესაც გავლენის ლიდერი მოვლენებს აფასებს მისი ყველაზე არსებიტი ნიშნების-მიხედვით. ასე მაგალითად, რუსი დეპუტატის გაძევებისა და საქართველოში ანტისაოკუპაციო აქციის სესახებ ჩერგოლეიშვილი საკუთარ სტატუსში წერს: ქართველები იმიტომ მიყვარს, რომ რუსებმა დავერბოვკებული კლოუნი გამოგვიგზავნეს, ელჭიპიტი აყვირეს, ერთმორწმუნე ადიდებინეს, დასავლეთი აგინებინეს - გვაშინეს. ამასობაში ჩამოვიდა რუსი დეპუტატი, სკამზე დაჯდა და 30 ათასი კაცი დგას ქუჩაში, მთავრობას კრიზისი აქვს, პარლამენტის თავმჯდომარე გადადგა და შეიძლება მთავრობაც მიყვეს.“

**ალეგორია** - ცალკეულ შემთხვევებში ავტორი იყენებს ალეგორიულ თხრობას, რათა გააძლიეროს სათქმელი. თამარ ჩერგოლეიშვილის მიერ 7 მაისის სტატუსში, რომელშიც ნინო სუხიშვილს მიმართავს ვხვდებით აბსტრაქტულ-ესთიკურ თხრობა, რომლითაც ფილოსოფიური რწმენაცაა გადმოცემული. ჟურნალისტი „ლგბტ“ თემის უფლებების დაცვის აუცილებლობაზე საუბრისას ჯერ პავლე მოციქულის სიტყვებს იმოწმებს „უფრო მეტიც, ჩემი შეფასებით და ვფიქრობ საღი აზრითაც, სწორედ რომ ქრისტიანული ღირებულებების ღალატია სიძულვილის ზეიმში მონაწილეობა. როგორც პავლე მოციქული იტყოდა, ფასით ხართ ნაყიდნი - ნუ გახდებით მონები. ხოლო შემდგომ ილია ჭავჭავაძის სიტყვებს იმოწმებს:

სარწმუნოება

და სათნოება

ფარისევლობად არ შეგვიქმნია,

თქვენი სლოკინი,

ხელთა ფოტინი

ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნია.

**ანალიზი** - თამარ ჩერგოლეიშვილის დამაჯერებელი ტონალობა „ფეისბუქსტატუსებშიც“ საზოგადოებას აგრძნობინებს ოპონენტებთან მის უპორატესობას. ჩერგოლეიშვილი არ საუბრობს უნებლიე შეცდომებზე, პირიქით, როდესაც სხვის საქციელს აკრიტიკებს უმეტესად ხაზს უსვამს ფაქტს, რომ მან კარგად იცოდა რას აშავებს, მაგრამ მაინც აკეთებს. აღნიშნული ფაქტი, კი კიდევ უფრო მეტ პროტესტს იწვევს საზოგადოებაში, რადგან შესძლოა, „არ ცოდნა“ უფრო მარტივად აპატიონ ადამიანს, ვიდრე შეგნებული მავნებლობა. ეს ყოველივე საშუალებას აძლევს თამარ ჩერგოლეიშვილს, რომ სამიზნე სუბიექტს მისი გამომწერების თვალში იმიჯი სრულად შეულახოს. ჩერგოლეიშვილი მართალია, არ მიმართავს მხატვრულ ფორმებს და შეტყობინენის გადაცემის მარტივ სახეებს იყენებს, მაგრამ ხელისუფლების კრიტიკის დროს მისი მთავარი „იარაღი“ სწორედ შეურაცხმყოფელი ეპითეტებია -მაგალითად, 17 მაისის სტატუსში აღნიშნულია შემდეგი: „არარაობა ბახტაძე და უპრინციპო და უსაქციელო პარლამენტის თავმჯდომარე რას ამბობენ ერთია - რეალობა მეორე! ნონსენსია რასაც ისინი ამბობენ - აღმაშფოთებელი თავხედობა და სიბრიყვე.“ შესაბამისად თამარ ჩერგოლეიშვილის სტატუსებში კონოტაციური და დენოტაციური მახასიათებლები ერთ დონეზეა წარმოდგენილი. მისი შეტყობინებების შინაარსი არ არის ალეგორიული ხასიათის (ცალკეული შემთხვევების გარდა) და ის პირდაპირ აგზავნის შეტყობინებებს საკუთარი მოსაზრბების შესახებ მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს მესიჯები კონკრეტული პირების მიმართ შეურაცხმყოფელი ან მადისკრედიტებელი.

გრიგოლ გეგელია.

21 ივნისი - 1. ქართული ოცნება საბოლოოდ დაადგა წინამორბედის გზას. თუკი აქამდე რამე აკლდა, დღეს ესეც ფაქტობრივად გასრულდა. ამწამს ქალაქის ქუჩებში მოქალაქეებზე ნადირობენ, ზოგს თვალი აღარ აქვს, ზოგიც სხვამხრივაა დაშავებული.

2. პოლიტიკური პროცესი (პასუხისმგებლობის დაყენება, მოლაპარაკება, კონსენსუსი) დაჯაბნა რევოლუციონიზმმა და ე. წ. „კრიზისულმა მართვამ“. პოლიტიკის ნაცვლად, სცენაზე შემოვიდა ხელკეტი, ტყვია, გაზი. ამ ტოტალურ პოლიტიკურ უპასუხისმგებლობას ადამიანების კეთილდღეობა შეეწირა. კიდევ ერთხელ, ხელახლა!

3. წარმოუდგენელია, მაგრამ ეს ყველაფერი მოხდა ნულოვანი პოლიტიკური ღირებულების მატარებელი კობახიძის და კიდევ უფრო ნულოვანი ქუცნაშვილის გამო. დემოკრატიას დღეს ისინი ამჯობინეს. გავრილოვს შესწირეს ახალგაზრდების კეთილდღეობა და თვალისჩინი.

4. კიდევ უფრო წარმოუდგენელია, რომ ეს ყველაფერი მართლმადიდებელი კომუნისტი ნაბიჭვრის გამო ხდება, რომელმაც რუსულად გახსნა ქართული პარლამენტის სხდომა პირველად საქართველოს ისტორიაში.

ქართული ოცნება დღეს დასრულდა. პოლიტიკა იქ კვდება, სადაც ძალადობა ხდება მთავარი ხერხი. დანარჩენი მხოლოდ ინერციაღაა.

ღმერთო, შენ გადმოხედე ჩემს ქვეყანას.

18 ივნისი - „ვასაძის განცხადებით, მისი ლიკვიდაცია იგეგმება“

„ვასაძე აპირებს ამ დღეებზე მემუარი დაწეროს“

მაშასადამე, ველი ერთგვერდიან მემუარს:

„მე მომკლეს ბაბუ“

8 ივნისი - შუაგულ აზერბაიჯანში, არანის რეგიონში, წასახემსებლად შევჩერდით. სადილი შევუკვეთე თუ არა, ქართული ლიმონათის ფართო არჩევანი მომართვეს, რომელს ინებებთო. ცხადია, არც იცოდნენ საიდან ვარ. განვივსე სიამაყით, გავიბადრე და დავეწაფე მშობლიურ ტარხუნას არანის უდაბნოს ველურ სიცხეში. ასე ერთი თვის სამყოფი ნაციონალიზმი დავიკმაყოფილე. ჩემი მიზანია, რომ პარიზშიც ასევე მომართვან ქართული ლიმონათი!

30 მაისი - "რუს ტურისტებს არ სიამოვნებთ, რომ რესტორნებში წარწერა: „რუსეთი ოკუპანტია“ ხვდებათ"

ვისაც არ სიამოვნებს, ირკუტსკში იაროს დასასვენებლად!

ახლა ჩვენ როგორ გვსიამოვნებს მაგათი დროშიანი მაისურები, ეგ იკითხონ! მითუმეტეს მაშინ, როცა სტატისტიკის თანახმად ათიდან რვა რუსი პუტინისტია!

6 მაისი - ქართველს აქვს უნიკალური უნარი, თურქეთში, ვენესუელაში და ბოსტონში მიმდინარეზე სასტიკად ღელავდეს, ხოლო ცხვირწინ მიმდინარეზე სრულიად ფლეგმატური იყოს. ამის გამოხატულებაა ქართული ბიზნეს-კლასიც, რომელმაც ამას წინ დამწვარი ნოტრ-დამის აღსადგენად საჭირო შესაწირზე თავი მოიკლა, აქ დანგრეულ ძეგლებსა და დამწვარ ვარძიაზე კი არანაირი პოზიცია არ ჰქონია.

აი, ამ შინაგანი სიყალბის, ამ უბადრუკი ფსევდო-სოლიდარიზმის გამო ვართ, სადაც ვართ და როგორც ვართ. ცხვირწინ გენგრეოდეს და აშენება არ გადარდებდეს, სადღაც შორს მიმდინარეზე კი ვითომ გადამკვდარი იყო, ზუსტად ეს არის მანკიერი ცნობიერება, თავი და თავი ამ უბედური, ასფიქსიური ჭაობისა.

20 აპრილი - განადგურებული ვარ. გუშინ შიმშილმა 15 წლის შალვა თვითმკვლელობამდე მიიყვანა. ობლობაში გაზრდილმა ბიჭმა შიმშილს ვეღარ გაუძლო და თავი ჩამოიხრჩო.

რამდენი წელია, ყოველ მეორე ინტერვიუში გავკივი, რომ სანამ ყოველი მეხუთე ბავშვი შიმშილობს, ერს მომავალი არა აქვს; რომ სანამ ასეა, კრიზისული მართვის რეჟიმში უნდა გადავიდეთ. მათ კი ეცინებათ!

ბოლოს წუხანდელ ეთერში ვასახელებდი ბავშვთა შორის შიმშილის აღმოფხვრას ჩემს ერთერთ უმთავრეს იდეალად. მაგრამ, რა ვიცოდი და რას წარმოვიდგენდი, რომ ზუსტად იმ წუთებში სადღაც ამ ქვეყნის მიწაზე მკვდარი ბავშვი იწვა, რომელიც შიმშილმა დასცა.

15 აპრილი -ხალხო, დღეს მატყუარა სახელმწიფომ გვითხრა, რომ ერთ სულს საარსებოდ თვეში 72 ლარი და 24 თეთრი ყოფნის! საქსტატის გაანგარიშებით ხუთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი თვეში 361 ლარი და 20 თეთრია!

ნახეთ, როგორ გატყუებთ დღეს თქვენი სახელმწიფო:

საარსებო მინიმუმის გამოთვლა მხოლოდ საკვებ ხარჯებს ითვალისწინებს. საარსებო მინიმუმი არ ითვალისწინებს კომუნალურ გადასახადს, ტრანსპორტის ხარჯს, წამლების ხარჯს და სხვა აუცილებელი საჭიროებების ხარჯს, რაც ყველა ცოცხალ ადამიანს აუცილებლად აქვს.

საარსებო მინიმუმის დათვლისას, სახელმწიფო ითვალისწინებს ე. წ. "შევაჭრების კოეფიციენტს", რაც ჯამური ღირებულების 14%-ია. სახელმწიფო ამბობს, რომ სურსათის ყიდვისას თქვენ აუცილებლად ივაჭრებთ და ნაკლებს გადაიხდით, ვიდრე საბაზრო ღირებულებაა.

საარსებო მინიმუმს სახელმწიფო 2003 წლის მაისში (!) განსაზღვრული სასურსათო კალათით თვლის. 2003 წლის მერე 16 წელი გავიდა. შეიცვალა უამრავი რამ, მათ შორის კულტურული პრაქტიკაც. მაგალითად, 2003 წელს, როცა ეს სასურსათო კალათი განისაზღვრა, "შევაჭრების" პრაქტიკა ჯერაც მუშაობდა, დღეს კი ამას ნაკლებად და ნაკლებად ვხვდებით, მითუმეტეს სუპერმარკეტებში.

ამ მატყუარა გამოთვლის გამო, თქვენი საარსებო მინიმუმი იანვარშიც იგივეა და მაისშიც. სინამდვილეში, ზამთარში ცხოვრება საშუალოდ 20%-ით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ზაფხულში.

მოსახლეობისთვის მსგავსი სტატისტიკის შეთავაზება არის მშიერი, ღატაკი ადამიანების შეყრაცხყოფა და დაღალატება. ეს არის სიღარიბის, უიმედობის და სტაგნაციის ნორმად ქცევა. თან სად? ქვეყანაში სადაც სახელმწიფოს მოხელეები ასობით ათას ლარს პრემიებში, ვახშმებში და ძვირადღირებულ მანქანებში ხარჯავენ.ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ძვირდება, გარდა შრომის ანაზღაურებისა!

4 აპრილი - მეფე შიშველია

პრეზიდენტი ზევიდან

პრემიერი საეკლესიო დღესასწაულებს ადგენს

სპიკერი შეურაცხადია

გინეკოლოგი დიდ პოლიტიკას დაუბრუნდა

პარლამენტარები წითელს და მწვანეს ვერ არჩევენ

მე კი კენჭს ვიყრი.

ვაი, საბრალო სამშობლოვ!

**დეფინიცია** - 20 ივნისს რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის შესახებ გრიგოლ გეგელია წერს : . პოლიტიკური პროცესი (პასუხისმგებლობის დაყენება, მოლაპარაკება, კონსენსუსი) დაჯაბნა რევოლუციონიზმმა და ე. წ. „კრიზისულმა მართვამ“. შემდეგ კი მიმართავს რთულ დეფინიციას და ხნის რას ნიშნავს კრიზისული მართვა და რაში გამოიხატება ეს. „პოლიტიკის ნაცვლად, სცენაზე შემოვიდა ხელკეტი, ტყვია, გაზი. ამ ტოტალურ პოლიტიკურ უპასუხისმგებლობას ადამიანების კეთილდღეობა შეეწირა. კიდევ ერთხელ, ხელახლა!“

**ირონია და თვითირონია** - 18 ივნისს გეგელია წერს:„ვასაძის განცხადებით, მისი ლიკვიდაცია იგეგმება“ „ვასაძე აპირებს ამ დღეებზე მემუარი დაწეროს“ მაშასადამე, ველი ერთგვერდიან მემუარს: „მე მომკლეს ბაბუ“. ამ ტიპის ირონიით ავტორი აღწევს ორ მიზანს 1, ემიჯნება ვასაძის მსოფლმხედველობას და ირონიულად უყურებს ვასაძისეულ რიტორიკასა და მოსაზრებებს, რომელიც საზოგადოებისთვისაც ცნობილია და მეორე, ხდება მინიშნება იმისა, რომ ვასაძის საქმე რეალურად ბუტაფორიული შინაარსისაა და არაფრის კეთებას უდრის. ის, რასაც ლევან ვასაძე ღირსების დაცვას უწოდებს გეგელია საზოგადოებას წარუდგენს, როგორც უშინაარსო, აზრმოკლებულ ქმედებას.

თვითირონიულია გეგელია - 4 აპრილის სტატუსში, რომელშიც მოვლენების ლაკონურად აჯამებს -

„მეფე შიშველია

პრეზიდენტი ზევიდან

პრემიერი საეკლესიო დღესასწაულებს ადგენს

სპიკერი შეურაცხადია

გინეკოლოგი დიდ პოლიტიკას დაუბრუნდა

პარლამენტარები წითელს და მწვანეს ვერ არჩევენ

მე კი კენჭს ვიყრი.

ვაი, საბრალო სამშობლოვ!“

**მაგალითების მოყვანა** - იმის ხაზგასასმელად, რომ ქართველებს ახასიათებთ ფსევდო-სოლიდარიზმი გეგელია წერს: „ქართველს აქვს უნიკალური უნარი, თურქეთში, ვენესუელაში და ბოსტონში მიმდინარეზე სასტიკად ღელავდეს, ხოლო ცხვირწინ მიმდინარეზე სრულიად ფლეგმატური იყოს. ამის გამოხატულებაა ქართული ბიზნეს-კლასიც, რომელმაც ამას წინ დამწვარი ნოტრ-დამის აღსადგენად საჭირო შესაწირზე თავი მოიკლა, აქ დანგრეულ ძეგლებსა და დამწვარ ვარძიაზე კი არანაირი პოზიცია არ ჰქონია.“

კიდევ უფრო მნიშვნელოვან თემას- ბავშვთა უფლებების დაცვას და სიღარიბეს/შიმშილს უთმობს გეგელია თავის სტატუსში, რომელშიც ძალიან მძიმე პრობლემას ეხება. „განადგურებული ვარ. გუშინ შიმშილმა 15 წლის შალვა თვითმკვლელობამდე მიიყვანა. ობლობაში გაზრდილმა ბიჭმა შიმშილს ვეღარ გაუძლო და თავი ჩამოიხრჩო.“ 15 წლის მოსაზრდის მაგალითით გეგელია ნათლად გვაჩვენებს ჩვენი საზოგადოების უიმედო მდგომარეობას და ღიად ამბობს: რამდენი წელია, ყოველ მეორე ინტერვიუში გავკივი, რომ სანამ ყოველი მეხუთე ბავშვი შიმშილობს, ერს

მომავალი არა აქვს; რომ სანამ ასეა, კრიზისული მართვის რეჟიმში უნდა გადავიდეთ. მათ კი ეცინებათ!

**ანალიზი** - დეფინიციების საშუალებით გრიგოლ გეგელია ახერხებს, რომ მისი მსჯელობა იყოს კონსტრუქციული, ლოგიკურ არგუმენტებზე დამყარებული. მიუხედავად იმისა, რომ მისი სტატუსები არ გამოირჩევა არაეთიკური შეფასებებით, ცალკეულ შემთხვევაში კრიტიკის ფორმები არის მკაცრი და ცალსახა. „წარმოუდგენელია, მაგრამ ეს ყველაფერი (20 ივნისის ღამე) მოხდა ნულოვანი პოლიტიკური ღირებულების მატარებელი კობახიძის და კიდევ უფრო ნულოვანი ქუცნაშვილის გამო.“ ბიზნეს-ელიტის მიერ ნოტრ-დამის აღსადგენად შესაწირის შეგროვებაზე აქცენტები არ დასმულა ტრადიციულ მედიაში, განსხვავებით გრიგოლ გეგელიას სტატუსებისა, რომელიც საზოგადოებას ისეთ საკიტხებზე დააფიქრებს, რომელზე მსჯელობასაც მედია ვერ ახრხებს, ან ნაკლებ ყურადღებას აქცევს. თუმცა ფსევდო-სოლიდარობა და „ფსევდო პატრიოტიზმი“ ის საკითხებია, რომელზე მსჯელოვაც არ არის აზრს მოკლებული, მაგრამ მასმედიაში ხშირად არ გვხვდება ფართო დისკუსია ამ თემატიკაზე ამიტომ გეგელია, როგორც საკუთარ „ფეისბუქსტატუსში“ სწორედ ამ თემატიკას უთმობს ყურადღებას. ის, რომ გეგელია მემარცხენე პოლიტიკური შეხედულების მქონეა აისახება მის სტატუსებშიც, რომელშიც საკითხები ეხება ბავშვთა უფლებებს, სიღარიბეს, შიმშილს და ამ ფონზე გაძლიერებულ პოლიტიკრ ელიტასა და ბიზნეს კლასს. აღნიშნული თემატიკა წარმოაჩენს გრიგოლ გეგელიას პოლიტიკურ შეხედულებებსა და იმ მთავარ საკითხებს, რომელიც მისთვის, როგორც მემარცხენე ლიდერისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ანა დოლიძე

21 ივნისი - გილოცავთ. ირაკლი კობახიძის, იგივე შარიკოვის, საქართველოს პარლამენტის ყველაზე უღირსი თავმჯდომარის გადადგომას. 2 წელი ამას ვამბობდი და ამას ყველამ ერთად მივაღწიეთ. ასე ყველაფერი გამოგვივა. ეს მხოლოდ ერთერთი გაჩერებაა. სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება.

20 ივნისი - "ორჯონიკიძის სია"ში იქნება ყველა ის დეპუტატი ვინც იჯდა დარბაზში და იქვე არ გააპროტესტა ეს უმსგავსობა. სიის სათავეშია ირაკლი კობახიძე, რომელიც უნდა გადადგეს. სიის არსია დავინახოთ ვინ დგას გიორგი ანწუხელიძესთან და ვინ დგას სერგო ორჯონიკიძესთან და 5 კოლონასთან.

19 ივნისი - ბოკერია რომ ხელისუფლებაში იყო, ეს კაცი არცერთ არცეთ მიტინგზე, არცერთ პროტესტზე არ გამოსულა არასოდეს. არასოდეს ასტკიებია გული რომელიმე მძიმე საქმეზე.შეიძლება გირგვლიანიდან დაწყებული 26 მაისით დამთავრებული საქმეები გქონდეს და ერთხელ არ გამოჩნდე პროტესტზე? ერთხელ არ აგიფეთქდეს გული? თუ სასამართლოს გამურუსიძეება ეროვნული პრობლემა არაა? აი საკანში წასვლა მაშინ იყო ვაჟკაცობა. თუმცა ძლივს ერთი ბრწყინვალე აზრი წარმოიშვა, მართლაც. დიდი ხანი არ გამოხვიდეთ არცერთი გთხოვთ. როგორც თქვენი მოძმეები იტყვიან: სდელაიტე ტაკ ჩტობი მი ვას აბოიხ დოლგო ნე ვიდელი. ბოკერიას დროინდელი მთავრობისგან განსხვავებით საჭმელ-სანოვაგეს და საწერს არ მოგაკლებთ. Good luck. [13]

8 ივნისი - მიმართვა ხელისუფლების ტროლების ფაბრიკის დირექტორს (რა ქვია??)

ბატონო ?

მინდა გაგიზიაროთ ერთი მოქალაქის გულისწუხილი. ვამჩნევ, რომ იშვიათად ინტერესედებით ჩემი გვერდით. ძირითადად ვწერ სასამართლოზე, სამართალზე, ადამიანის უფლებებზე, ქართული ოცნების უნიათობაზე, ხანდახან სიღარიბეზე, ეკოლოგიაზე და ირაკლი კობახიძე-შარიკოვზე. ძალიან გული მწყდება რომ ეს თემები თქვენ არ გაინტერესებთ და თქვენ ტროლებს არ მიგზავნით. საკმარისია, დავწერო რამე ვითომპრემიერ ბახტაძეზე, აი როგორც გუშინ, რომ გამომიგზავნეთ ათიოდე ტროლი მსგავსი გზავნილებით. ეს დისკრიმინაციული დამოკიდებულება ძალიან მწყვეტს გულს. რა დასკვნა უნდა გამოვიტანო, არ გაინტერესებთ სასამართლო, მურუსიძე-

[13]იხ. სტატია https://netgazeti.ge/news/373061/?fbclid=IwAR1D8z15lZW-OhvPnRQ_Q248aIPEElkgCOz7VL1yCz6HWAIRuR4dhdNOZU8)

ჩინჩალაძე, ჰაერი, და თავად შარიკოვი? მხოლოდ ბახტაძეზე გეთუთქებათ გული? ასეთი დისკრიმინაციით ჩვენ შორს ვერ წავალთ. პატივისცემით,

27 მაისი - დღეს გორში დემოკრატიის სკოლის ერთერთმა მსმენელმა იკითხა, როგორ უნდა ავუხსნათ ხალხს რა მოჰყვება იმას რომ არ ხორციელდება მართლმსაჯულება. ჩემი პასუხია: ვინ უყურებს ჩემი ცოლის დაქალებს ნახეთ ამ სეზონის 33 სერია სადაც მაკა შურს იძიებს და ბადრი კოლიას კლავს? ესაა შედეგი ზუსტად იმისა, როდესაც მართლმსაჯულება არ მუშაობს.

8 მაისი - შევხვდი "დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ" მოძრაობის ლიდერს ქალბატონ თამარ ჯაფარიძეს. მის პაწია შვილიშვილთან ერთად იყო მოსული რომ გვესაუბრა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებაზე. დეპუტატ ლევან გოგიჩაიშვილის კანონპროექტიც განვიხილეთ, რომელიც ქართულმა ოცნებამ ჩააგდო. ჩემთვის, როგორც დედისათვის ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მომავალში თანამშრომლობაზეც შევთანხმდით.

7 მაისი - ვუსმინე დებატებს რუსთავი 2 თან დაკავშირებით. კონსენსუსია ორივე მხარეს შორის, ამ ეტაპზე მაინც, რომ შეიძლება წასვლა უცხოეთის რომელიმე არბიტრაჟში ვინაიდან ქართული სასამართლოს მიმართ ნდობა არ არსებობს. და თუ ხვდება ხელისუფლება რაოდენ პათოლოგიურია ეს ვითარება? და რა ვქნათ, დავაპაუზოთ მართლმსაჯულება და ყველამ ასე გარე-გარე ვიაროთ სასამართლოს უნდობლობის გამო? ამ დაახლ. 100 მილიონს, რომელიც ქართული სასამართლოები გვიჯდება რატომ ვიხდით საერთოდ? დავკეტოთ ეს სასამართლოები ბარემ და ეს ფულიც მშიერ ბავშვებს დავურიგოთ. ადექით ახლა და იმეორეთ "ზი ჰერითაჯ ფაუნდეიშნის" კვლევები

22 აპრილი - წინასწარ ვაცხადებ რომ ეს არ არის პოლიტიკური პოსტი. ეს არის გრძნობების გამოხატვის პოსტი. ტვ პირველზე ვუყურე ახლა ჰესებზე დისკუსიას და კიდევ უფრო შემიყვარდნენ პანკისელები. ყველამ ამ ხალხის ვაჟკაცობაზე უნდა გავაკეთოთ სწორება

2 აპრილი - ბატონო ბიძინა, სააკაშვილი ახლა ამბობს ეთერში კანონით დავარეგულირებ და დავაბრუნებინებ ივანიშვილს ქონებასო ასე 3 მილიარდსო. ამაზე მოსამართლე

მურუსიძე იტყვის, რა ვქნათ, კანონი როგორიცაა ისე უნდა აღვასრულოთო და მაშინაც ასე აღფრთოვანდებით ამ "ახალგაზრდა კაცის ხედვით?" თუ ეს სწორედაც რომ ფაშისტური მიდგომა (ფაშისტები იქცეოდნენ ასე, ფაშისტურ კანონებს წერდნენ და მერე სასამართლოთი ასრულებდნენ) ცოტა არ იყოს არასასიამოვნოა როცა საკუთარ ქონებას ეხება?

**ალეგორია** - ანა დოლიძე პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვების სესახებ სტატუსში აღნიშნავს:"გილოცავთ. ირაკლი კობახიძის, იგივე შარიკოვის, საქართველოს პარლამენტის ყველაზე უღირსი თავმჯდომარის გადადგომას." ბულგაკოვის პერსონაჟთან, ირაკლი კობახიძის გაიგივება მიანიშნებს აუდიტორიას, რომ კობახიძე დაკავებულ თანამდებობაზე შემთხვევით მოხვდა და რეალურად არის უღირსი და შეუფერებელი კანდიდატი. „შარიკოვის" კონოტაციური მნიშვნელობა ირაკლი კობახიძის არაადამიანურ, არამედ ძაღლურ ბუნებაზე მიანიშნებს, რომელიც შემთხვევით გარედაიქმნა ადამიანად.

**მეტაფორა** - - "ორჯონიკიძის სიაში" იქნება ყველა ის დეპუტატი ვინც იჯდა დარბაზში და იქვე არ გააპროტესტა ეს უმსგავსობა. ორჯონიჯიძის სია მეტაფორულად მიანიშნებს მღალატეთა მხარეს ყოფნას. ვინაიდან თავად სერგო ორჯონიკიძე კონოტაციურ დონეზე წარმოადგენს სამშრობლოს დამამხობელის ხატს. ფრაზით - „სიის არსია დავინახოთ ვინ დგას გიორგი ანწუხელიძესთან და ვინ დგას სერგო ორჯონიკიძესთან და 5 კოლონასთან." - ანა დოლიძე გამოკვეთს პოლარიზებულ მხარეებს პატრიოტი/მოღალატე და შესაბამისად აღნიშნული ოპოზიტების წარმოქმნა ერთგვარი მარკერია იმისა, თუ რომელი დეპუტატი რომელ მხარეს წარმოადგენს.

**მეტონიმია**- „ შეიძლება გირგვლიანიდან დაწყებული 26 მაისით დამთავრებული საქმეები გქონდეს და ერთხელ არ გამოჩნდე პროტესტზე? ერთხელ არ აგიფეთქდეს გული? თუ სასამართლოს გამურუსიძეება ეროვნული პრობლემა არაა?" ვინაიდან მეტონიმია ეფუძნება ასოცირებას, სასამართლოს გამურუსიძება, რაზეც ანა დოლიძე საუბრობს, მეტონიმიური შინაარსით საზოგადოებისთვის შეტყობინებაა სასამართლ;ო სისტემის რღვევაზე, კორუმპირებული სასამართლოს წარმოშობაზე, მოსამართლე მურუსიძე მედიაში არაერთხელ გამოცხადდა ოდიოზურ პიროვნებად. ამბობენ

მურუსიძეს და გულისხმობენს კლანურ მმართველობას. როდესაც მაღალი რეპუტაციის მქონე იურისტი საზოგადოებას სასამართლოს მიკერძოებულობაზე ესაუბრება, კიდევ უფრო მეტად აღმაშფოთებელი ხდება საზოგადოებისთვის ამ სისტემაში მიმდინარე მოვლენები.

**ირონია**- „მიმართვა ხელისუფლების ტროლების ფაბრიკის დირექტორს (რა ქვია??) ბატონო ?... რა დასკვნა უნდა გამოვიტანო, არ გაინტერესებთ სასამართლო, მურუსიძე-ჩინჩალაძე, ჰაერი, და თავად შარიკოვი? მხოლოდ ბახტაძეზე გეთუთქებათ გული? ასეთი დისკრიმინაციით ჩვენ შორს ვერ წავალთ. პატივისცემით," ღია წერილში, რომელშიც ანა დოლიძე ტროლებს მიმართავს ამხელს მთავრობის პოლიტიკას, ყალბი ინფორმაციით დაუპირისპირდეს იმ ადამიანებს, რომლებიც კრიტიკულები არიან მათს მიმართ. ის, რომ ტროლებს არ აინტერესებთ რეალური პრობლემები და მხოლოდ მაღალი თანამდებობი პირთა კრიტიკაზე რეაგირებენ ამხელს პროპაგანდისტული მოქმედების ნარატივებს მთავრობაში. ირონიით აღწევს ანა დოლიძე სათქმელს, რომ მმართველი გუნდი საკუთარ რესურსებს რბილ ძალას იყენებს ოპოზიციური მოსაზრებების ჩასახშობად.

**ანალიზი** - ანა დოლიძე „ფეისბუქსტატუსებს" იყენებს საკუთარი პროფესიის, კომპეტენციის ფარგლებში არსებული პრობლემების აქტუალიზების მიზნით. ის ძირითადად საუბრობს სასამართლო სისტემისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ნაკლებად ვხვდებიტ მის სტატუსებში სხვა ტიპის სოციალურ-პოლიტიკურს, კულტურულსა თუ სხვა სფეროსთან დაკაშირებული თემების ირგვლივ მის მოსაზრებებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი თხრობის სტილი არ გამოირჩევაექსპრესიულობით, ხშირად ის მხატვრული სახეები და შედარებები, რომელსაც იყენებს ზუსტად ერგება სათქმელის შინაარს და ამ გზით დიდხანს რჩება მკითხველის მეხსიარებაში. ანა დოლიძეს ახასიათებს რიტორიკული საფეხურის - ლოგოსის დონის გამოყენება, როცა მთავარი აქცენტი ლოგიურ მსჯელობას ეფუძნება.

დავით უსუფაშვილი

24 ივნისი - ვინმე უბარიერო პროპორციულ არჩევნებს ითხოვდა? - არა. ოპოზიციის ინიცირებულ და 300 000 მოქალაქის მხარდაჭერილ პროექტში 3%-იანი ბარიერია მოთხოვნილი, ხოლო კონსტიტუციაში 2020-ისთვის 3%-ია დაწესებული და 2024-ისთვის - 5%.

მაშ რატომ მოხვდა ეს პუნქტი ივანიშვილის განცხადებაში? - იმიტომ, რომ „პროპორციულზე კი იძულებული ვარ დაგეთანხმოთ, მაგრამ მთლად არ ჩაგბარდებით და ჩემთვისაც დავიტოვებ მღვრიე წყალში სათევზაოსო“.

ამ ვითარებაში აუცილებელია ჯერ პროპორციულზე შეთანხმება გავამყაროთ და მერე გადავიდეთ „მღვრიე წყლის გასუფთავებაზე“. თუ პირიქით მოვიქეცით, წყალი კიდევ უფრო აიმღვრევა და ისევ მხოლოდ ორნი ითევზავებენ.

20 ივნისი -- გახარია მართალია - ტრაგედიაა ინსტიტუტებზე შეტევა და კორდონების გარღვევა კომბლებითაც და უკომბლებოდაც. ამგვარი მცდელობები უნდა შეწყდეს ან უნდა აღიკვეთოს კანონის ფარგლებში. წერტილი.
მაგრამ ეს არის ყველაზე დიდი ტრაგედია ამ ქვეყანაში? ამავე ინსტიტუტების დაძაბუნება, ხელისუფლების ეროზია და მმართველობითი ქაოსი არის ამ ტრაგედიის მიზეზიც და ყველაზე უფრო კატასტროფული ტრაგედიაც. და კიდევ ისაა ტრაგედია, რომ ტრაგედიებს შემომქმედ ოცნებას ჯერ კიდევ ჰყავს მხსნელი ოპონენტი, რომელთან ერთადაც აპარტახებს ქვეყანას.

17 ივნისი - რიტორიკული კითხვები ბატონ პრემიერს...

1. თქვენ პრემიერ-მინისტრად მუშაობთ, რომელმაც ყველა საჭირბოროტო საკითხზე ყოველთვის საკუთარი პოლიტიკური პოზიცია უნდა მოგვახსენოს, თუ მთავრობის პრეს-სპიკერი ბრძანდებით, რომელსაც საკუთარი აზრი არასოდეს არ უნდა გაეპაროს ტრიბუნიდან?

2. პოლიციისთვის მასშტაბური წინააღმდეგობის გასაწევად საჯარო მზადება სამართლებრივი საკითხია, რომელზეც შსს-მ უნდა იზრუნოს თუ ეს ის თემაა, რომელზეც ქვეყნის ყველაზე დიდი თანამდებობის პირს ყველაზე მკაფიო პოლიტიკური პოზიცია უნდა ჰქონდეს?

3. ამა წლის 18-23 ივნისში თბილისში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ლევან ვასაძის აქციიდან შეიტყვეთ თუ ეს მანამდეც იცოდით, გაანალიზებული გქონდათ მოვლენების განვითარების ვერსიები, ვითარებას თქვენ აკონტროლებთ და არა აქციების თუ კონტრაქციების ორგანიზატორები?

24 მაისი - ვინაიდან ჩვენში პოლიტიკური პროცესი კვლავაც მითქმა-მოთქმითაა სავსე და არა პოლიტიკური დიალოგით ან საგნობრივი დებატებით, კონსტიტუციაზე და ბიბლიაზე ხელის დადებით კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ „შენების მოძრაობა“ არავისთან არ იმყოფება ექსკლუზიურ პარტნიორობაში და ყველასთან მზადაა თემატური ურთიერთობისთვის. წერტილი! (ძახილის ნიშანი გამოვიდა...)

21 აპრილი - პანკისის ხეობაში ქვეყნის მორიგ ნაღმზე აფეთქების პოტენციალი 100-ჯერ მეტია, ვიდრე ენერგიტიკული პოტენციალი. პანკისში, განსაკუთრებით მაჩალიკაშვილების ტრაგედიის შემდეგ, ყველაფერი პოლიტიკურია და არა ეკონომიკური ან ენერგეტიკული. პრემიერს და მთავრობას ამდენი არ ესმით! არც ის ესმით, რომ ამგვარი საკითხების მოგვარებაში პოლიცია და სპეცრაზმი ყველაზე კონტრ-პროდუქტიული ინსტრუმენტია!

ამიტომ, სანამ ვითარების განმუხტვა კიდევ შესაძლებელია, პანკისში უნდა ჩავიდეს საქართველოს პრეზიდენტი და მოსახლეობას მისცეს გარანტია, რომ შეთანხმების მიღწევამდე ჰესის მშენებლობა არ განახლდება. ცხადია, თუ იგი კვლავ იმას არ ფიქრობს, რომ ის პოლიტიკის მიღმაა და ეს კი პოლიტიკაა.

10 აპრილი -დღეს უამრავჯერ მკითხეს, რას გულისხმობდა ბიძინა, როცა ნაცებისთვის რევოლუციის სცენარის დაწერას გაბრალებდაო... ჰოდა, ვეძებე და მოვძებნე! ესაა ჩემი 2018 წლის 20 ნოემბრის პოსტის ძირითადი ნაწილი, რომელიც მაშინ, "იმედის" ეთერში, მოინათლა "რევოლუციის სქემად"... რატომ? იმიტომ, რომ არ ავყევი მეორე ტურის წინ აგორებულ საოცნებო ტალღას და საჭირო იყო ჩემი რამეში როგორმე "გაშავება"! :)

"შეთანხმების ფორმულა“

DAVID USUPASHVILI OFFICIAL•TUESDAY, NOVEMBER 20, 2018

სააკაშვილი რომ ქვეყნისთვის საზიანო ლიდერია, მე ეს 2004 წლის ივნისიში დავასკვენი და მას შემდეგ ეს აზრი მხოლოდ მიმყარდებოდა. ცხადია, დღეს მისი სახელისუფლებო რევანში დაუშვებელია, მაგრამ რის ფასად? მტრულ ბანაკებად გახლეჩილი საქართველოს ფასად? ზნეობის ელემენტარული ნორმების ფასად? საჯარო სამსახურის, სასამართლოს, პროკურატურის და უშიშროების პარტიის სამსახურში ჩაყენების ფასად? კერძო ბიზნესის პოლიტიკური მართვის ფასად? დემოკრატიული არჩევნების კომერციულ აუქციონად ქცევის ფასად?

და თუ ამ ფასს გადავიხდით, მაშინ რაღას გადავარჩენთ სააკაშვილისგან? ერთადერთს - ოცნების საოცნებო ყოფნას ხელისუფლებაში!

აი, ამ ვითარებაში, მეუბნებიან აქეთ-იქიდან, მაინც „ამას“ მიეცი ხმა, იმიტომ, რომ „იმას“ მეტის დაშავება შეუძლიაო... ანუ, ერთი და იმავე უფსკრულამდე გრძელი ბილიკით სიარული არჩიე მოკლე ბილიკით სიარულს და თავი ანებე ისეთი ბილიკის ძებნას, რომელიც ყველას ერთად გაგვიყვანს სამშვიდობოსო.

მესმის, ასეთი ბილიკის ძებნას ყველა მოქალაქე ვერ შეერკინება მრავალი მიზეზის გამო. ამიტომ, ტრაგიზმით სავსე, მაგრამ გასაგები მოქალაქეობრივი პოზიციაა არჩევნებში მონაწილეობა და უფსკრულისკენ მიმავალი უფრო გრძლად მიჩნეული ბილიკისთვის მხარდაჭერა იმ იმედით, რომ იქნებ დრო მოვიგოთ რამე საშველის გამოჩენამდე.

მაგრამ მე, თუნდაც სასტიკად დამარცხებული, მაგრამ სახელმწიფოს გასაძღოლად ქართველი ხალხისთვის საკუთარი თავის შემთავაზებელი პოლიტიკოსი, ვალდებული ვარ, ბოლო წამამდე ვეძებო პოლიტიკური გამოსავლის ფორმულა და არ ჩავბარდე რომელიმე არასწორ მხარეს.

ასეთი ფორმულა ჯერ კიდევ მოიძებნება, თუკი მხარეები უმძიმესი საარჩევნო პროცესის ფინიშის სწორზე მაინც წამით შეჩერდებიან და გაიხსენებენ, რომ მომხდურ გარეშე მტერთან კი არა, ქვეყნის ბედ-იღბალზე ზიარი პასუხისმგებლობის მქონე ოპონენტთან აქვთ საქმე.

ასეთ შემთხვევაში, მმართველი პარტიის ლიდერი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და საპრეზიდენტო კანდიდატები შეძლებდნენ ისეთ შეთანხმების მიღწევას, რომელიც

ქვეყანას გაამაგრებდა, საზოგადოებას დაამშვიდებდა და პოლიტიკურ პროცესს აღმშენებლობით კალაპოტში გადაიყვანდა - პროპორციული არჩევნები, დროებითი პრეზიდენტი, მიუკერძოებელი სახელმწიფო ორგანოები:

1. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგის მიუხედავად, 2019 წლის ოქტომბერში ჩატარდება ვდამდელი საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით;

2. ვინც არ უნდა იქნეს პრეზიდენტად არჩეული, მისი მთავარი ამოცანა იქნება 2019 წლის ოქტომბერში ვადამდელი პროპორციული საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად და თავისუფლად ჩატარება, რის შემდეგაც იგი გადადგება;

3. კონფრონტაციული არჩევნების საბოლოო შედეგისადმი საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად სახელისუფლებო ქვედანაყოფები დაუყოვნებლივ გადავლენ არჩევნების თავისუფლების უზრუნველყოფის რეჟიმზე, რაზეც პრემიერ-მინისტრი აიღებს პერსონალურ პასუხისმგებლობას."

**მეტაფორა** - მაშ რატომ მოხვდა ეს პუნქტი (უბარიერო პროპორციული არჩევნები) ივანიშვილის განცხადებაში? - იმიტომ, რომ „პროპორციულზე კი იძულებული ვარ დაგეთანხმოთ, მაგრამ მთლად არ ჩაგბარდებით და ჩემთვისაც დავიტოვებ მღვრიე წყალში სათევზაოსო“. მღვრიე წყლის მეტაფორა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნულოვანი ბარიერის პირობებში პარლამენტში თავს მოიყრის ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც სულ მცირე ამბიცია ექნება რომ მისი წევრი გახდეს, მეტი უცნობი და საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანი, რომელიც გაურკვეველი მიზნებითი და ინტერესებით შეძლებს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრას.

**შედარება** - ამავე ინსტიტუტების (პარლამენტის) დაძაბუნება, ხელისუფლების ეროზია და მმართველობითი ქაოსი არის ამ ტრაგედიის მიზეზიც და ყველაზე უფრო კატასტროფული ტრაგედიაც. როდესაც ანტისაოკუპაციო აქციის მონაწილეთა ნაწილის რურვილზე- შესულიყვნენ პარლამენტში - საუბრობს დავით უსუფაშვილი შედარებას აკეთებს. რა არის უფრო მნიშვნელოვანი: საზოგადოების ნაწილის მცდელობა შეტევა განახორციოლოს სახელმწიფო ინსტიტუტებზე თუ ხესლისუფლების მმართველობითი ქაოსი და ეროზია. ის აუდიტორიას მიანიშნებს, რომ რევოლუციური სცენარი არის

არასწორი არჩევანი და ამავდროულად ხელისუფლ;ებას ამხელს იმაში, რომ საზოგადოების სურვილი შევიდეს პარლამენტში გამოწვეულია მისი უუნარობითა და დაძაბუნებით.

**ირონია** - სტატუსი: „რიტორიკული კითხვები ბატონ პრემიერს...“ ირონიული შინაარსის მატარებელია. ირონია იკვეთება მამუკა ბახტაძის მიმართ. რიტორიკული შეკითხვა ორატორული მეტყველების ხერხია, ეს არის მტკიცება, რომელიც შეკითხვის ფორმით არის გადმოცემული. (მიხეილ ჭაბაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. გვ.63-69. განათლება. 1989) დავით უსუფაშვილის რიტორიკული კითხვა - თქვენ პრემიერ-მინისტრად მუშაობთ, რომელმაც ყველა საჭირბოროტო საკითხზე ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს საკუთარი პოლიტიკური პოზიცია უნდა მოგვახსენოს, თუ მთავრობის პრეს-სპიკერი ბრძანდებით, რომელსაც საკუთარი აზრი ა რ ა ს ო დ ე ს არ უნდა გაეპაროს ტრიბუნიდან?“ - ირონიული მტკიცებაა იმისა, რომ პრემიერი მხოლოდ ნომინალური ფიგურაა და მას გადაწყვეტილების მიღების დონეზე არანაირი უფლებამოსილება არ აქვს.

**დეფინიცია** - დეფინიციას იყენებს დავით უსუფაშვილი, როდესაც საუბრობს ქართული ოცნების ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაზე, რომ სააკაშვილისთვის რევოლუციური სცენარი სწორედ უსუფაშვილმა დაწერა. აღნიშნულ სტატუსში უსუფაშვილი დეტალურად ხსნის საკუთარ ქმედებებს თუ რა პოზიცია აქვს მას და სად უნდა მისვლა.

„და თუ ამ ფასს გადავიხდით, მაშინ რაღას გადავარჩენთ სააკაშვილისგან? ერთადერთს - ოცნების საოცნებო ყოფნას ხელისუფლებაში!

აი, ამ ვითარებაში, მეუბნებიან აქეთ-იქიდან, მაინც „ამას“ მიეცი ხმა, იმიტომ, რომ „იმას“ მეტის დაშავება შეუძლიაო... ანუ, ერთი და იმავე უფსკრულამდე გრძელი ბილიკით სიარული არჩიე მოკლე ბილიკით სიარულს და თავი ანებე ისეთი ბილიკის ძებნას, რომელიც ყველას ერთად გაგვიყვანს სამშვიდობოსო....“ - უფსკრულის გრძელსა და მოკლე ბილიკების დეკოდირებას თუ მოვახდეთ და მათს კონოტაციურ მნიშვნელობაზე დავფიქრდებით. შესაძლოა ეს ნიშნავდეს ორი დაპირისპირებული მმართველის

არჩეულ გზას, რომელთა შორის მისი თქმით, არცერთს არ გაჰყვა, ვინაიდან სურდა ამ „ უფსკრულებიდან“ თავის დაღწევა.

**ანალიზი** - დავით უსუფაშვილი „ფეისბუქსტატუსებში“ აქტიურად იყენებს დეფინიციას, როგორც რიტორიკული მეტყველების ხერხს. ეს არის მეთოდი, რომელსაც პოლიტიკური ლიდერები საკუთარი პოზიციებისა და მსოფლმხედველობის ასახსნელად ირჩევენ. დავიტ უსუფაშვილის სტატუსებში არ გვხვდება სკაბრეზული ლექსიკა, დატვირთული მხატვრული სახეები და გამომსახველობითი სტილი. მისი სტატუსების შინაარსი თხრობით ნარატივებს მიჰყვება, რომელშიც ავტორი თავის აუდიტორიას ესაუბრება თანაბარუფლებიანი პოზიციებიდან და როგორც ანგარიშვალდებული პირი უხსნის და განმარტებას აკეთებს როგორც საკუთარი ქმედების, ასევე, მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური საკითხებისა. მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნების მეთოდები ნაკლებად შესამჩნევია დავით უსუფაშვილის რიტორიკაში, მისი მთვარი აქცენტი მაინც ეთოსზე (დამაჯერებლობაზეა) გაკეთებული.

ნინო ჯანგირაშვილი

28 ივნისი - ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაახლოებით 350 000 ადამიანი გახდა სრულწლოვანი. ზუსტად ეს 18–25 წლის ასაკის ადამიანები არიან ძირითადად 9 დღე რომ არ თმობენ თავის ქვეყანას და არ იღლებიან. ეს ხალხი თუ აქტიურად ჩაერთო პოლიტიკაში და არჩევნებში იმ განცდით, რომ ეს ქვეყანა არავის არ უნდა დაუთმონ, ივანიშვილის მსგავსი თაღლითები ვეღარასოდეს მოგვაჯდებიან თავზე. გაიხარეთ ბავშვებო

27 ივნისი - პრემიერ მინისტრი რომ გქვია და ქვეყნის ისტორიაში ერთ–ერთ ყველაზე მღელვარე მომენტში რომ ტომარასავით გდიხარ ერთი კვირა, მერე რომ გამოხვალ და სისულელეებს ბოდავ, არ უნდა გაგაგდონ კინწისკვრით? გააჩუმეთ ეს ღლაპი!

23 ივნისი - ოთხი დღე რომ ხელისუფლების მიმართ უსერიოზულესი პრეტენზიებით და მოთხოვნებით ქუჩაშია ათასობით ადამიანი, პრემიერ მინისტრი რომ ხარ და შენს გადადგომას ითხოვენ კიარა, ერთს რომ არ გახსენებენ, რა ცარიელი ადგილი უნდა იყო.

21 ივნისი -სანამ ქოცურ მესიჯბოქსს გაიმეორებთ, მათ შორის ზოგი პატივსაცემი ადამიანი: აქციაზე გავატარე გუშინ რვა საათი. აქციას არ ყოლია ლიდერი, არ იყო ორგანიზებული, თუნდაც ტექნიკური საკითხები. რას ლაპარაკობდნენ და რა ხდებოდა კიბეებზე არავის ესმოდა ოცი მეტრის იქით. ამის მიუხედავად ხალხი იდგა და არ იშლებოდა. იყო ათასობით ადამიანი. აღშფოთებული, გაბრაზებული. ძირითადად ახალგაზრდები. ეს იყო ნატურალური სახალხო პროტესტი. ჩანდა კიბეებზე ჩოჩქოლი ქვევიდან და მეტი არაფერი. დეტალებს ვერავინ ვერ ხედავდა. ათასობით ადამიანი, ვინც ქვევით იდგა არც არსად შეჭრას გეგმავდა, არც "ანტიკონსტიტუციურ ქმედებას". ელოდნენ ხელისუფლებისგან პასუხს, და პასუხისმგებლობას. სწორედ ამ ხალხმა მიიღო პასუხად ცრემლსადენი გაზი უსასრულო რაოდენობით და რეზინის ტყვიები, დევნა რუსთაველზე მთელი ღამის მანძილზე, ფიზიკური ანგარიშსწორება და დაპატიმრება. მსუბუქად რომ ვთქვათ, ხელისუფლებამ გამოიყენა არაპროპორციული ძალა და დასაჯა მშვიდობიანი მოქალაქეები, ვინც არსად შეჭრას არ აპირებდა და უბრალოდ თავის პროტესტს გამოხატავდა.

13 ივნისი -დავტოვე დაგროვებითი საპენსიო სისტემა მხიარულად.იქაური ადმინისტრატორი კაცი კმაყოფილია– ამ სამ თვეში იმდენი ნაცნობი ხალხი მოვიდა აქ თავი ტელევიზორში მგონიაო. დეპუტატები, მსახიობები, ჟურნალისტებიო. ერთი იშტოიანი არ მინახავსო. თანამშრომელმა ქალმა, უი, ქალბატონო ნინო თქვენც არ ენდობით ამ სისტემასო? რიგში მდგომმა კაცმა, თქვენ ხომ თამარა ხართო? რომ ვუთხარი არათქო ძალიან დაიბნა, აბა საიდან მეცნობითო. დავტოვე იდუმალებაში. ალბათ დიდხანს იფიქრებს, სანამ ჩემსა და ჩერგოლეიშვილს შორის სხვაობას აღმოაჩენს. მოკლედ, ძვირფასო ხელისუფლებავ, რაც გიხადეთ და რაც ისედაც უნდა უნდა გიხადოთ კიდევ მთელი ცხოვრება, გეყოფათ. დაგროვებითი სისტემა არა კვატი.

26 მაისი - დამოუკიდებლობის დღეს კიდევ უფრო სევდიანი სანახავი და გასააზრებელია ის ამბავი, რაც დაგვემართა. განსაკუთრებით კონტექსტი ამძაფრებს

სევდას: თავისუფლების მოედანი, დამოუკიდებლობის დღე, აღლუმი, ჩვენი ჯარი და ტრიბუნაზე კონცენტრირებული სირცხვილი: პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერი და პრეზიდენტი – უმაღლესი თანამდებობის სამი პირი, ადამიანები არსაიდან, სამი სათამაშო, სამი გაუგებრობა, რომელთა ერთად, კონცენტრირებულად ყოველი დანახვისას მრცხვენია რომ ეს დაგვემართა.

დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ.

23 აპრილი - მესამე დღეა ვუსმენ/ვუყურებ პანკისელებს და რა ვთქვა არც კი ვიცი. ლამაზები, ჭკვიანები, საღად მოაზროვნეები, ქალიან–კაციანად. პათეტიკა არ მიყვარს, მაგრამ ეს ხალხი ჩვენი სახელმწიფოს განძია.

P.S. მადლობა რეგვენ ხელისუფლებას, რომ ხელახლა აღმოგვაჩენინა ეს განძი

17 აპრილი - ვუყურებ შალვა შავგულიძის და მამუკა მდინარაძის დებატებს და თავი სიზმარში მგონია. მდინარაძე, რომლის არსებობის შესახებ საერთოდ 2016 წელს გავიგეთ, შალვა შავგულიძეს ურჩევს საქმეს, რომ არასწორად აწარმოა გირგვლიანის საქმე სასამართლოში. მერე რა რომ სტრასბურგი მოიგეო, ეგ შემთხვევით მოხდაო. მგონი ახალი ტაქტიკა აქვს საქოცეთს – უტიფრობით გაგვაოგნონ და დაგვადუმონ.

**შედარება** - ეს არის მეთოდი, რომელსაც ნინო ჯანგირაშვილი „ფეისბუქსტატუსებში“ ძრითადად პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების დისკრედიტაციიის მიზნის იყენებს. „ივანიშვილის მსგავსი თაღლითები ვეღარასოდეს მოგვაჯდებიან თავზე“, პრემიერ მინისტრი რომ გქვია და ქვეყნის ისტორიაში ერთ–ერთ ყველაზე მღელვარე მომენტში რომ ტომარასავით გდიხარ ერთი კვირა,,,“, „დაგროვებითი სისტემა არა კვატი.“

**ირონია** - „ თავისუფლების მოედანი, დამოუკიდებლობის დღე, აღლუმი, ჩვენი ჯარი და ტრიბუნაზე კონცენტრირებული სირცხვილი: პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერი და პრეზიდენტი – უმაღლესი თანამდებობის სამი პირი, ადამიანები არსაიდან, სამი სათამაშო, სამი გაუგებრობა, რომელთა ერთად, კონცენტრირებულად ყოველი დანახვისას მრცხვენია რომ ეს დაგვემართა. დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ.“ 26 მაისი, დამოუკიდებლობის დღე ამ სტატუსით მიულოცა ნინო ჯანგირაშვილმა მის

ირგვლივ შემოკრებილ აუდიტორიას. ხელისუფლების არაეთიკური ფორმით კრიტიკა და მათი ქვეყნის სირცხვილად გამოცხადება ღიად გამოხატავს ჯანგირაშვილის პოზიციასა და მსოფლმხედველობრივი აღქმის შეუთავსებლობას „ქართული ოცნების“ წარმოამდგენლების მიმართ.

**მეტაფორა** - „ახალი ტაქტიკა აქვს საქოცეთს – უტიფრობით გაგვაოგნონ და დაგვადუმონ.“ საზოგადოების ნაწილში ტერმინი „ქოცი“ უკვე დამკვიდრებულია, როგორც ნეგატიური კონოტაციური შინაარსის მატარებელი და მიემართება ყველა იმ ადამიანს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს. „ქოცად“ გამოცხადება არის საზოგადოებაში გარცელებული ტერმინი და იწვევს „ქართული ოცნების“ მიერ შექმნილი სისტემის წარმომადგენლების დაკავშირებას კაბალურ პირობებთან. ერთ სიტყვაში გაერთიანებული პოლიტიკური ელიტა წარმოდგენილია, როგორც ერთგვაროვანი მასა, რომელთა შორისაც არ არსებობენ ინდივიდუალისტები.

**ანალიზი** - მიუხედავად იმისა, რომ ნინო ჯანგირაშვილის სტატუსები თითქმის დაცლილია რიტორიკული მეტყველების ხერხებისგან და მხატვრული სახეებისგან, მას საკმაოდ დიდი აუდიტორია ჰყავს შემოკრებილი „ფეისბუქზე“, რასაც მის პოსტებზე „მოწონებებისა“ და კომენტარების რაოდენობა ადასტურებს. თემატურად მისი პოსტები მიჰყვება ერთ ძირითად ნარატივს, რომ „ქართული ოცნება“ არის ყველა არასაიმედო და დესტრუქციული მოვლენის საფუძველი. აღნიშნული პარტიის კრიტიკა არის ის „ლაიტმოტივი“, რომელიც გასდევს ნინო ჯანგირაშვილის „ფეისბუქსტატუსებს“. არისტოტელეს რიტორიკის სამი მეთოდიდან გამოკვეთილად არ იყენებს არცერთ მათგანს. მისი სტატუსები არის მისი, როგორც კონკრეტული ინდივიდის სუბიექტური მოსაზრებების ნარატიული თხრობა. გამოკვეთილია მხოლოდ არაეთიკური და იმიჯისშემლახველი შინაარსი კონკრეტული პოლიტიკური ძალის მიმართ და ამ გზით ღიად გაცხადებულია ხელისუფლების მმართველი გუნდისადმი მისი დამოკიდებულება.

ირმა ინაშვილი

27 ივნისი - იმ ხალხისგან, ვინც სააკაშვილ- ბოკერიას დასჯის შესახებ ჩვენს რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა, მთელი დღეა ვისმენ, რა პრინციპულად მუშაობს, თურმე, პროკურატურა და რაოდენ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის 21- 22 ივნისს გამოვლენილი დამნაშავე პირების დასჯა. ზოგადად (და კონკრეტულად- ამ ფაქტზე) დამნაშავეების დასჯა რომ მნიშვნელოვანია, 7 წელია გიმტკიცებთ და გიხსნით "ქართულ ოცნებას", მაგრამ თქვენ ლიფსიტებზე ნადირობთ და ტურებს ვერ ეხებით. ეს ერთი. ახლა მეორე- პროკურატურა 7 წელია სადაა, რომელი რეზონანსული საქმე მიიყვანა ბოლომდე? სახელმწიფო გადატრიალება

მზადდებაო, საპრეზიდენტო არჩევნებისას მასალებს რომ ავრცელებდით და უკრაინელ ბოევიკებს გვაჩვენებდით, რა შედეგი დადგა ამ საქმეზე? კოდორის და ახალგორის ჩაბარებაზე გამოძიებას დავიწყებთო, სადაა ეს გამოძიება? კიდევ ბევრია გასახსენებელი, მაგრამ არც ღირს რომ გაგახსენოთ. თქვენ ტურების დამჭერი ხალხი არა ხართ და დღეს ამ ტურებს აჭმევინებთ ქვეყანას.

ახლა მელიას ეპიზოდი. მგონი, გასაგებად გამოვხატეთ ჩვენი პოზიცია- გამოძიებას ბოლოდან იწყებთ და ამ ბოლოს დასაწყისი აქვს- როგორ დაიგეგმა პარლამენტში გავრილოვზე პროვოკაცია. გეუბნებით მეხუთე დღეა- ეს იყო ბოკერიას და "ქართული ოცნების" ერთობლივი პოლიტიკური სპექტაკლი, რასაც უმძიმესი გაგრძელება მოჰყვა- რეზინის ტყვიები. ბოკერიას ვერ ეხებით, კახიძეს და კაპანაძეს ვერ ეხებით... ეხებით კი არა, გადაფარებული ხართ ამბრაზურასავით, გინდათ ცალმხრივი დასჯა. ჩვენ კი, მარტივ რამეს გეუბნებოდით და გეუბნებით: მელია მელიად, მაგრამ ჯერ ბოკერიას იმუნიტეტის მოხსნით დაიწყეთ. ამ მარტივი მოთხოვნის ვითომვერგაგება საჭირო არაა და მითუმეტეს, თქვენი ბოტები და რეალური კოორდინატორები დააწყნარეთ, ვინ -რას და რატომ წერს, ვხედავ.

ჩვენი რეზოლუციისთვის რომ მხარი დაგეჭირათ, დღეს ქვეყანა ამ უბედურებაში არ იქნებოდა.

21 ივნისი - ლაშა ბუღაძე- შენ ხარ კლასიკური ტიპის ფაშისტი, იყავი და აგრძელებ ფაშისტობას! პირი გამოირეცხე, როცა საქართველოს პატრიოტებს გვახსენებ, შე მართლა გამყიდველო.

რაღაცა არ მახსენდება, იმ ხალხზე ამოგეღო ეგ ბინძური ხმა, როცა შენი ბოკერია და მიშა მარტო თვალს კი არ თხრიდნენ, ფიზიკურად აწამებდნენ... მაგრამ ხმას რას ამოიღებდი, მცირე მასშტაბის მიშა და გიგა ხარ. ესენი რეალურად აწამებდნენ ხალხს, შენ- შენს წარმოდგენაში. კოლაბორაციონისტი შენ და მამაშენი ხართ!

ისევ ატყუებთ ხალხს, როგორც "ვარდების რევოლუციისას" ატყუებდით, მაგრამ შორს ვერ გაფრინდებით, აი, ახლა გეუბნები.

ნეტა, იმათ ტვინში ჩამახედა, შენ რომ ტაშს დაგიკრავენ და სიტყვას მოგიწონებენ, ფუ, მართლა, რა ვუთხარი "ქართულ ოცნებას", ვინც თქვენ გადაგარჩინათ.

კარგად დაიმახსოვრე: შენნაირებისთვის დასატოვებელი საქართველო არა გვაქვს და მალე ნახავ ამას.

18 ივნისი - "ქართული ოცნების" საპარლამენტო უმრავლესობის წყალობით, გვყავს სახალხო დამცველი, რომელიც წვიმის მოსვლასაც კი რუსულ, რბილ ძალასთან აკავშირებს. მაინც და მაინც რბილი რატომაა და მაგარი არა, იმედია, თვითონ მაინც იციან. ვფიქრობ, ქვეყნის პოლიტიკური, თუ ექსპერტული ელიტის 99%-იც კლინიკურ მდგომარეობაშია. რა რბილი ძალა, რომელი რუსული ძალა, რა რუსული ნარატივი და რომელი პროპაგანდა?! მართლა, კომედიურ სერიალში ვცხოვრობთ! კაცს ხმა ვერ ამოუღია, ეგრევე რუსული, რბილი ძალის იარლიყს აკერებენ. გარეჯს თუ იცავ, რუსული ნარატივი სადაა?!- რომელი "გენიოსი" ამიხსნის, კანფეტს ვაჩუქებ! ან სკოლებში უფასო კვების იდეა რუსულ პროპაგანდაში როგორ ჯდება, იქნებ რომელიმე

"ალბერ კამიუმ" ესეც აგვიხსნას, ძალიან დაგვავალებს! ან საქართველოს ინტერესების, რწმენის, ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის, თუ სულიერების საკითხები რატომ არ ითვლება სწორედ ქართულ ნარატივად და რატომ ებმის კვლავ ე.წ. რუსული ნარატივის სქემას, რომელიმე "კარლ გუსტავ იუნგმა" იქნებ გაგვანათლოს და გაგვაბედნიეროს. ვაკვირდები საჯარო სივრცეს და საღი აზროვნება აშკარად ბულინგის ქვეშაა. წვიმა, გარეჯი, წყალდიდობა, სიღარიბე, პენსია, დემოგრაფია, სპორტი, ანუ ყველაფერი თუ რუსული ნარატივის ნაწილია, მაშინ ერთი ავლიპ ზურაბიშვილი აღარ ჰყოფნის ამ რეაქტიულ ფსიქოზს, ბევრი ავლიპი გვინდა, ბევრი!

10 ივნისი - გულწრფელად მეცინება, ტელეწამყვანი კვესიტაძე გამალებით და მგზნებარედ მოუწოდებს ხალხს,- არ შემოურთდნენ პატრიოტთა ალიანსის აქციას 15 ივნისს, 4 საათზე, თავისუფლების მოედანზე :) ვინმემ გადასცეს, რომ გაცილებით ბევრნი ვიქნებით, ვიდრე წარმოუდგენია :) დავით გარეჯსაც დავიცავთ, სააკაშვილ-ბოკერიებსაც გავასამართლებთ, მალე მოვა ეს დრო... "ოცნების" ის მოღალატე, გამყიდველი წევრებიც აგებენ პასუხს, რომლებიც კოჰაბიტაციას უწევდნენ ლობირებას, სიღარიბესაც დავძლევთ, ქვეყნასაც გავაერთიანებთ და სამუდამოდ დავასრულებთ ქართველი ხალხის ღალატს: მიწების ჩაბარება-გაყიდვას, ქვეყნის ინტერესების დათმობას... ახალი თაობის განადგურებას, ნარკოტიკის უკონტროლო და თავისუფალი ბრუნვის შედეგად... ბევრი საქმეა წინ და შემოგვიერთდით, ვინც ისე ფიქრობთ, როგორც ჩვენ! 15 ივნისს, 4 საათზე, ვიკრიბებით თავისუფლების მოედანზე!

28 მაისი - პატივს ვცემ აზერბაიჯანელებს და მეც, როგორც მათი მეზობელი და სტრატეგიული პარტნიორი, ველი უკუპატივისცემას!

პატივს ვცემ აზერბაიჯანის პრეზიდენტს, მიმაჩნია, რომ გონიერი კაცია, მაგრამ ბატონ ალიევს სწორედ ეს გონიერება უნდა კარნახობდეს, რომ არაა საჭირო წაეპოტინო დავით გარეჯას მონასტერს და იმას, რაც შენი არაა.

პატივს ვცემ მოწოდებას სიმშვიდისაკენ და ყველას ვარწმუნებ, რომ მშვიდად ვართ! კეთილგონიერებასაც ვიჩენთ და სახელმწიფოებრივ აზროვნებასაც და სწორედ ასეთი სულისკვეთებით განმსჭვალულნი ვიცავთ იმას, რაც ჩვენია! ვიცავთ დავით გარეჯას!

ხოლო ფორმა, როგორ დავიცავთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას, ეს ჩვენი თავისუფალი არჩევანის ნაწილია, ამიტომაც რაც მეტი ადამიანი არ დატოვებს დავით გარეჯის მონასტერს, მით უკეთესი! ამიტომაც ჩვენ 1 ივნისს აუცილებლად ჩავალთ დავით გარეჯში და ამ დღეს და სხვა დღეებშიც რაც მეტნი ვიქნებით, ეს მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანის მშვიდობიან მომავალს დაეხმარება!

თუ ვინმეს სადმე რამე მზაკვრობა აქვს ჩაფიქრებული (N ძალებს) იმაზე მეტი მზაკვრობა რაც ბოლო დღეებში ვნახეთ, რა უნდა იყოს?! ამიტომაა აუცილებელია ხალხი არ მიდუნდეს! ცხელი გული არ გაცივდეს!

საქართველო და აზერბაიჯანი მუშაობენო! განაგრძონ ეს მუშაობა და საჯარო იყოს მოლაპარაკებების ყველა დეტალი, ხალხი საქმის კურსში იყოს, რა ხდება. და ეს ორმხრივი "მუშაობა" განა სიახლეა? ძალიან მაინტერესებს, რაც შეთანხმებულია, ის ტერიტირია საქართველოს სასარგებლოდაა შეთანხმებული, თუ პირიქით, რომელი რუკითაა შეთანხმებული? ბევრი კითხვაა და ყველას მოუწევს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, ძველებსაც და ახლებსაც.

ყველა აზერბაიჯანელ ნაღდ ძმას ჩვენც ვულოცავთ დამოუკიდებლობის დღეს. ვიმეორებ: ჩვენო აზერბაიჯანელო მეზობლებო, პატივს გცემთ, მაგრამ ჩვენც ველით თქვენგან პატივისცემას. დავით გარეჯა ჩვენია და რაც ჩვენია, იმას თავი დაანებეთ.

18 აპრილი - ჯალათი თურმე მსხვერპლია, მსხვერპლს ჯალათად აცხადებენ, ბადრაგი მძევალი ყოფილა, ყველა პატიმარი- მოძალადე. გმირი ანტიგმირია! ვინც ბოროტს ებრძოდა, მას ახლა ახალი ბოროტები უტევენ... ვინც ცახცახებდა, დღეს ჰეროკულ ლეგენდებს ჰყვება, როგორ ომობდა, მაგრამ ჩვენ არსად გვინახავს... ეტყობა, უჩინ-მაჩინის ქუდით იყო! ყველა ყველას აგინებს! ყველა ყველას აფურთხებს! არავინ არავის აფასებს! პატივისცემა გაქრა!!! რადიკალურად განსხვავებული ღირებულებების ხალხი ერთ ტაფაზე იხრაკება. ერთი ფასი აქვს წესიერს და უწესოს. არა, უწესო უფრო ფასობს. თეთრი, შავი, ყვითელი, მწვანე, ყველა ერთი ფერია. ამასობაში, ჩვენი შვილების თაობა დასვამს მარტივ კითხვას: რას დაამსგავსეთ ქვეყანა?

**ალეგორია** - „დამნაშავეების დასჯა რომ მნიშვნელოვანია, 7 წელია გიმტკიცებთ და გიხსნით "ქართულ ოცნებას", მაგრამ თქვენ ლიფსიტებზე ნადირობთ და ტურებს ვერ ეხებით.“ ამ ფრაზაში ნიშანდობლივია ორი სიტყვა „ლიფსიტები“ და „ტურები“ ამ სიტყვებით გადატანითი მნიშვნელობით მიანიშნებს ხელისუფლების მმართველ შტოს ინაშვილი, რომ ოპოზიციური პარტიის გავლენიან წარმომადგენლებს ვერ სჯიან და ეს აუცილებლად უნდა მოხდეს როგორც ის ამბობს, რადგან ცალკეული კრიტიკულად განწყობილი ოპოზიციონერის დასჯა/დაჭერა არ არის საკმარისი. სწორედ გავლენიან და

შედარებით ნაკლები ძალაუფლების მქონე პირთა აღსაწერად იყენებს ამ სახეებს ინაშვილი და ამავდროულად ხელისუფლებას მიანიშნებს მათი სისუსტესა და უპრინციპობაზე. საზოგადოებას კი უგზავნის შეტყობინებას, რომ რეალური საფრთხე ისევ არსებობს სწორედ „ქართული ოცნების“ ვერ დასჯილი „ტურების“ მხრიდან. „თქვენ ტურების დამჭერი ხალხი არა ხართ და დღეს ამ ტურებს აჭმევინებთ ქვეყანას.“,- წერს ინაშვილი.

**შედარება** - „ქართული ოცნების“ გასაკრიტიკებლად ინაშვილი წერს, რომ ისინი იცავენ ოპოზიციურ ლიდერებს და ხელს აფარებენ მათ. „ბოკერიას ვერ ეხებით, კახიძეს და კაპანაძეს ვერ ეხებით... ეხებით კი არა, გადაფარებული ხართ ამბრაზურასავით...“ ამბრაზურა სამოქალაქო განათლების ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: თავდაცვით ნაგებობასა და ჯავშნიან კოშკებში დატანებული სარკმელი. (შეადგ. ალექსანდრე ელერდაშვილმა (2006).

**მეტაფორა** - „ლაშა ბუღაძე- შენ ხარ კლასიკური ტიპის ფაშისტი, იყავი და აგრძელებ ფაშისტობას! ... კოლაბორაციონისტი შენ და მამაშენი ხართ!“ , - წერს ირმა ინაშვილი 21 ივნისის სტატუსში. აღსანიშნავია, რომ ლაშა ბუღაძეს, რომელმაც „პატრიოტთა ალიანსი“ გააკრიტიკა უწოდებს „ფაშისტსა“ და „კოლაბორაციონისტს“. კოლაბორაციონიზმის მომხრე; სამშობლოს მოღალატე, რომელიც თანამშრომლობდა ფაშისტ დამპყრობლებთან მათ მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში. (უცხო სიტყვათა ლექსიკონი.1989). სტატუსში გამოყენებული მეტაფორები მწერლის მიმართ იმიჯისშემლახველ ლექსიკად წარმოჩნდება. ბუღაძის დისკრედიტაციისა და რეპუტაციის შელახვის მცდელობაა ინაშვილის ამავე სტატუსში დაწერილი შემდეგი ფრაზა: ნეტა, იმათ ტვინში ჩამახედა, შენ რომ ტაშს დაგიკრავენ და სიტყვას მოგიწონებენ, ფუ, მართლა, რა ვუთხარი "ქართულ ოცნებას", ვინც თქვენ გადაგარჩინათ.“

**ანტითეზი** - „მგონი, გასაგებად გამოვხატეთ ჩვენი პოზიცია- გამოძიებას ბოლოდან იწყებთ და ამ ბოლოს დასაწყისი აქვს- როგორ დაიგეგმა პარლამენტში გავრილოვზე პროვოკაცია“ მაშინ, როდესაც ქართული საზოგადოება ერთხმად და ერთსულოვნად აპროტესტებდა რუსი დეპუტატის საქართველოს პარლამენტში ყოფნას და მით უფრო

პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჯდომას, ირმა ინაშვილი არსებული შეხედულების კონტრასტულ იდეებს ავრცელებს საკუთარ „ფეისბუქსტატუსში“ და წერს, რომ გავრილოვის საქართველოსი ჩამოყვანა კი არ იყო პროვოკაცია, არამედ პროვოკაცია თავად გავრილოვზე დაიგეგმა. ამ ტიპის ანტითეზური მოსაზრებებით იკვეთება ინაშვილის პოლიტიკური ვექტორები და მსოფლმხედველობრივი რწმენა.

**ანალიზი** - ირმა ინაშვილის რიტორიკა „ფეისბუქსტატუსებში უკავშირდება პათოსის დონეზე, როცა ორატორი აღვივებს აუდიტორიის ემოციებს. შინაარსობრივად მისი სტატუსები მიჰყვება სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს და აგებულია კონკრეტული პირების დანაშაულის მხილებაზე. ინაშვილი ღიად საუბრობს მისი აზრით მთავარ დამნაშავეზე და სრულ აქცენტს კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის - გიგა ბოკერიას პასუხისმგებლობზე აკეთებს.

## 4.2. სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი

**მიმდინარე აქტუალური თემების ასახვა „ფეისბუქსტატუსებში“**

კითხვაზერამდენადააქტუალიზებულირეალური პრობლემატიკის ამსახველიმნიშვნელოვანი საკითხები სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ სტატუსებში. რესპონდნეტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ როგორც კი მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება, ეს პირდაპირ  აისახება სოციალურ ქსელებში.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმძღვანელი ნატა ძველიშვილი აღნიშნავს, რომ ის, რაც „ფეისბუქის“ განვითარებამდე საჯარო შეხვედრების დროს განიხილებოდა, ან თუნდაც ქუჩებში ითქმებოდა, ახლა ვრცელდება სოციალურ ქსელში. შესაბამისად, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ის საკითხები, რაც განიხილება „ფეისბუქის“ გვერდებზე საზოგადოებისთვის აქტუალურ პრობლემებს ასახავს.

სოციალური მუშაკი ზურაბ ტატანაშვილი აღნიშნავს, რომ საკუთარი ღირებულებებიდან და მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ის თავად ქმნის საკუთარ საინფორმაციო ბადეს „ფეისბუქზე“. „სრულიად მიუღებელია ქსენოფობიური შინაარსის

მქონე ნარატივები ჩემთვის, ამიტომ სადაც მსგავსი ტიპის კონტენტი იქმნება ვტოვებ, ან ვბლოკავ. „ფეისბუქის“ ვებ-სივრცის მოწყობაც მეხმარება იმაში, რომ ჩემთვის უფრო საინტერესო და აქტუალური ინფორმაცია მივიღო.

„საინფორმაციო ბუშტის“ გავლენაზე ამახვილებს ყურადღებას პოლიტიკოსი გრიგოლ გეგელიაც და აღნიშნავს, რომ „ფეისბუქში“ სექტორალურად არის დაყოფილი თემები. „თუ გყავს ბევრი მემარცხენე შეხედულების  მქონე მეგობრები,ე.წ. „ფრენდები“მაშინ პრობლემატიკა მეტად აქტუალიზებულია, თუ საერთოდ არ გყავს, მაშინ სოციალური თემატიკა ნაკლებად ექცევა ყურადღების ცენტრში და ასეთ დროს მივდივართ ონლაინმედიის პრინციპამდე. რეალურად ვიღებთ იმ ინფორმაციას, რასაც ონლაინმედია გვთავაზობს. ამიტომ მნიშვნელოვანია , როგორი ველი გაქვს შექმნილი „ფეისბუქის“ საკომუნიკაციო სივრცეში“.

**სოციალურ ქსელში  „დღის წესრიგის“ შემქმნელები.**

შედარებით არაერთგვაროვანია მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ქმნიან „დღის წესრიგს“ სოციალურ ქსელებში.

ზურაბ ტატანაშვილი აღნიშნავს, რომ „მოსაზრების ლიდერებად“ სოციალურ ქსელებში გვევლინებიან ის ადამიანები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ვხედავთ ტელეეკრანებზე.

პროფესორი მარიამ გერსამია ყურადღებას ამახვილებს დარგობრივ კომპეტენციაზე და ამბობს, რომ დიდწილად „შეხედულების ლიდერები“ სწორედ საკუთარი პროფესიის წამყვანი ფიგურები არიან, რომელთა მოსაზრების მიმართ ნდობაც მაღალია.

ნატა ძველიშვილი აღნიშნავს, რომ ე.წ. „ინფლუენსერი“ , რომელიც სოციალური ქსელების მეშეობით გამოიმუშავებს თანხას საქართველოში ძალიან ცოტა ადამიანია.

„ჩვენთან ინფლუენსერად აღიქმებიან არა ის ადამიანები, რომლებიც გამოიმუშავებენ თანხას სოციალურ ქსელებში, არამედ ისინი, სისაც ჰყავს ბევრი გამომწერი, მოწონება.. „მოსაზრების ლიდერები“ ხშირად არ ერიდებიან რადიკალური აზრის დაფიქსირებას, თუნდაც შეურაცხყოფას. მუდამ  მართავენ დისკუსიას უცხო ადამიანებთან, იმატებენ

უცხო პირებს მეგობრებში, რათა გააფართოვონ აუდიტორია და ინფორმაციის გავრცელების ზონაც გაზარდონ.“

პიარ სპეციალისტი ნინა პერტენავა აღნიშნავს, რომ „ფეისბუქზე“ გავლენიანი მომხმარებლები არიან ის ადამიანები, რომლებსაც კარგი საკომუნიკაციო უნარები აქვთ და ამავდროულად იუმორისტული ხასიათის სტატუსებსაც ინტენსიურად აქვეყნებენ.

სოციოლოგ ამირან ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „მოსაზრების ლიდერებს“ არჩევს იმის მიხედვით, თუ ვინ დგას მის მსფოფლმხედველობასტან ყველაზე ახლოს და ვისი აზრებიც მის აზრებს ემთხვევა. „მე ხშირად ვკითხულობ ზაზა ფირალიშვილისა და რუსუდან გოცირიძის სტატუსებს, რადგან ჩემი მოსაზრებები ხშირად ემთხვევა მათსსას.“

გრიგოლ გეგელია კი აღნიშნავს, რომ „ონლაინელიტა დომინანტურია ხშირად ერთი და იგივე ადამიანები ადგენენ იმას, თუ რა არის მისაღები და რა არა. დღეს ლიბერალური უმცირესობა ქმნის „დღის წესრიგს“. შორიდან ჩანს, რომ საქართველო არის ულტრა ლიბერალური სახელმწიფო, მაგრამ მოსახეობის უმრავლესობის აზრს თუ მივიღებთ მხედველობაში ეს ასე არ არის.“

**„მოსაზრების ლიდერის“ შერჩევის კრიტერიუმები**

„მოსაზრების ლიდერის“ შერჩევის კრიტერიუმზე საუბრისას რესპონდენტები 3 ძირითად ფაქტორს გამოყოფენს - „თვითპრეზენტაცია“, „დარგობრივი კომპეტენცია“ და კომუნიკაბელურობაა.

„მე მიმაჩნია რომ იდეალურ ლიდერს ქმნის: თვითწარმოჩენის უნარი, ინტელექტი და ქარიზმატულობა, თუ რომელიმე კომპონენტის ნაკლებობაა, ლიდერი ემსგავსება უფეხო სკამს, რომლის წაქცევაც ადვილია, ქარიზმის გარეშე კომპეცენციას ვერ ხედავენ, ხშირია საკმაოდ საინტერესო და კომპეტენტური სტატუსების ჩუმი დასამარება, როდესაც პოსტის ავტორი არ არის აღიარებული ან ქარიზმატული.“,- ამბობს ნინა პერტენავა.

აზრთა ლიდერების შესახებ გასხვავებული მოსაზრება აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისც ნათია მეტრეველს, რომელიც ამბობს: „საზოგადოება,

როგორც წესი, არ ამოწმებს ინფორმაციის სიზუსტეს, თუ მისთვის კონტექსტი და პერსონა მისაღებია. მაგალითად, გოგი გვახარიას მიერ დადებული ინფორმაცია ეკონომიკურ საკითხზეც კი რეზონანსულია, რადგან მისი პერსონაა მაღალრეიტინგული კონკრეტულ ჯგუფებში. შესაბამისად თავად გოგი არის აზრთა ლიდერი.

ერთ-ერთი რესპონდენტი კი „მოსაზრების ლიდერებთან“ დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: „ნინო გოგუაძე ჩემთვის ძალიან საინტერესო ადამიანია და მისი მოსაზრებები ერთი-ერთი ემთხვევა ჩემს შეხედულებებს. მაგრამ რა პოზიციაც უნდა ჰქონდეს მას, მე ჯერ უნდა მოვისმინო იმისთვის, რომ დავეთანხმო. მისი ნებისმიერი მოსაზრების გაზიარებას გააზრების გარეშე არ ვაპირებ. მაგრამ როდესაც მისი მოსაზრებები მხვდება უკვე განწყობით ვიწყებ კითხვას, რომ ეს მოსაზრება ჩემთვის მისაღები იქნება. მაგრამ თუ შჭინაარსში ისეთი რამ ამოვიკითხე, რაც ჩემთვის მიუღებელია, კრიტიკული შეხედულება მექნება“.

„მე ვფიქრობ, რომ „ფეისბუქში“ არსებობს კრიტიკა, რომელიც საკმაოდ შესამჩნევია. შესაძლოა სენივე მომხრე აუდიტორიაში საკმაოდ კრიტიკული მოსაზრბები წამოვიდეს. ე.ი. არსებობს შიდა ცენზურაც. შემოკრებილი აუდიტორიაც გკარნახობს როგორ უნდა გააკეთო რაღაცები. მე რომ ახალი კურსი ავიღო, რაც წინა წლებში არ მქონია, იმ ადამიანებს, რომელებიც ჩემ გარშემო არიან, აუცილებლად ექნებათ რეაგირება.“,- ამბობს გრიგოლ გეგელია.

ფსიქოლოგი ირინა ტაბუციძე კი ზას უსვამს იმ ფაქტს, რომ ასოციალური ადამიანები, როგორც წესი, არ არიან პოპულარულები სოციალურ ქსელში. მისი აზრით, კომუნიკაბელურობა ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია, რაც ქმნის „ფეისბუქში“ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის შემოკრების შესაძლებლობას.

**„ფეისბუქის“ დღის წესრიგსა და ტრადიციული მედიის „დღის წესრიგს“ შორის არსებული ბმა.**

რესპონდენტთა ნაწილი აღიარებს, რომ ტრადიციული მედიის დღის წესრიგი პირდაპირ აისახება სოციალური მედიის დღის წესრიგში. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ ტრადიციული მედია არის პირველწყარო და შემდეგ ხდება

აქტუალური თემების გარშემო მოსაზრებების დაფიქსირება „ფეისბუქსტატუსების“ სახით.

ფსიქოლოგი ირინა ტაბუციძე კი ამბობს, მისთვის ტრადიციულმა მედიამ დაკარგა ფუნქცია და ინფორმაციის მიღების ერთადერთი წყარო ონლაინმედია გახდა.

„ტელევიზიას არ ვუყურებ. ინფორმაციის წყარო ჩემთვის არის ინტერნეტი. ადამიანის გონება ეჩვევა იმ რეალობას, რომელშიც ცხოვრობს. არსებული რეალობიდან გამომდინარე ტვინი მიეჩვია დიდი ინფორმაციის მოკლე დროში მიღებას. ადრე ინფორმაციის მიღების პროცეში წარმოსახვა, ანალიზი, შთაბეჭდილებები ირთვებოდა. დღეს ამის დრო არ არის. მოვიდა ინფორმაცია, გავიდა. მოკლე დროში დიდ ინფორმაციას იღებ. სანამ 3 წუთიან სიუჟეტს ვნახავ, 2 აბზაცს წავიკითხავ ინტერნეტში და გავიგებ რა მოხდა. რაც შეეხება ტელეკადრებს, მე უკვე ამ ყველაფრით გადატვირთვა აღარ მჭირდება. ჩვენ წარმოუდგენელად დიდ ემოციასა და ინფორმაციას ვიღებთ ყოველდღიურად.“

პროფესორი მარიამ გერსამია აღნიშნავს, რომ პრქტიკულად ორივე ტიპის კავშირი არსებობს. “არის შემთხვევები, როცა ტრადიციული მედიიდან თემა გადადის სოციალურ ქსელებში და პირიქით, როდესაც სოციალურ ქსელებში აქტიუალური პრობლემეტიკა განიხილება ტრადიციულ მედიასაშუალებებში. ეს არის ორმხრივი პროცესი.“,-მარიამ გერსამია.

„ფეისბუქისა“ და ტრადიციული მედიის შესახებ რესპონდენტი ამბობს: „შესაძლოა ფეისბუქი იყოს ტრადიციული მედიის ალტერნბატივაც და დამხმარე საშუალებაც. შესაძლოა, რაიმე ინფორმაცია ტელევიზიით გამოტოვო, მაგრამ „ფეისბუქში“ შენს ნიუსფიდში აღმოაჩინო“

ერთ-ერთი რესპონტდენტი ამბობს, რომ მისთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, სოციალურმა ქსელმა სამუშაო პროცესი გაადვილა, რადგან „ფეისბუქი“ გახდა წყარო რესპონდენტების მოძიების,

„როდესაც მნიშვნელოვან საკითხს ვაშუქებ პოლიტიკურად აქტიური პირების, ან სამოქალაქო აქტივისტების ვებ-გვერდებს ვამოწმებ. ისინი ხშირად სწორედ სოციალურ

ქსელებში აფიქსირებენ მოსაზრებებს, წერენ სტატუსებს. „ფეისბუქზე“ მარტივია ნახო ადამიანები, რომლებმაც უკვე გამოთქვევს მოსაზრებები და სავარაუდოდ, უნდათ კონკრეტულ თემაზე საუბრი. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე გვყავს რესპონდენტი.“,- აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი.

ამავე მოსაზრებას ემხრობა ზურაბ ტატანაშვილი და ამბობს, რომ შესაძლოა სიღრმისეული ანალიზი შესთავაზო საზოგადოებას ან ანტითეზური მოსაზრება გამოთქვა და ამის გამოშენი სტატუსი პოპულარული გახდეს, მაგრამ როგორც წესი მედია იმ ადამიანების სტატუსების მიმართ ინტერესდება, რომელთა შეხედულებებითაც უკვე დაინტერესებულია თავად.

ნინა პერტენავა ამბობს: „ფეისბუკის დღის წესრიგს  აქვს საკუთარი სიცოხლის ციკლი, მაგალითად ალუჩას კამპანია ფეისბუკში დაიწყო და შემდეგ გააშუქეს პრესაში, რაიმე მოვლენა რომ ხდება, პირველი პოსტი ჯერ ფეისბუკში ჩნდება, საინფორმაციო ლაივებიც უკვე ბევრ ტელევიზიას აქვს, 21 ივნისის მოვლენების ლაივსტრიმს 35000 ადამინაი უყურებდა რუსთავი2-ის ფეისბუკ გვერდზე.“

**„მოსაზრების ლიდერთა“ როლი სამოქალაქო აქტივიზმში**

„მოსაზრების ლიდერთა“ გავლენის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასა და რეალური პრობლემების აქტუალიზებაში, რესპონდენტთა უმრავლესობა აღიარებს, რომ მნიშვნელოვანი როლი აქვს სოციალურ ქსელს.

„ ჩვენ კარგად გვახსოვს როგორ იწყებოდა სამოქალაქო პროტესტი „ბასიანის“ საკითხთან დაკავშირებით შიდა ჯგუფებში, რომელიც ფართომასშტაბიან აქციაში გადაიზარდა რუსთაველზე. იყო აგრეთვე 13 ივნისი როცა საზოგადოების ჯგუფები სტიქიის დროს გაერთიანდნენ და სოლიდარულები იყვნენ დაზარალებულთა მიმართ. „ფეისბუქის“ ჯგუფში - „თავისუფლების გამავრცელებელთა საზოგადოება“ დაიწყო ანტისაოკუპაციო აქციის ორგანიზება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური ქსელი სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს“,-ამბობს მარიამ გერსამია.

სამოქალაქო აქტივობის ზრდაში „მოსაზრების ლიდერთა“ როლის შესახებ ზურაბ ტატანაშვილი ამბობს: „ დროთა განმავლობაში ავტორიტეტების რეპუტაცია მცირდება. ადრე „ბელადომანია“ ძალიან აქტუალური პრობლემა იყო. ახალგაზრდების თვიტორგანიზებული აქცია აჩვენებს, რომ აღარ გვინდა ბელადები, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობის წვლილი აქციის ორგანიზებაში ძალიან დიდია, მაინც იკვეთებოდა თვითორგანიზებული ჯგუფი. ვამჩნევ, რომ თანდათან მოსაზრება უფრო აქტუალური ხდება, ვიდრე ის, ტუ ვისგან მოდის მოსაზრება.“

**„კომუნიკაციის ერთსაფეხურიანი“ და „ორსაფეხურიანი მოდელი“**

„მოსაზრების ლიდერთა“ როლზე კომუნიკაციის ერთსაფეხურიან და ორსაფეხურიან მოდელზე მსჯელობისას ნატა ძველიშვილი აღნიშნავს შემდეგს: „მედიაში ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე კოპირდება „ფეისბუქსტატუსები“. გარკვეულ თემებზე „მოსაზრების ლიდერების“ სტატუსები, რა თქმა უნდა, არის ინტერპრეტაციული, და ახსნითი. სწორედ ეს მოსაზრებები გადადის მედიაში“.

„თუ ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობ, სადაც კრიტიკული აზროვნება მაღალია, ტრადიციული მედიის გავლენა ნაკლებია. მეედიის პოლარიზება იწვევს ექსტრემალური ფორმის დაპირისპირებას. მაგალითად: ტელეკომლანია „იმედისა“ და „რუსთავი 2-ის“ მაყურებლები აბსოლუტურად განსხვავებულ რეალობასი ცხოვრობენ. ისინი ფაქტებზე საუბრის დროსაც კი აბსოლუტურად განსხვავებულად წარმოაჩენენ საკითხებს“,-ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი.

პიარ სპეციალისტ ნინა პერტენავას აზრით, ქართულ რეალობაში კომუნიკაციის ორსაფეხურიანი თეორია მუშაობს, თუმცა ამ სისტემის გაძლიერებას ხელს უწყობს სოციალური ქსელის ყალბი ექაუნთები - “ტროლები და ბოტები”.

„ვფიქრობ, კომუნიკაციის ორსაფეხურიანი სისტემა არა მარტო საქართველოსი, არამედ მთელ მსოფლიოში მუშაობს. აქ უკვე აქვს მნიშვნელობა ქვეყანაში არსებულ მედია საშუალებეში რა ინფორმაცია შუქდება. საქართველოში არის ოპოზიციური მძლავრი არხი, აზრი ორად იყოფა და მიდის ამ აზრთან ბრძოლა ნაყიდი ფეისბუქ ტროლებით.

# თავი 5. კვლევის შედეგების შეჯამება

„ფეისბუქსტატუსების“ რიტორიკულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ კვლევის ძირითად ნაწილში განხილული სტატუსების უმრავლესობა ასახავს იმ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც საკვლევ პერიოდში იყო აქტუალიზებული.

თემატური თვალსაზრისით, სტატუსების უმრავლესობა წარმოადგენდა 5 მთავარი საკითხის ირგვლივ მსჯელობას. აპრილი-ივნისის განმავლობაში „მოსაზრების ლიდერები“ საკუთარ სტატუსებს უთმობდნენ შემდეგ საკითხებს:

- ჰესების მშენებლობა პანკისის ხეობაში
- შუალედური არჩევნები მთაწმინდის რაიონში
- დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული საკითხები
- „თბილისი პრაიდის“ აქცია VS კონტრაქცია
- ანტისაოკუპაციო აქცია.

სამი თვის განმავლობაში „ფეისბუქსტატუსების“ კვლევამ გვიჩვენა, რომ ის ადამიანები, რომლებსაც მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავთ შემოკრებილი სოციალურ ქსელში ნაკლებად წერენ პირად საკითხებთან დაკავშირებულ თემებზე. პრაქტიკულად არ გვხვდება ისეთი საკითხების განხილვა, როგორიც არის - ოჯახი, მეგობრები, ინტერესები, ჰობი და ა.შ. დაკვირვების 10 სუბიექტიდან მხოლოდ 1 ნათია ფანჯიკიძე წერდა სტატუსებს საკუთარ შვილიშვილზე. სხვა მხრივ პრაქტიკულად არ იკვეთება პერსონალური ინფორმაცია, რომელიც ამ ადამიანების ხასიათისა და პორტრეტული შტრიხების შესწავლის სესაძლებლობას მოგვცემდა.

რაც შეეხება არისტოტელეს რიტორიკას და მის მიერ დასახელებულ სამ დონეს -ეთოსი, პათოსი და ლოგოსი. სამივე მათგანი გამოიკვეთა სხვადსხვა სუბიექტების რიტორიკაში. აქედან ყველაზე ხშირად „შეხედულების ლიდერები“ იყენებდნენ ეთოსს, მათს სტატუსებში ყველაზე ხშირად შეიმჩნევა თვითრწმენა. როგორც ავტორიტეტულ მომხმარებლებს „ფეისბუქსტატუსებში“ ახასიათებთ თავდაჯერებულობა.აღნიშნული ფაქტორი შესაძლოა განაპირობებდეს მრავალრიცხოვანი აუდიტორიის მობილიზებას, რადგან „შეხედულების ლიდერები“ ხშირად სხვადსხვა თემატიკის შემცველ

სტატუსებში მსჯელობენ ექსპერტების პოზიციიდან. თუ სტატუსებში ნაკლებად იკვეთება დარგობრივი კომპეტენცია, მაშინ მაღალია თვითპრეზენტაცია. ეთოსის დონე „მოსაზრების ლიდერთა“ პოზიციებში ხშირად გამყარებულია დარწმუნების რიტორიკით.

ზოგიერთ „ფეისბუქსტატუსში“ შეტყობინების კონოტაციური მნიშვნელობა უტოლდებოდა მის დენოტაციურ დონეს. რიტორიკის ხერხებიდან კი აქტიურად გამოიყენება დეფინიცია. „მოსაზრების ლიდერთა“ სტატუსებში გვხვდება ლოგოსის დონე. ეს კი ნიშნავს იმას რომ პოლიტიკური სუბიექტები და სამოქალაქო აქტივისტები აუდიტორიას ინტერპრეტაციულ ინფორმაციას აწვდიან, რაც ძირითადად განპირობებული ახსნა-განმარტებით, (დეფინიცირებით). მაგალითად, ზურაბ ჯაფარიძე ხშირად მიმართავს შემდეგ კონსტრუქიაც - რა მომეწონა, რა არ მომეწონა, რას ვისურვებდი, როგორ უნდა განხორციელდეს და ა.შ.

რიტორიკული ლოგოსის გააქტიურების შედეგად პათოსის გამოყენების დონე იკლებს. ერთადერთი აქტორი, რომელიც პათოსს გრძნობების გასაღვივებლად იყენებდა საკუთარ სტატუსებში იყო ნათია ფანჯიკიძე. ის, როგორც ფსიქოლოგი სწორედ ფსიქო-სოციალური ჭრილიდან უყურებს მოვლენებს და სტატუსებში ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ემოციებზე- ბრაზი, შიში,სიძულვილი, სიყვარული, სიკეთე....

აღსანიშნავია, რომ ოდა (ქება) გვხვდება მხოლოდ ერთი ნიკა გვარამიას სტატუსში. თუ ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორის პოსტები სხვა შემთხევვაში გამოირჩევა სკაბრეზული და შეურაცხმყოფელი ლექსიკით, 20 ივნისის ღამის შემდეგ მის მიერ გამოქვეყნებულ სტატუსებში უხვად ვხვდებით ქებას მოსახლეობის მიმართ - „მე არ ვიცი, ეს რა ხალხი გვყოლია, თუ გამომსვლელი, თუ მსმენელი. მიტინგი კი არა, საჯარო ლექციაა ფაქტიურად. ეს არის ნამდვილი და საუკეთესო საქართველო...“.

აპრილი-ივნისის სტატუსებზე დაკვირვებით იკვეთება კიდევ ერთი ტენდენტცია. თხრობის მინიმალისტური სტილი. როდესაც სტატუსებში არ გვხვდება ექსპერსიული თხობა, მრავალფეროვანი შინაარსობრივი ნარატივები. ამის სანაცვლოდ ხშირია სკაბრეზული ლექსიკა და გამოხატვის არაეთიკური ფორმები. მათ შორის, პირვნების მენტალური შეურაცხყოფა და დისკრედიტაცია.

ამ ფაქტორებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „მოსაზრების ლიდერები“ ცდილობენ საკუთარი „ფეისბუქსტატუსები“ მოარგონ სოციალური ქსელების (ამ შემთხვევაში „ფეისბუქის“) სპეციფიკას - რაც შეიძლება ნაკლები მოცულობის ტექსტით, გაავრცელო მეტი ინფორმაცია. აჩქარებულ დროის ტემპთან შესაბამისობაში „ფეისბუქსტატუსების“ ლექსიკური მარაგი შეზღუდულია, ენობრივი მხარე კი დაცლილია მხატვრულ-ესთეტიკური სახეებისგან.

ნახევრად სტრუქტურირებულმა ინტერვიუმ დარგის ექსპერტებტან საშუალება მოგვცა გავცნობოდით მოსაზრებებს. ინტერვიუებმა დაგვანახვა, რომ „ფეისბუქსტატუსების“ რიტორიკული ანალიზის შედეგების მსგავსად, რესპონდენტებიც ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ სოციალურ ქსელში „მოსაზრების ლიდერების“ მიერ წამოჭრილი თემატიკა ძირითადად ემთხვევა ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ პრობლემატიკას. განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არიან აზრთა სემქმნელები „ფეისბუქში“, თუმცა ამ მიმართულებითაც სამი მთავარი კრიტერიუმები, რომელებისა გავლენიან „ფეისბუქმომხმარებლებს ახასიათებ: თვითპრეზენტაცია, საკითხის ირგვლივ ცოდნდა ანუ დარგობრივი კომპეტენცია, შიდა სტრუქტურებთან კავშირი და კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომის სესაძლებლობა, ასოციაციური კავშირი და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.

საზოგადოების ინფორმირების გზებზე საუბრისას რესპონდენტები უპირველესყოვლია ხაზს უსვამენ „მოსაზრების ლიდერთა“ კომპეტენციას. ერთ-ერთი რესპონდენტი სოციალური მუშაკი ზურაბ ტატანაშვილი ფიქრობს, რომ საზოგადოება რიგ შემთხვევაში აპრიორი ენდობა იმ ადამიანებს, რომლებიც მისთვის ავტორიტეტულია, მაგრამ თავად ცდილობს, რომ იყოს კრიტიკული ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერი მოსაზრების მიმართ.

სოციოლოგი ამირან ბერძენიშვილი და ამბობს, რომ მისთვის გავლენიანი ლიდერები სოციალურ ქსელში ის ადამიანები არიან, რომლები მის შეხედულებებთან და რწმენასთან ახლოს დგანან.

რიტორიკული ანალიზის მსგავსად ინტერვიუებმაც გამოკვეთა ტენდენცია, რომ დარგობრივი კომპეტენცია არ ნიშნავს ნდობის მაღალ ხარისხს. ხშირად საზოგადოება

იზიარებს მოსაზრებას, თუ მისთვის მისაღები პიროვნება გამოთქვამს კონკრეტულ აზრს. ამ სემთხვევაში ნაკლები ყურადღება ეთმობა „ფეისბუქსტატუსის“ შინაარს.

არაერთგვაროვანი მოსაზრებები გამოიკვეთა კომუნიკაციის „ერთსაფეხურიანი“ და „ორსაფეხურიანი“ სისტემის მიმართ. მაშინ როდესაც „მოსაზრების ლიდერების“ სტატუსებში შესამჩნევია რიტორიკული ეთოსი (დამაჯერებელი ტონი) და იზრდება სტატუსების გამოქვეყნების ინტენსივობა, რესპონდენტთა ნაწილი ამბობს, რომ ტრადიციული მედიის გავლენა საკომუნიკაციო სისტემაში ყველაზე მაღალია. ყურადსაღებია, რომ რესპონდენტთა ნაწილი მათივე თქმით, სრულიად არ ადევნებს თვალს კონვენციური მედიის მუშაობის პროცესს.

პოლიტიკოსი გრიგოლ გეგელია კი პოლარიზებაზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ საზოგადოება მის აზრს ელოდება კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რადგან ის არ წარმოადგენს პოლარიზებული მხარეს და არის შედარებით ნეიტრალური.

რიტორიკული ანალიზისგან განსხვავებით ინტერვიუებმა სოციალური ქსელების „ფეისბუქსტატუსების“ როლსა და მნიშვნელობაზე  მსჯელობისას გამოკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია, კერძოდ, სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერების ფუქცია.

პროფესორი მარიამ გერსამია  აღნიშნავს, რომ 2015 წლის 13 ივნისის მოვლენებიდა 2019 წლის 20 ივნისის ჩათვლით არაერთი აქცია დაიგეგმა სწორედ „ფეისბუქის“ ჯგუფებში.

# თავი 6. დასკვნა

მოცემული კვლევა დაგვეხმარა, დავკვირვებოდით „ფეისბუქის“ დღის წესრიგს და გავცნობოდით სხვადასხვა დარგის ექსპერტების მოსაზრებებს. სოციალურ ქსელზე, კერძოდ, „ფეისბუქსტატუსებზე“ დაკვირვებამ დაგვანახა, თუ რა გზით ხდება საზოგადოების ინფორმირება და შეტყობინების შინაარსის გენერირება.

დავაკვირდით და გამოვკვეთეთ ის  მთავარი თემატიკა, რომელიც ბოლო სამი თვის განმავლობაში „ფეისბუქსტატუსებში“ პრევალირებდა.

მიმოვიხილეთ, თუ ვინ არიან ინფორმაციის გამავრცელებლები სოციალურ ქსელში და რა კრიტერიუმებით შეირჩევიან „მოსაზრების ლიდერები“. ვიმსჯელეთიმ ფაქტორებზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსაზრების ლიდერების იმიჯის ჩამოყალიბებაში.

„ფეისბუქსტატუსების“ კვლევის სამთვიანი მონიტორინგი ცხადყოფს, რომ „მოსაზრების ლიდერთა“ მიერ „ფეისბუქსტატუსებში“ წამოჭრილი პრობლემატიკა ემთხვევა ტრადიციული მედიის „დღის წერიგის.“  აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოების ინფორმირების პარალელურად,  „სტატუსები“ ითავსებს კიდევ ერთ ფუნქციას, კერძოდ, ხდება სამოქალაქო საზოგადოების მობილიზება რეალური პრობლემატიკის  გარშემო. აღნიშნული ფაქტორი  წამოჭრის კვლევის ახალ პერსპექტივას - შევისწავლოთ სოციალური ქსელების  როლი სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებაში.

საკვლევ კითხვაზე - რამდენადააქტუალიზებულირეალური პრობლემატიკის ამსახველიმნიშვნელოვანი საკითხები „ფეისბუქში“ გამოქვეყნებულ სტატუსებში - კვლევის ორივე მეთოდოლოგიით დასტურდება, რომ „ფეისბუქში“ აქტუალიზებული საკითხები  შეესაბამება მიმდინარე სოციალურ- პოლიტიკურ პრობლემებს.ანალიზმა აჩვენა, რომ „ფეისბუქისა“ და ტრადიციული მედიის დღის წესრიგს შორის არსებობს პირდაპირპროპორციული ბმა, მეტიც სტატუსების უმრავლესობას სწორედ ონლაინმედიიდან დაკოპირებული ბმულები ახლავს თან.

გაირკვა, რომ „შეხედულების ლიდერები“ საკუთარ სტატუსებში  აქტიურად იყენებენ დარწმუნების მეთოდს. ისინი მსჯელობენ პრობლემატიკაზე, მიუხედავად იმისა, როგორია  მათი კომპეტენცია განსახილველი თემის ირგვლივ.

ამდენად, დადასტურდა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ფეისბუქსტატუსი, როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ინსტრუმენტი გამოიყენება მოსაზრების ლიდერების მიერ, რათა შეძლონ საკუთარი იდეების პოპულარიზაცია და სასურველი თვითპრეზენტაცია. კვლევის ორივე მეთოდოლოგიამ არსებითად ერთი და იგივე პასუხი გასცა ამ მოსაზრებას. რიტორიკულმა ანალიზმა აჩვენა რამდენად მაღალია „მოსაზრების ლიდერების“ თვითრწმენა, ხოლო ინტერვიუებმა ცხადყო, რომ რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, გავლენიანი ფეისბუქმომხმარებლისთვის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს კარგი  კომუნიკაცია და თვითპრეზენტაცია წარმოადგენს.

ნაწილობრივ დადასტურდა პირველი ჰიპოთეზა, რომ სოციალური ქსელის მულტიფუნქციური თვისება და სპეციფიკა- ხელი შეუშალოს პოლიტიკური ელიტის მიერ კომუნიკაციის საშუალებებზე მონოპოლიას და ამავდროულად ხელი შეუწყოს დემოკრატიული პროცესების განვითარებაში მოქალაქეების  ჩართვას -- განაპირობებს „ფეისბუქის“ აქტუალობის ზრდა.

არ დადასტურდა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ტრადიციული მედია ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებაში არსებული პრობლემატიკის გაშუქებას, რის გამოც „ფეისბუქის“ სტატუსები იძენს მნიშვნელობას და ხდება ეფექტური ინსტრუმენტი, რათა მოსაზრების ლიდერებმა გამოხატონ  მათი ინტერესები და პოზიციები.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ „ფეისბუქსტატუსების“ აქტუალობას, მისი გამოქვეყნების სიხშირეს და იმ ადამიანების დარგობრივ კომპეტენციას, რომლებსაც ყველაზე მეტი გამომწერი და მიმდევარი ჰყავთ „ფეისბუქში“, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღესდღეობით საქართველოში „ფეისბუქსტატუსები“ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა მოსაზრებების გასავრცელებლად.

## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა


1. Andrea Ceron and Fedra Negri (2016, April 19). The "Social Side" of Public Policy: Monitoring Online Public Opinion and Its Mobilization During the Policy Cycle. Policy & Internet. Advance online publication. https://doi.org/10.1002/poi3.117
2. Ceron, A. and Negri, F. (2016) The "Social Side" of Public Policy: Monitoring Online Public Opinion and Its Mobilization During the Policy Cycle. Policy & Internet 8 (2) DOI:10.1002/poi3.117
3. Oxford English Dictionary. https://www.ox.ac.uk/search?query=media&wssl=1&fbclid=IwAR3BRotGWSAZW00hxMr9L6Z027RjK1YIJ9K5dqbbd1GEJ4km1ZDwjnQpDRE
4. Encyclopedia Britannica https://www.britannica.com/
5. Monica Postelnicu (2016, November 28). Two-step flow model of communication. University of South Florida. Retrieved from: https://www.britannica.com/topic/two-step-flow-model-of-communication
6. Lynda Lee Kaid and Christina Holtz-Bacha (2007, December) Encyclopedia of Political Communication University of Florida. Usa. Retrieved from: https://us.sagepub.com/en-us/nam/encyclopedia-of-political-communication/book227489
7. John Gramlich (2019, May 16). 10 facts about Americans and Facebook. Pew Research Center. Retrieved from: https://www.pewresearch.org/fact-tank/2019/05/16/facts-about-americans-and facebook/?fbclid=IwAR04Z7SQEfVkMOFRV3ZiWI8IJTse38JCaKl0oTdfZ05O0KojqlDy-HzViIs
8. Entman, R. B. (1993). Framing: Toward clarification of a fractured paradigm. Journal of Communication, 43, 51–58)
9. Louis cohen (2007, February 15) Research Methods in Education (6th Edition) Paperback.

10. თინათინ ზურაბიშვილი (2006). თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=173 (გვ. 111-117)
11. Roland Barthes (1977). Image Music Text. (Stephen Heath Trans.) Retrieved from: www.fireandwater.com
12. Do social media threaten democracy? (2017, November 4). The Economist. P.2. Retrieved from: https://www.economist.com/leaders/2017/11/04/do-social-media-threaten democracy?fsrc=scn%2Ffb%2Fte%2Fbl%2Fed%2Fdosocialmediathreatendemocracyscandaloutrageandpolitics&fbclid=IwAR2FohWBegiHMlDDYLg14z9IssfxNUAwqK24HIcmvtPgF7DubCMbEPNyDms
13. Kaplan, Haenlein. (2010).Users of the world, unite! The challenges and opportunities of Social Media Business Horizons 53, 59—68 Paris, France. https://mail-attachment.googleusercontent.com/attachment/?ui=2&ik=934898d78f&view=att&th=13e260f2b2f174f0&attid=0.2&disp=inline&realattid=f_hfqdsy3o1&safe=1&zw&saduie=AG9B_P8PUQeII0f-vSNO0rq0WGkE&sadet=1367257238356&sads=fzuU9dwPx7jdaftk7hnvbDFJPTs
14. სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაშვილი. (2014) მედიასამართალი. გვ- 35-38. თბილისი.http://lawlibrary.info/ge/books/giz2014-ge-MediaLaw.pdf (ბოლო ნახვა: 07/05/2019)
15. Paul Lazarsfeld & Elihu Katz. (1957). „Two-step flow of communication“. University of Pennsylvania.Retrieved from:https://pdfs.semanticscholar.org/14bf/5eec662109371eb45b6028a9160a2efb9cad.pdf
16. Katz, E. (1957). The Two-Step Flow of Communication: An Up-To-Date Report on an Hypothesis. Political Opinion Quarterly, 21 (1), 61-78. https://doi.org/10.1086/266687
17. Tushman, Michael L (1977) "Special Boundary Roles in the Innovation Process". pp. 587-605. Retrieved from:https://www.jstor.org/register?redirectUri=%2fstable%2f10.2307%2F2392402%3Fread-

now%3D1%23page_scan_tab_contents&refreqid=excelsior%3A6a4f85d5e4aebcb2511a8971fa3441f4 (Last Seen 19/06/2019)

18. Tuchman, G. (1978). Making News: A study in the construction of reality. New York: The Free Press.
19. Kahneman, D, &Tversky A. (1984). Choices, values amd frames. *American Psychologist*, 39(4), 340-355
20. Roskos-Ewoldsen, D. R, Roskos-Ewoldsen, B &Carpentier, F.R. (2002). Media priming: A synthesis. In Brryant J. &Zillmann D, Media effects: Advances in theory and research, pp. 97-110
21. Ines Mergel and Stuart I. Bretschneider (2013, March 5). A Three-Stage Adoption Process for Social Media Use in Government. Advance online publication.https://doi.org/10.1111/puar.12021
22. V. O. Key, Jr.(2016, July 3). Public Opinion and American Democracy. *Political Science, U.S. Politics, Parties and Bureaucracy.*Advance online publication. DOI: 10.1093/oxfordhb/9780199646135.013.13
23. Deborah Agostino, Marika Arena, Giuseppe Catalano & Angelo Erbacci (2016,november 24). Public engagement through social media: the spending review experience.pp.52-63. https://doi.org/10.1080/09540962.2016.1249596
24. ლია წულაძე. (2011-2013). „სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში“. (ბოლო ნახვა: 06/05/2019)
25. H. Russel Bernard. 2002. Reseach Methods in Anthropology. Qualitative and Quantitative Approaches. Third edition. Walnut Creek, CA: AltaMira Press. P. 209.
26. James A. Holstein and Jaber F. Gubrium. (1995). The Active Interview. New Delhi. https://books.google.ge/books?id=LgR3TjzCxf8C&printsec=frontcover&dq=James+A.+Holstein+and+Jaber+F.+Gubrium.+(1995).+The+Active+Interview.&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjehofo0KzjAhUumIsKHaEJAlkQ6AEIJzAA#v=onepage&q=James%20A.%20Holstein%20and%20Jaber%20F.%20Gubrium.%20(1995).%20The%20Active%20Interview.&f=false
27. ინფორმაციის ნაგვითარების ფონდი (2018). „ინტერნეტ მომხმარებელთა სტატისტიკა საქართველოში“ https://idfi.ge/ge/statistics-of-internet-users-in-georgia (ბოლო ნახვა 22/05/2019)

28. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. (2016). „სოციალური მედიის გამოყენება“ https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/29249-socialuri-mediis-gamoyeneba. (ბოლო ნახვა (02/06/2019)
29. მედიის განვითარების ფონდი (2017). „სოციალური მედია და ყალბი ინფორმაციის გავრცელების გამოწვევები“ https://www.mythdetector.ge/sites/default/files/1-Guideline.pdf (ბოლო ნახვა:04/06/2019)
30. „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) და „კავკასიის ბარომეტრი“(2012). „ინტერნეტის მნიშვნელობა საქართველოში“. თბილისი.http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/ (ბოლო ნახვა:04/06/2019)
31. „ნეტგაზეთი“ (2016) „TI: საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა“ http://netgazeti.ge/news/112101/
32. On.ge (2016) “TI: 2016 წელს ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი 5%-ით გაიზარდა (2016)”https://on.ge/story/362-ti-2016- 0 (ბოლო ნახვა:02/07/2019)
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდი: https://www.scribd.com/document/242344771/
34. საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო -https://transparency.ge/
35. „ფეისბუქის“ სტატისტიკის საიტი „SocialBakers”. https://www.socialbakers.com/statistics/facebook/ (ბოლო ნახვა 09/11/2019)

## დანართი 1.




## დანართი2.



## დანართი 3.




## დანართი4.

**ბლოკური კითხვები, რომელთა მიხედვითაც შედგა საუბარი შერჩეულ რესპონდენტებთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუსთვის:**

1. რამდენადაა აქტუალიზებული რეალური პრობლემატიკის ამსახველი მნიშვნელოვანი საკითხები სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ სტატუსებში?
2. ვინ არიან ადამიანები, რომლებიც „დღის წესრიგს“ქმნიან სოციალურ ქსელებში?
3. რა კრიტერიუმებით ხდებაე.წ.გავლენის ლიდერების შერჩევა „ფეისბუქზე“?

4. რომელიფაქტორი ასრულებს მთავარ როლს მოსაზრების ლიდერის იმიჯის ჩამოყალიბებაში: თვითპრეზენტაცია, დარგობრივი კომპეტენცია, თუ ორგანიზაციათა შიდა სტრუქტურებთან კავშირი და ინფორმაციასთან წვდომა?
5. რა საერთო მახასიათებლები აქვთ იმ პირებს, რომლებსაც ფეისბუქში ყველაზე მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავთ შემოკრებილი?
6. რა თემატიკა პრევალირებს ფეისბუქში გავლენის ლიდერებად სახელდებულ პირთამიერ წამოჭრილ საკითხებში?
7. ემთხვევა თუ არა ფეისბუქში მათ მიერ ფორმირებული„დღის წესრიგი“ ტრადიციული მედიის „დღის წესრიგს“?
8. როგორი ურთიერთმიმართება არსებობს სოციალურ ქსელებსა და მედიას შორის - ტრადიციულ მედიაში გაშუქებულ კონკრეტულ მოვლენას ეხმაურება შეხედულების ლიდერი თუ პირიქით, იგი თავად წამოჭრის „ფეისბუქში“ პრობლემას, რომელიც შემდგომ მედიადისკურსში გადადის?
9. რამდენად დიდია „ფეისბუქმოსაზრების ლიდერთა“ გავლენა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასა და რეალური პრობლემების აქტუალიზებაში?
10. ელიუ კაცსისა და პოლ ლაზერფილდის „კომუნიკაციის ორსაფეხურიანითეორიის“ მიხედვით, ერთსაფეხურიანი სისტემის დროს მედია პირდაპირ ახდენს გავლენას საზოგადოების აზრის ფორმირებაზე. ორსაფეხურიანი სისტემის მოქმედების დროს კი, იდეები მედიიდან გავლენიანი ადამიანებისკენ მიემართება, ხოლო გავლენიანი ადამიანები ამ იდეეებს ფართო საზოგადოებაშიავრცელებენ. რამდენად მუშაობს აღნიშნული თეორია ქართულ რეალობაში?

## დანართი.5

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nana Maglakelidze

# "The Facebook Post - The Tool for Representing Topical Issues of Modernity"

Faculty of social and political sciences

Master Programme of Mass Communication and Media Studies

The thesis submitted for the degree of Master of Arts in Mass Communication and Media Studies

Research Supervisor: Manana Shamilishvili

Associate Professor

Tbilisi

2019 Year